ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. რეგულარული ნომერი გამოდის ყოველი თვის 23 რიცხვში.
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №8 (2018) 25.12.2005 • ფასი 30 თეთრი

ჩვენი გაზეთი მიჰმართავს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

ქალბატონო სალომე!

ნება მოგვეცით, კიდევ ერთხელ დაგიმოწმოთ ჩვენი უაღრესი პატივისცემა და იმედი, რომ თქვენი მოღვაწეობა საქართველოს ჭეშმარიტად დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის ნაყოფიერი იქნება, ხოლო თქვენ – მძიმე ბრძოლაში გამარჯვებული. ბუნებრივია, ჩვენს მკითხველს ცხოველი ინტერესი აქვს თქვენი გეგმების ყოველი დეტალისადმი. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, თუ შესაძლებელია, გვაცნობოთ თქვენი პოზიცია საქართველოსთვის დღეს ყველაზე მტკივნეულ რამდენიმე საკითხზე.

პირველი. საზოგადოებას მიაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციის თანხმობა საქართველოში კიდევ ერთხელ „სამხრეთ ოსეთის“ შექმნაზე (ამ სახელით) და, ამგვარად, საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის აღიარება მეზობელი ქვეყნის სამხრეთ ნაწილად, არის სახელმწიფოს ღალატი. ამ ღალატის შედეგად მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე დგება ორი ოსეთის – ერთი ნამდვილისა (ალანიისა) და მეორე ყალბის („სამხრეთ ოსეთის“) – „გაერთიანების“ პრობლემა. ეთანხმებით თუ არა თქვენ ამ თვალსაზრისს?

მეორე. საზოგადოებას მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს ოფიციალურად, რომ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტები არის ქართულ-რუსული (და არა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური), სახელდობრ, ეს არის რუსეთის გამოუცხადებელი აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ. ეს კონფლიქტი ინტერნაციონალიზაციას ექვემდებარება მხოლოდ ორი ასპექტით – საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შეწყვეტის ასპექტით და კონფლიქტის მიმდინარეობის პროცესში ადამიანის უფლებათა მსოფლიოში აღიარებული ნორმების დაცვის ასპექტით.

მესამე. საქართველოს ხელისუფლების მოვალეობაა დაუყოვნებლივ და უპირობოდ გააუქმოს რუსეთის „სამშვიდობო“ მახდატი საქართველოში და უარი თქვას რუსეთის აღიარებაზე კონფლიქტის დარეგულირებაში შუამავლობისუნარიან მხარედ.

მეოთხე. საქართველოს ეკონომიკური სიმძლავრეების (პირველ ყოვლისა – მიწის) გატანა ღია ბაზარზე დღევანდელ სიტუაციაში, როცა ამ ბაზარზე არც ერთი კონკურენტუნარიანი ქართველი ან ქართული ფირმა არ არსებობს, დაუშვებელია.

თქვენს პასუხებს, თქვენის ნებართვით, გამოვაქვეყნებთ ჩვენს გაზეთში.

წინასწარ გიხდით მადლობას.

მოწიწებით და საუკეთესო სურვილებით
„საქართველოს“ რედკოლეგია

ყურადღება ღალატია!

ქართველი პარლამენტარების წერილი ეუთო-ს და მსოფლიოს მთავრობებს

9 აპრილი — ნანახი და განცდილი

უცხოეთის პანორამა

აი, რისთვის სჭირდება რუსეთს რკინიგზის გახნა აფხაზეთის მონაკვეთში

სიახლე ირანის ბირთვულ მეგმებში

აზერბაიჯანული არჩევნები ბრიტანელთა თვალში

(„როგორ ტრ უნდა მოხდეს არჩევნების ცნობა“)

ლიტვაში სოროსს უტევენ

იმიგრანტები ევროპაში

რბილი თეოკრატია ინგლისში

წამება ტერორისტებთან ბრძოლაში

მე-15 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება ღალატია!

იმისათვის, რომ მკითხველისთვის ნათელი იყოს, რომ პრეზიდენტის თანხმობა საქართველოში კიდევ ერთხელ „ოსეთის“ შექმნაზე ღალატია, ვაქვეყნებთ რამდენიმე დოკუმენტს. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ საქართველოს ამას ვერავინ აიძულებს.

პირველი დოკუმენტი

საქართველო საბჭოთა სამართლით აღიარებულია ანექსიაში მყოფ დაპყრობილ ქვეყნად. ამით აღიარებულია ისიც, რომ საქართველოში „ოსეთის“ შექმნა (1922 წ.) მოხდა ანექსიის პირობებში, მაშასადამე, უკანონოდ. სხვა იურიდიული საფუძველი, გარდა საბჭოურისა (და, მაშასადამე, ძალადობრივისა) „სამხრეთ ოსეთის“ არსებობას არ ჰქონია და არა აქვს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ

მხარს უჭერს რა სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნებს, დემოკრატიის კურსის შემდგომ გაღრმავებას, რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის გაფართოებისაკენ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს, ზოგადსაკაციბრიო, ჰუმანურ იდეალებზე დამყარებული საზოგადოების შექმნას, ამავე დროს, განიხილა რა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ

— სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა (ძირითადი კანონების) შესაბამისი მუხლების თანახმად მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან. მაშასადამე, პრეზიდენტის მმართველობის პირობებში საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს. სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის არსებობა, მაშინ როცა არ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის პოსტი, საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობის უარყოფაა;

— კანონპროექტის 127-ე მუხლით დაშვებულია სსრ კავშირის პრეზიდენტის არჩევა იმ შემთხვევაშიც, თუ მისი კანდიდატურა უარყოფილია ხმათა უმრავლესობით მოკავშირე რესპუბლიკების უმცირესობის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტი და, მაშასადამე, საქართველოს, როგორც სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოს, პრეზიდენტიც, შეიძლება გახდეს საქართველოსათვის მიუღებელი პირი;

— სსრ კავშირის პრეზიდენტი არ უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რადგან ამ მოვალეობას უნდა ასრულებდეს შესაბამისი სუვერენული სახელმწიფოს — მოკავშირე რესპუბლიკის — მეთაური;

— ის ღონისძიებები, რომელსაც ახორციელებს პრეზიდენტი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, არ უნდა ზღუდავდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლებას, რაც ერთნიშნად უნდა ჩამოყალიბდეს კანონის ტექსტში. მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ თვით რესპუბლიკა. სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების პრინციპების რეალიზაცია მოკავშირე რესპუბლიკის — სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მხოლოდ ამ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებაა. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკის ურთიერთობას კავშირთან, სსრ კავშირის პრეზიდენტი უნდა იყოს გარანტი მხოლოდ და მხოლოდ იმისა, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებები არ იქნება ხელყოფილი კავშირის მხრიდან;

— ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან, მათი ურთიერთობების რეგულირების კონტროლი შეიძლება დაეკისროს ისეთ ორგანოს, რომელიც შედგება ამ რესპუბლიკების, როგორც სახელმწიფოების, წარმომადგენლებისაგან. რესპუბლიკის ეს უფლება არ შეიძლება შეცვალოს ამ რესპუბლიკის ამომრჩეველთა კორპუსის უფლებამ, ისევე როგორც სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც ამ რესპუბლიკათა შორის უფლებათა რეგულატორია, არ შეიძლება შეცვალოს კონსტიტუციამ, რომელსაც იღებენ სახალხო დეპუტატები;

— პრეზიდენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს არ შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული ძალა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე;

მიუღებელია კანონპროექტის 127³-ე მუხლის მე-16 პუნქტი, რომელიც ანიჭებს სსრ კავშირის პრეზიდენტს არა მარტო სამხედრო და საგანგებო წესების გამოცხადების, არამედ ერთპიროვნული საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების უფლებასაც, რაც შესაძლებელია განიმარტოს, როგორც პრეზიდენტის უფლება, დაითხოვოს მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები და მოახდინოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის სრული ლიკვიდაცია.

არ ეხება რა პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატთა პოლიტიკურ პოზიციას და პიროვნულ თვისებებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო წარმოდგენილ კანონპროექტს სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების შესახებ მიიჩნევს მიუღებლად, ხოლო საქართველოს დეპუტატთა მონაწილეობას ამ კანონპროექტის მიღებაში — დაუშვებლად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1929 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნას და აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით — ფაქტობრივ ანექსიას; გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს, და ესწრაფვის საქართველოსთვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად 1921 წლის 21 მაისს მუშურ-გლეხურ სამოკავშირეო ხელშეკრულებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებას ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერალური კავშირის შემქნის შესახებ.

დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე
საქართველოს სსრ უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ვ. კვარაცხელია

მეორე დოკუმენტი

ამ დოკუმენტით სრულყოფილი კანონიერების დაცვით გაუქმებულია „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“

საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული ძალები ცდილობენ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ჩამოაშორონ საქართველოს მისი ისტორიული, განუყოფელი ნაწილი, რაც აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, არამედ თვით სსრ კავშირის კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არაერთი გაფრთხილებისა, აღკვეთილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი, ოლქში 9 დეკემბერს მაინც ჩატარდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წელს შეიქმნა ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულებელყოფით და სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ, რაც არაერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ოს ხალხს საბჭოთა კავშირში გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე — ჩრდილოეთ ოსეთში — და რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში, სადაც მას აქვს და მომავალშიც ექნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, საქართველოს კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო — აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის №2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“.

4. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ.

ცნობილ იქნას ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;

— განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, თვითმარქვია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების აღსაკვეთად;

— შეუსაბამოს მთავრობის გადაწყვეტილებები ამ კანონს.

7. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ დაემორჩილნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს, უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციით დადგენილი არჩევნების ჩატარების წესი, ხელყვეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა და ბოროტად გამოიყენეს თანამდებობის პირთათვის კანონით მინიჭებული უფლებები და რწმუნებები.

8. კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარე ზ. გამსახურდია
თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი

მესამე დოკუმენტი

О некоторых законодательных актах, принятых в декабре 1990 года в Грузинской ССР

Юго-Осетинский Совет народных депутатов 20 сентября 1990 года принял Декларацию, в соответствии с которой Юго-Осетинская автономная область провозглашена Юго-Осетинской Советской Демократической Республикой.

Верховный Совет Грузинской ССР 11 декабря 1990 года принял закон, в соответствии с которым упраздняется Юго-Осетинская автономная область, образованная в 1922 году. Одновременно из Конституции Грузинской ССР были исключены положения, касающиеся названной области, и введено право республики упразднять автономные области.

Эти акты областного Совета народных депутатов и Верховного Совета республики противоречат Конституции СССР и законам СССР, установленному порядку решения вопросов об изменении статуса автономных образований.

В соответствии со статьей 87 Конституции СССР Юго-Осетинская автономная область находится в составе Грузинской ССР. Любое решение об изменении статуса автономных образований, исходя из положений пункта 1 статьи 73, пункта 2 статьи 108 Конституции СССР и пункта 2 статьи 6 закона СССР от 26 апреля 1990 года "О разграничении полномочий между Союзом ССР и субъектами федерации", приобретает юридическую силу только после его утверждения высшими органами государственной власти СССР. Между тем установленный Конституцией СССР и законами

გაგრძელება მესამე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება ღალატია!

დასაწყისი იხ. მე-2 გვერდზე

СССР порядок решения вопросов об изменении статуса автономных образований Верховным Советом Грузинской ССР соблюден не был.

12 декабря 1990 года Президиум Верховного Совета Грузинской ССР объявил на территории города Цхинвали и Джавского района Юго-Осетинской автономной области чрезвычайное положение, постановив привлечь к реализации его части Министерства внутренних дел и Комитета государственной безопасности республики, а также внутренние войска Министерства внутренних дел СССР.

На основании пунктов 1 и 2 статьи 127 Конституции СССР постановляю:

1. В соответствии с Конституцией СССР и законом СССР от 24 октября 1990 года "Об обеспечении действия законов и иных актов законодательства Союза СССР" не имеют юридической силы с момента принятия и не подлежат исполнению государственными и общественными органами, учреждениями, организациями и гражданами положения названных в настоящем Указе актов, принятых органами власти Грузинской ССР и находящейся в её составе Юго-Осетинской автономной области, противоречащие действующему законодательству Союза ССР.

2. Верховному Совету и Правительству Грузинской ССР, местным советам народных депутатов, правоохранительным органам республики обеспечить соблюдение требований Конституции СССР о защите прав и законных интересов граждан, проживающих на территории Юго-Осетинской автономной области.

3. Вывести в трёхдневный срок с территории Юго-Осетинской автономной области все вооруженные формирования за исключением внутренних войск Министерства внутренних дел СССР.

4. Руководству республики в пятидневный срок информировать Президента СССР о принятых мерах по нормализации обстановки в республике.

5. Ввести настоящий указ в действие с момента подписания.

Президент Союза Советских Социалистических Республик
М. ГОРБАЧЁВ.

Москва, Кремль.
7 января 1991 года

რედაქციისაგან. ოსური სეპარატიზმის მომხრეებს (ზეპირ საუბარში. წერილობით მათი მოსაზრება, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ფიქსირებული არ არის) მოჰყავთ ის არგუმენტი, რომ გორბაჩოვის მოყვანილი ბრძანებულების შედეგად საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის ზემოთ მოყვანილი აქტი ძალადაკარგულია და, მაშასადამე, საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისათვის საქართველოში იყო „სამხრეთ ოსეთი" ავტონომიური ოლქის სახით. ეს არგუმენტი უმართებულოა, სხვა გარემოებათა შორის იმის გამოც, რომ საბჭოთა კანონმდებლობით, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებით (იხ. ზემოთ) საქართველოს ყოფნა სსრკ-ში უკვე აღიარებულია ძალადობის ნაყოფად და, მაშასადამე, უკანონოდ, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მიერ საქართველოს სახელმწიფო მოწყობის საკითხების რეგულირებაში ჩარევის უფლებამოსილებაც კარგავს ყოველგვარ საფუძველს ძალადობის, მაშასადამე, უკანონობის გარდა. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 9 მარტის დადგენილებასთან შეკამათება ან მისი გაუქმება საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას არ უცდია.

მეოთხე დოკუმენტი

საქართვლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

11. სსსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, რომელიც გაეცნო სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებას, მიაჩნია:

1. სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც არ ცნობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის იურიდიულ ძალას, ანტიკონსტიტუციურია შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალის უარყოფა არ შეუძლია სსრ კავშირის ხელისუფლების არც ერთ ორგანოს, რადგან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და თავისი საზღვრების ფარგლებში ახორციელებს ტერიტორიულ უზენაესობას (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე მუხლი და სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლი), რომლის ძალითაც რესპუბლიკის კანონები და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა აქტები განუხრელად უნდა შეასრულოს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანომ, საწარმომ, დაწესებულებამ და ოგანიზაციამ.

ბ) საქართველოს კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს გადაწყვიტოს ეროვნულ-სახელმწიფო მოწყობის ყველა საკითხი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ ისარგებლა აღნიშნული უფლებით და გააუქმა თავის დროზე არაკანონიერად შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სადაც ამჟამად ექსტრემისტები და სეპარატისტები ეწევიან არა მარტო იქ მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის აშკარა დისკრიმინაციას და შევიწროებას, არამედ ცდილობენ საქართველოს მოსწყვიტონ ეს რეგიონი;

გ) სსრ კავშირის კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო უფლებამოსილია დაამტკიცოს ახალ ავტონომიურ ფორმირებათა შექმნა (73-ე მუხლის მე-2 პუნქტი), ამ ასაკითხის გადაწყვეტა მოკავშირე რესპუბლიკის პრეროგატივაა (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დამტკიცების საკითხი არ დასმულა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე, ვინაიდან ამგვარი წესი არ არის გათვალისწინებული არც სსრ კავშირის კონსტიტუციით და არც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით. „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამოჯვნის შესახებ" 1990 წლის 26 აპრილის კანონი, მთელი თავისი ანტიკონსტიტუციურობის მიუხედავად, ასევე არ ითვალისწინებს ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დადასტურებას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ვალდებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლიდან ამოიღოს დებულება საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოფნის შესახებ და ამით სსრ კავშირის კონსტიტუცია შეუსაბამოს იურიდიულ და ფაქტობრივ სინამდვილეს...

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს მიღებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალა.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე დაისვას საკითხი სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ.

3. ცნობად იქნას მიღებული, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებამ არაკანონიერად აღიარა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ მიღებული აქტები ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

4. არაკანონიერად იქნეს მიჩნეული ბრძანებულების მოთხოვნა რეგიონიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ქვედანაყოფთა გამოყვანის შესახებ, ვინაიდან ისინი მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე და იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სახელმწიფო უშიშრობის კომიტეტმა განაგრძონ „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

6. მიჩნეულ იქნეს სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად, მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად, რესპუბლიკის და მისი ხალხის სუვერენულ უფლებათა უგულებელყოფად, რაც ნათლად გამოვლინდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური სახელწოდების დამახინჯებაში — ბრძანებულებაში გამოყენებულია ძველი დასახელება — საქართველოს სსრ.

7. ხელისუფლების უზენაესობისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეში ხელყოფაა აუკრძალო დემოკრატიული წესით არჩეულ ხელისუფლების უზენაეს ორგანოს საკუთარი სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით აკონტროლებდეს ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს:

იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში განლაგებული სსრ კავშირის შინაგანი ჯარები შეეცდებიან ძალის გამოყენებით დაატოვებინონ საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნული რეგიონი, ეს ქმედება შეფასებული იქნება, როგორც ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება;

ამ აქციის შესაძლო შედეგებისათვის მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საკავშირო უმაღლეს ხელისუფლებას და პირადად სსრ კავშირის პრეზიდენტს.

8. ეს დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია
თბილისი, 1991 წლის 9 იანვარი

მეხუთე დოკუმენტი
19.26.VII.91

გამსახურდიას წერილი ჩრდ. ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს გალაზოვს.

საქართველოს პრეზიდენტი ბ-ნ გალაზოვს მოუთხრობს საქართველოში ოსური ავტონომიის ისტორიას. ისე, როგორც იგი სინამდვილეში არის. ზ. გამსახურდია ითხოვს სახელში „ჩრდილოეთ ოსეთი" პირველი სიტყვის გაუქმებას.

Председателю Верховного Совета Северно-Осетинской Автономной Республики А.К. Галазову

Господин Председатель...

Если для нас вполне понятна помощь собратьям, пострадавшим в результате стихийного бедствия, то вызывает недоумение и крайнее возмущение грузинского народа Ваше содействие самозванным обкомам, что, повторяю, мешает дальнейшей нормализации положения. Суверенное государство не потерпит вмешательства в свои внутренние дела. Поэтому мы требуем от Вас восстановления исторического названия Вашей страны Осетии, а также прекращения признания незаконной Юго-Осетинской АО и её обкома...

მეექვსე დოკუმენტი

Председатель Верховного Совета Республики Грузия
Президенту СССР
г-ну М. ГОРБАЧЁВУ

Хочу известить Вас о том, что руководство Грузии сделало всё возможное, чтобы достигнуть мирного решения Цхинвальского конфликта (бывшей Юго-Осетинский АО). Однако, перемирие и прекращение стрельбы, которое было достигнуто 24 января, очевидно не устраивает некоторых. В ту же ночь офицер внутренних войск (спец. наз.) Пелещук А.Г. и прапорщик Стародубцев Е.Е. (Воинская часть 3/19), переодетые в форму боевиков, с масками напали на пост грузинского МВД и открили огонь из автоматов, ранено 3 сотрудников МВД Ростомашвили Н., Шония Л., Гелашвили Г. Один из них в тяжелом состоянии. За день была аналогичное попытка четырех солдат ВВ, которая не удалась.

Одновременно продолжается снабжение осетинских сепаратистов и террористов оружием и боеприпасами частями Советской Армии. расположенными на территории Цхинвали. Так, например, на территории города Цхинвали дислоцируется воинская часть инженерных воиск МО СССР №47913. По имеющееся у нас сведеням, военнослужащие данной части осетинской национальности: подполковник Кочиев М.В. _ заместитель командира по политчасти. а также военнослужещие воздушно-десантного полка МО СССР №61902. Хочиров П. Пухаев О. Бичекоев С. Джиоев Г, Албуров А, Гиголаев О., Валиев П, Датикаев Э., Джиоев П., Бестаев А, и Джиоев Б, находятся в сговоре с бандами экстремистов, действующими на территории бывшей Юго-Осетинской Автономной Области, снабжая их ракетами, оружием и боеприпасами, применение которых повлекло за собой гибель сотрудников МВД Республики Грузия, выполнявших свой служебный долг. Лидеры сепаратистов М. Кулумбегов и А. Чочиев часто скрываются на упомянутой военной базе.

Такой союз между армией и террористами привел к тому, что война против их банд затянулась, в городе голод и разруха, число грузинских беженцов из Цхинвали достигло нескольких тысяч, каждый день гибнут люди. Мое обращение по этому поводу к командующему воисками ЗакВО не дало некаких резултатов.

Исходя из вышесказанного, убедительно прошу привлечь к ответственности в соответствии с законом вышеуказанных военнослужещих и дать указание Министерство обороны СССР по передислокации данной базы другое место, заранее согласованное с руководством республики. Прошу также строго наказать виновников вишеуказанных инцидентов спровоцированных представителями ВВ. Если в ближайшем будущем с Вашей стороны не будут приняты меры для наказания виновников, а также для обезвреження и разоружения сепаратистов и террористов Цхинвали, у нас создастся впечатление, что в Цхинвали все происходит по Литовскому и Латвиискому сценарию и части Советской Армии и ВВ ведут замоскированную войну против Грузинского населения и подразделений МВД Грузии по указанию центра.

В таком случае мы будем вынуждены также придать гласности все выше перечисленные факты и обратиться в ООН и во все международные инстанции для спасения нашего народа от надвегающейся беды.

С уважением
З. ГАМСАХУРДИЯ
25 января 1991 года

ქართველი პარლამენტარებისა და საზოგადოებრიობის მიმართვა ეუთოსადმი ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე მისი საქართველოს მისიის წინადადებების გამო(1995 წ.)

მის აღმატებულებას ეუთო-ს გენერალურ მდივანს

მის აღმატებულებას ეუთო-ს აღმასრულებელ თავმჯდომარეს

მის აღმატებულებას ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლეს კომისარს

მის აღმატებულებას ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს

მათ აღმატებულებებს ეუთო-ს სახელმწიფოთა მეთაურებს

თქვენო აღმატებულებანო

ეუთოს მისიამ საქართველოში წელიწადნახევრიანი დაუღალავი მუშაობის შედეგად, რომლისთვისაც ჩვენ მისი გულითადად მადლიერნი ვართ, შეიმუშავა საორიენტაციო წინადადებები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. დეტალურად გავეცანით რა „წინადადებათა“ ტექსტს, რომელიც მისიამ მადლიერებისაღმძვრელი თავაზიანობით რამდენიმე ვარიანტად გადასცა პარლამენტის რამდენსამე ლიდერს, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოგახსენოთ შემდეგი:

1. მისიის წინადადებათა ერთი ნაწილი, მათ შორის წინადადება, რომ შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა“, მათი მიღების და განხორციელების შემთხვევაში გამოიწვევს არა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის ჩაქრობას, არამედ, პირიქით, მის ესკალაციას და ანალოგიური კონფლიქტების გაჩენას საქართველოს სხვა რეგიონებში, სადაც ოსური მოსახლეობა ცხოვრობს.

2. მისიის წინადადებათა მიღება და განხორციელება, გარეშე მადესტაბილიზებელი ძალების ზემოქმედების პირობებში, გამოიწვევს ანალოგიური შეიარაღებული კონფლიქტების გაჩენას საქართველოს სხვა ზონებში (ორიდან ოთხ ზონამდე), რაც შექმნის საქართველოს ტერიტორიული დანაწევრების საშიშროებას, აგრეთვე (სპორადულად) ანალოგიური კონფლიქტების გაჩენას საქართველოს სხვა არეალებშიც.

3. მისიის „წინადადებები“ ურჩევენ საქართველოს რესპუბლიკას, რომ თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ მისცეს ცხინვალის რეგიონის ოსურ მოსახლეობას ისეთი უფლებები და პრივილეგიები, რომლებიც არაა გათვალისწინებული საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებით. მაგრამ საქართველოს რეპუბლიკამ მისი პარლამენტის და, შესაძლო რეფერენდუმის შემთხვევაში, მისი ელექტორატის სახით შეიძლება მიიღოს მხოლოდ ისეთი რჩევები საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც დაფუძნებული იქნება მთელი მსოფლიოს საზოგადოებისათვის მიღებულ ნორმებზე და ჩვენ ქვეყანას წარმოედგინება შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დოკუმენტების ტექსტების დამოწმებით. თავს უფლებას ვაძლევთ შევნიშნოთ, რომ ეროვნული უმცირესობანი საქართველოში ტრადიციულად სარგებლობენ შეუდარებლად უფრო დიდი და უფრო მრავალმხრივი უფლებებით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საერთაშორისოდ მიღებული დოკუმენტებით ან არაკოდიფიცირებული ნორმებით.

4. რეკომენდაციების გამომუშავების პროცესში ეუთოს მისიამ გაითვალისწინა ქ. ცხინვალის და ცხინვალის რეგიონის ოსური მოსახლეობის (დაახლოებით 60 ათასი სული) აზრი, მაგრამ არ გაითვალისწინა ამავე ქალაქის და რეგიონის ქართველი მოსახლეობის (დაახლოებით 30 ათასი სული) აზრი და დანარჩენი საქართველოს ოსური მოსახლეობის (დაახლოებით 100 ათასი სული) აზრი.

ჩვენდა სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ გამოვთქვათ ჩვენი შთაბეჭდილება, რომ ეუთოს მისიამ საქართველოში თავისი პოზიციის შემუშავების პროცესში ზედმეტად გაუწია ანგარიში რუსეთის ფედერაციის ინტერესებს ქართულ-ოსური კონფლიქტის მიმართ (რომელთაც არც იურიდიული, არც მორალური საფუძველი არ გააჩნიათ და რომლებიც, სხვა კონკრეტულ პუნქტთა გარდა, იმაშიც მდგომარეობენ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების ხარჯზე ოსურ მხარეს კომპენსაცია მიეცეს იმ კომპრომისისათვის, რომელზეც რუსეთი შესაძლოა იძულებული იქნას წავიდეს ოსურ-ქისტური (ინგუშური) ტერიტორიული კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში, ანუ საქართველოში გადმოტანილი იქნას მწვავე პრობლემა, რომელიც დღეს რფ-ში დგას).

ჩვენი კონკრეტული შენიშვნები „წინადადებათა“ თაობაზე შემდეგია:

1. ტერიტორიის დასახელება.

ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც სამართლებრივ, ვერც მორალურ, ვერც პრაგმატულ (ანუ დღეს ან მომავალში მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით პერსპექტივის გამხსნელ) საფუძველს, რომ ცხინვალის რეგიონს (ანუ პარალელურ მდინარეთა ფრონეს, ლიახვის, ლეხურასა და ქსნის ხეობის ზედაწელებს) ეწოდოს „სამხრეთ ოსეთი“, როგორც ამას გვთავაზობენ „წინადადებათა“ ავტორები. „წინადადებებში“ არაა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ სახელწოდება „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებული კამათის უკან, რაშიც მხარეებს შორის კომპრომისი არ არსებობს, დგას კამათი ტერიტორიის მიკუთვნების შესახებ ამა თუ იმ მხარისათვის, სახელდობრ, — საქართველოსთვის ან „ჩრდილოეთ“ ოსეთისთვის, რომელიც ამჟამად რფ შემადგენლობაში შედის. სახელწოდებასთან დაკავშირებული კამათის უკან დგას კამათი მიწის (ტერიტორიის) შესახებ. თუ ცხინვალის რეგიონის ტერიტორია „საქართველად“ იწოდება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ იგი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის (ისევე, როგორც რუსეთში არსებული ავტონომიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, მაგალითად, ჩეჩნეთი და ქისტეთი შედიან რფ შემადგენლობაში) და თუ იგი მასში რჩება **მხოლოდ** სახელმწიფოთა საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის ძალით, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიის ყოფნა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ამ პრინციპის გადასინჯვა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, თუ კაცობრიობა (მსოფლიო თანამეგობრობა) გადაწყვეტს, რომ ხალხის, როგორც ეთნოკულტურული კოლექტივის, ერთიანობა უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია მისი განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით, ვიდრე არსებულ სახელმწიფოთა მთლიანობა, ან რომ ადამიანის ეთნოკულტურული თვითიდენტიფიკაცია (ანუ მისი თვითიდენტიფიკაცია თავის ხალხთან) მისთვის უფრო ფუნდამენტალურია (ანუ უფრო განუშორებელია მისი ადამიანური ბუნებისაგან და მისი ადამიანური უფლებებისაგან), ვიდრე მისი თვითიდენტიფიკაცია თავის თანამოქალაქეებთან, მაშინ თავ-თავისი ეთნიკური ტერიტორიების საზღვრებს შიგნით ხალხთა თვითგამორკვევის (თვითგანსაზღვრის) პრინციპი გარდაუვალად აღმოჩნდება უფრო წონადი, ვიდრე არსებულ საზღვართა ურღვევობის პრინციპი. არც ქართველები, არც ოსები არ არიან დარწმუნებულნი, რომ ეს არ მოხდება გაანუსაზღვრულ მომავალში. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს არ მოხდება, მაინც არაა სულერთი მოვლენათა განვითარებისათვის როგორც უახლოეს მომავალში, ისე ისტორიულ პერსპექტივაში მრავალ საუკუნეთა მანძილზე, თუ **ვის** ტერიტორიად (ანუ ტერიტორიად, რომელზედაც მოცემული ხალხი სხვებზე უფრო „მკვიდრი“ ანუ ავტოხთონურია და რომელთანაც ეს ხალხი სხვებზე უფრო ორგანულადაა დაკავშირებული ისტორიულად და ამჟამად) ჩაითვლება ეს მიწა-წყალი. ყოველ შემთხვევაში, ეროვნულ ურთიერთობათა მთელმა გამოცდილებამ ყოფილ რუსულ იმპერიაში საერთოდ და ცეცხლითა და მახვილით დაპყრობილ კავკასიის რეგიონში კერძოდ დიდი ხანია ასწავლა ამ რეგიონის ხალხებს თავიანთი ეროვნული ინტერესების, მათ შორის თავიანთი ეროვნული გადარჩენის იმედის და ამ მიზნისაკენ მიმართული პოლიტიკური აქტივობის დაკავშირება „თავისი მიწის“, „თავისი ეროვნული ტერიტორიის“ ცნებასთან ანუ იმ მიწის ცნებასთან, რომელზედაც ეს ხალხი ცხოვრობს ისტორიულად („ოდითგანვე“) და რომლის მიმართაც ამ ხალხს, როგორც ასეთს, თავისი გარკვეული უპირატესი უფლებები აქვს. ეროვნულ-ტერიტორიული თვითშეგნების ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა როგორც ჩრდილოეთ კავკასიის, ისე ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული თავდაცვის საქმეში ისეთ პირობებშიც, როცა მათ არა მარტო პოლიტიკური, არამედ დემოგრაფიული პოზიციებიც სუსტი აღმოაჩნდათ მათ საცხოვრებელ ადგილებში რუსების მიერ არაადგილობრივი მოსახლეობის გეგმაზომიერი ჩასახლების შედეგად, და, როგორც ჩანს, ითამაშებს მომავალშიც. ეს მთლიანად ეხება „ჩრდილოეთი“ ანუ ნამდვილი ოსეთის მოსახლეობას. ახლა ოსებს უჩნდებათ შესაძლებლობა „თავიანთ მიწად“ მიიჩნიონ საქართველოს ნაწილიც. ასე რომ, ოსთა იმედის უკან, რომ ცხინვალის რეგიონს „სამხრეთ ოსეთი“ ეწოდოს, დგას მათი მისწრაფება, მიაღწიონ ამ ადგილის აღიარებას მათ სამშობლოდ ზემოაღნიშნული გაგებით, ხოლო ქართველების სურვილის უკან, რომ არ დაუშვან ეს, დგას მათი მისწრაფება, არ დაკარგონ თავისი ეროვნული ტერიტორიის, თავისი სამშობლოს ერთი ნაწილი ოსთა სასარგებლოდ.

ავტორთა წინადადება, რომ ცხინვალის რეგიონს კვლავ გადაერქვას სახელი „სამხრეთ ოსეთად“, ემყარება ვარაუდს, რომ ასეთი გადაწყვეტილება, დააკმაყოფილებს რა ოსებს, მოგვიტანს მშვიდობას. მაგრამ ეს პროგნოზი არასწორია. ორი „ოსეთის“ არსებობა არათუ არ ჩააქრობს, არამედ, პირიქით, გააძლიერებს კონფლიქტს, დაუყენებს რა მომავალ ოსთაობებს პირველ ნომერ ზოგადეროვნულ ამოცანად ორი „ოსეთის“ შეერთებას. ვინაიდან საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მიუღებელია საქართველოსთვის, კონფლიქტი განვითარდება და ჯამში მიგვიყვანს ან ოსთა გამარჯვებამდე, ანუ ცხინვალის რეგიონის საქართველოსგან ჩამოშორებამდე, ანუ ოსეთისთვის გადაცემამდე, ან, პირუკუ, ქართველების გამარჯვებამდე ანუ ოსების მიერ თავის პრეტენზიაზე საბოლოო ხელის აღებამდე (რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს საქართველოში მცხოვრებ ოსთა უფლებების რაიმენაირად შეზღუდვას), რის შედეგადაც რეგიონის დასახელების საკითხი დაკარგავს თავის სიმწვავეს. ასე რომ, წინადადება, რომ, მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ რეგიონს „ოსეთი“ ეწოდოს, ტოლფასია ქართველი ერისათვის იმის შეთავაზებისა, რომ მოახდინოს კაპიტულაცია ოსების წინაშე.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომის უპერსპექტივობა ჩანს, სხვათა შორის, იმ ფაქტიდანაც, რომ ცხინვალის რეგიონის ოსურ მოსახლეობაში სეპარატისტული განწყობილება უფრო ძლიერია უმცროს თაობაში, რომელიც ხელოვნურად არის მიჩვეული იმ აზრს, რომ ცხინვალის რეგიონი „ოსეთია“, ვიდრე უფროს თაობათა შორის. უდავოა, რომ ამ სახელის დაკანონება მომავალში უფრო და უფრო გააძლიერებს ამ განწყობილებას.

„წინადადებათა“ ავტორები იმოწმებენ იმ გარემოებას, რომ „უკვე რამდენიმე თაობა ადამიანებისა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთ შესაბამისი ტერიტორიის აღსანიშნავად იყენებს სახელწოდებას „სამხრეთ ოსეთი“. საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, აგრეთვე თვით ეუთოს პრინციპების თანახმად, ნებისმიერი შეთანხმება უნდა ემყარებოდეს თვით ფაქტებს და არა მათი წარმოშობის ისტორიას. ფაქტი კი ისაა, რომ არსებობს ტერიტორიული ერთეული „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული და უმთავრესად ოსებით დასახლებული. ამ ტერიტორიული ერთეულის უფლებაა შეინარჩუნოს ამჟამინდელი სახელწოდება ან აირჩიოს ნებისმიერი სხვა“.

ამ არგუმენტს შეუძლებელია დავეთანხმოთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, თანახმად საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის კანონისა, რომელიც მიღებულია კანონიერი გზით არჩეული სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, გაუქმებულია „სამხრეთ ოსეთის აო.“ ეს არის აქტი, რომლის კანონიერებაში ეჭვის შეტანის არავითარი საფუძველი არ არსებობს, ხოლო „სამხრეთ ოსეთის აო“-ს შექმნა საქართველოში 1922 წელს იყო არალეგალური აქტი, რომელიც განახორციელა აშკარად არალეგიტიმურმა (არავისგან არჩეულმა) ხელისუფლების ორგანომ უცხოური ოკუპაციის პირობებში. უზენაესი საბჭოს ხსენებული კანონი არავის გაუუქმებია (და დიდად პატივცემული ავტორები არ მიუთითებენ არავითარ საფუძველს, რომელიც დაგვაეჭვებდა ამ აქტის კანონიერებაში), თუმცა თავს უფლებას აძლევენ არა მარტო გადაუხვიონ საქართველოში მიღებულ ოფიციალურ ტოპონიმიკას, არამედ უარყონ კიდეც იგი. ასე რომ, ზემოთ ციტირებული მტკიცება, თითქოს „არსებობს სამხრეთ ოსეთად წოდებული ტერიტორიული ერთეული“, მკაცრი იურიდიული ნორმების თანახმად არ შეესაბამება სინამდვილეს (არსებობს მხოლოდ სეპარატისტ მეამბოხეთა მიერ დაკავებული ტერიტორია, რომელიც ამ უკანასკნელთ ერთი დღეც კი არ უკონტროლებიათ რუსეთის ჯარების გარეშე). მეორეც, ზედსართავი „ოსური“ როგორც ტერიტორიის აღმნიშვნელი და არა მეტაფორა, საქართველოში საერთოდ (და არა მხოლოდ მოცემულ რეგიონში) გაჩნდა (სპონტანურად) მხოლოდ XIX საუკუნეში, ე.ი. უცხო ოკუპაციის პირობებში, და ისიც — მხოლოდ უცხოური საოკუპაციო ადმინისტრაციის სიტყვახმარებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი არანაირად არ ასახავს ქართველთა და ოსთა ურთიერთობის განვითარებას არც ამ ტერიტორიაზე, არც მის გარეთ. აქედან გამომდინარე, არ არსებობს არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძველი, რომ ოკუპანტთა მიერ შექმნილ ტერმინოლოგიას, რომელმაც მხოლოდ ოკუპაციის პირობებში იარსება, უპირატესობა მიეცეს იმ ტერმინოლოგიასთან შედარებით, რომელიც ბუნებრივად შეიქმნა და ათასწლეულების მანძილზე არსებობს. მესამეც, გამოთქმა „ტერიტორიული ერთეული“ ყოფილ „სამხრეთ ოსეთის აო“-სთან მიმართებაში პირობითია, რამდენადაც ეს ადგილი, რომელსაც არ გააჩნია არც გეოგრაფიული, არც ეკონომიკური ან საკომუნიკაციო (საგზაო-მისადგომი) და სხვა იმგვარი კავშირები თავის

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

შიგნით, რომლებიც თავისი ინტენსიურობით გადააჭარბებენ ასეთივე კავშირებს მეზობელ მხარეებთან (რაიონებთან) კავკასიის ქედის სამხრეთით, არ წარმოადგენს რაიმე „ერთეულს“ (და ამიტომაცაა, რომ მას არ გაუჩნდა არავითარი საერთო სახელწოდება ისტორიის მანძილზე), არამედ იგი წარმოადგენს მხოლოდ ხელოვნურ გაერთიანებას ოთხი რაიონისთვის (ოთხი ხეობისათვის), რომელთაგან ორის ზედაწელებში ბოლო ასი წელია, რაც ოსური მოსახლეობა ჭარბობს.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ ციტირებულ პრინციპს „შეფასება უნდა ეფუძნებოდეს თვით ფაქტებს და არა მათი წარმოშობის ისტორიასო“ ისევე წინდახედულად უნდა მივუდგეთ, როგორც მის მოპირისპირე პრინციპს, — ტერიტორიული და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას მხოლოდ ისტორიის საფუძველზე. პირველი პრინციპი, თუ იგი არაა დაკონკრეტებული და რეალისტურად განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცეული, ტოლფასია ერებისთვის იმ უფლებაზე უარის თქმისა, რომ ისტორიული მეხსიერება ჰქონდეთ, ეს კი შეუთავსებადია ადამიანის, როგორც გონიერი არსების, ბუნებასთან და თანამედროვე მსოფლიოს რეალობასთან, რომელშიც არც ერთი ერი არაა განწყობილი და არც ვინმეს მიერაა იძულებული, რომ ასეთ მსხვერპლზე წავიდეს. მოვიყვანთ უბრალო მაგალითს: გენოციდის და ეთნიკური წმენდის ჩატარებით ერი როდი იძენს ავტომატურად უფლებას, რომ თავისუფალი იყოს ამ ქმედებებზე პასუხისმგებლობისგან და ისარგებლოს მათი შედეგებით, თუმცა ეს უკანასკნელნი (ეს შედეგები) ფაქტებად ხდებიან ამ ქმედებათა ჩადენისთანავე. და პირუკუ: აბსურდია შეიზღუდოს ევროპელთა უფლებები სხვა კონტინენტების მიმართ იმის გამო, რომ ისინი ამ კონტინენტთა ისტორიულად პირველი მოსახლენი არ არიან. ასე რომ, არსებობს ერის ტერიტორიული მეხსიერების სიღრმის რაღაცა ოპტიმუმი, რომელშიც იგი ვალდებულია იკისროს პასუხისმგებლობა და უფლებამოსილია პასუხისმგებლობა დააკისროს სხვებსაც. მოცემულ შემთხვევაში სიღრმის ეს კრიტიკული ნიშნული მიღწეული არაა. ქართველ ერს სთავაზობენ დაივიწყოს გუშინდელი ძალადობა, რომელიც უცხოელებმა მის წინააღმდეგ განახორციელეს ერთ-ერთი შედარებით გვიანდელი დიასპორის გამოყენებით, და დავიწყებას მისცეს ბუნებრივი გეოგრაფიული ნომენკლატურა, რომელიც უკვე ორი ათასი წელია, რაც არსებობს, იმ გარედან თავს მოხვეული გეოგრაფიული ნომენკლატურის სასარგებლოდ, რომელმაც იარსება საბჭოთა ოკუპაციის 69 წლის მანძილზე.

II. ცხინვალის რეგიონის ტერიტორიული ავტონომიის საკითხი

ავტონომია არ არის რაღაც ტერიტორიის ან რაღაცა ჯგუფის თვითმმართველობა (ანუ შეფარდებითი დამოუკიდებლობა მოცემული სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან), როგორც თვითმიზანი. იგი არის საშუალება ლეგალური (კონსტიტუციური) პირობების შექმნისა, რათა გარანტირებული იყოს მოცემული ჯგუფის (კერძოდ კი — უმცირესობის) და მასში შემავალი ინდივიდების დაცვა რაღაცა მათთვის არსებითი (ანუ ადამიანის ფუნდამენტურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებთან დაკავშირებული) და სასიცოცხლო უფლებების ისეთი შელახვისაგან, რომელსაც არ განიცდიან სხვა ადამიანები, რომლებიც ამავე ქვეყნის მოქალაქენი არიან, მაგრამ მოცემულ უმცირესობას არ ეკუთვნიან. ავტონომიის არსებობა შეიძლება ეფუძნებოდეს ან მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ პრინციპებს და მიზნებს (სახელდობრ, თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის პრინციპებს და ზემოხსენებული გარანტიის შექმნის მიზანს) ან იგი შეიძლება განსაზღვრული იყოს არა მიზნით, არამედ მხოლოდ მიზეზით, კერძოდ, ძალთა დაახლოებითი დროებითი ბალანსის არსებობით მოცემული სახელმწიფოსაგან გამოყოფის მსურველ უმცირესობასა (ანუ ადგილობრივ უმრავლესობასა) და სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, რომელიც (ეს ბალანსი) განაპირობებს დროებით კომპრომისს მათ ურთიერთობაში. ვითვალისწინებთ რა ყველა შესაძლო მოტივს და ფაქტორს, საქართველოში ოსების ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის შექმნის მართებულობა-უმართებულობის საკითხის განხილვა აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგ ასპექტებში:

ტერიტორიული ავტონომია, როგორც ადამიანთა დაცვა დისკრიმინაციისაგან.

ყველაზე თვალსაჩინო ფორმა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან მორალური დისკრიმინაციისა, ანუ ადამიანთა შევიწროებისა ეროვნული, რელიგიური ან სხვა რამ ნიშნის მიხედვით, არის ინდივიდთა, როგორც ასეთთა, შევიწროება იმის გამო, რომ ისინი ამა თუ იმ უმცირესობას ეკუთვნიან. ამგვარი დისკრიმინაციის აღკვეთა თავის მთელ ტერიტორიაზე ყველა იმ სახელმწიფოთა პირდაპირი ვალდებულებაა, რომელნიც ხელს აწერენ საყოველთაოდ მიღებულ დოკუმენტებს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ. თავისთავად ფაქტი ამ დოკუმენტებზე ხელმოწერისა მოცემული სახელმწიფოს მხრიდან უკვე მოიცავს ამგვარ გარანტიას. ასე რომ, ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია არ არის აუცილებელი გარანტია ამგვარი შევიწროებისაგან იმ ადამიანთა დასაცავად, რომელნიც უმცირესობას ეკუთვნიან. ასეთად იგი არც საერთაშორისო პრაქტიკითაა აღიარებული, რომელიც სრულებითაც არ ცდილობს დააფუძნოს ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიები ამა თუ იმ სახელმწიფოში მეტნაკლებად კომპაქტურად მაცხოვრებელი ყველა უმცირესობისათვის. აქედან გამომდინარე, ოსური უმცირესობის დაცვის ინტერესები საქართველოში — კერძოდ, ამ უმცირესობის იმ 40%-ისა, რომელიც ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს — არ შეიძლება გახდეს საფუძველი ამ რეგიონში ოსური ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის შექმნისა.

ტერიტორიული ავტონომია, როგორც ხალხის თვითგამორკვევის (თვითგანსაზღვრის) უფლების გამოხატვა

მინორიტეტული (უმცირესობითი) ჯგუფების, მათ შორის ერის, თვითგამორკვევის უფლება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მის წევრთა უფლებას, თავისუფალნი და დაცულნი იყონ დისკრიმინაციისაგან. თვითგამორკვევის ეს უფლება არის ჯგუფური უფლება, რომელიც ემყარება და გულისხმობს ამ ჯგუფის შემადგენელ ინდივიდთა უფლებას, ფლობდნენ (ამავე ქვეყნის და სხვა ადამიანთა და, საერთოდ, ყველა ადამიანთა თანასწორად) ისეთ ღირებულებებს, რომელთა ფლობა და რეალიზაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ ჯგუფის მიერ. ასეთი ღირებულებები შეიძლება იყოს ორგვარი:

ა) ღირებულებები, რომელიც დაკავშირებულია ცხოვრების პრაქტიკულ კომფორტთან, როგორიცაა, მაგალითად, უფლება, რომ ადამიანმა განათლება მიიღოს თავის დედაენაზე, ჯგუფმა შეინახოს და დაიცვას თავისი ტრადიციები და ჩვეულებები, აიმაღლოს თავისი კეთილდღეობა, შეასრულოს თავისი რელიგიური კულტი თავისი ეკლესიის წიაღში და ა.შ. (როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, ამ სახის ღირებულებები შეიძლება მატერიალურიც იყოს და სულიერიც ან მორალურიც). ჯგუფის (უმცირესობის) უფლება, რომ ამ ღირებულებებით სარგებლობდეს, აგრეთვე არ საჭიროებს ამ ჯგუფის მიერ ტერიტორიული ავტონომიის ქონას, ვინაიდან მისი გარანტია უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხელმოწერით სათანადო უფლებადაცვით დოკუმენტებზე (ავტონომია შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ როგორც დამატებითი საშუალება ამ უფლებების რეალიზაციისათვის იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ბოროტად გამოყენებას უმრავლესობისა და ამ უკანასკნელის მიერ კანონიერად არჩეული ხელისუფლების მხრიდან).

ბ) ღირებულებები, რომელიც არაა დაკავშირებული პრაქტიკულ კომფორტთან, მაგრამ გააჩნია ძლიერი ფსიქოლოგიური და მორალური ზემოქმედების ძალა. ასეთია, მაგალითად, მინორიტეტული (უმცირესობითი) ჯგუფის უფლება შეინარჩუნოს, განავითაროს და დაიცვას თავისი ეროვნული ვინაობა, რადგანაც ეს უფლება ამავე დროს არის ადამიანის უფლება, იქონიოს თავისი ერის დაუშლელობის გარანტია, და რადგანაც ეს უფლება განუყრელადაა დაკავშირებული მის მთელ რიგ ყველაზე ფუნდამენტურ ადამიანურ უფლებებსა და მოთხოვნილებებთან. ეს უფლება აგრეთვე გარანტირებულია საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი დოკუმენტებით, თუმცა იმ ძალით და ზომით არა, როგორითაც ხდება ინდივიდთა დაცვა დისკრიმინაციისაგან. კერძოდ, ამ დოკუმენტებით გარანტირებულია მხოლოდ მინორიტეტული ჯგუფის ინდივიდთა დაცვა ძალადობისაგან, რომელიც მიმართულია მისი ეროვნული ვინაობის წართმევისაკენ, ანუ მისი დაცვა მხოლოდ ძალდატანებითი ასიმილაციისაგან. ადამიანის ფუნდამენტურ მოთხოვნილებათა და, მაშასადამე, აგრეთვე მის ადამიანურ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე მისი მოთხოვნილება, რომ დედამიწის ზურგზე ჰქონდეს ადგილი, რომელიც მისი ერის არსებობის ტერიტორიად იქნება აღიარებული, რისი წყალობითაც იგი, როგორც თავისი ერის წევრი, ამ დიდმნიშვნელოვან პარამეტრშიც ხდება კაცობრიობის ყველა სხვა შვილთა თანასწორი, რომელიც (ეს პარამეტრიც), პიროვნების ინტერესთა სტრუქტურის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი პარამეტრია. ამ მოთხოვნილებების ნაწილობრივი ან სრული დაკმაყოფილება შეიძლება განხორციელდეს ან ერის მიერ ტერიტორიული წარმონაქმნის — სახელმწიფოს — ქონის ფორმით იმ ადგილას, რომელსაც იგი თავისი ერის არსებობის ცენტრად თვლის და რომელსაც ასეთად მიიჩნევენ სხვებიც, ან ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით იმ ადგილას, რომელსაც იგი ცენტრად თვლის და რომელსაც ასეთად მიიჩნევენ სხვებიც. ეს ცენტრი, როგორც წესი, თანაჰხვდება იმ ადგილს, რომელიც მოცემული ერის ისტორიული სამშობლოა. არარეალისტურია მოცემულ კონკრეტულ ტერიტორიასთან ერის ისტორიული კავშირის, როგორც ეროვნული თვითშეგნების კომპონენტის, უარყოფა. ასე რომ, ერს ტერიტორიული ავტონომია ესაჭიროება იმისთვის, რომ მასში შემავალმა ინდივიდებმა, იქონიებენ რა თავის ყველასაგან აღიარებულ მიწას (ან თავის ეროვნულ ტერიტორიას), შეძლონ თავი შეიგრძნონ ერთა შორის თანასწორ ერად, ანუ თანაბარუფლებიან (პრინციპში) წევრად თანამედროვე კაცობრიობის შემადგენელ ხალხთა ერთობლიობაში. ეს უფლება საყოველთაოდ აღიარებულ უფლებადაცვით დოკუმენტებში დღესდღეობით ფიქსირებული არაა, ამიტომაც სახელმწიფოს ხელმოწერა ამ დოკუმენტებზე არ იძლევა გარანტიას მისი მხრიდან ამ უფლების დაცვისა მის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ეროვნული უმცირესობების შემადგენელ ინდივიდებთან (მაშასადამე ამ უმცირესობასთან, როგრც ჯგუფთან) მიმართებაში. ეს არის ერთადერთი, თუმც საკმარისი, ზნეობრივად გამართული საფუძველი ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიათა შესაქმნელად, თუმცა ერთი არსებითი შეზღუდვით (რომლის მიზეზი აშკარაა): ერის ამ უფლების განსახორციელებლად მას სჭირდება **ერთი** სახელმწიფო ან **ერთი** ტერიტორიული ავტონომია (მაგრამ არა რამდენიმე), სახელდობრ, ავტონომია მოცემული ერის ისტორიულ სამშობლოში, თუკი ასეთი რამ შესაძლებელია (მაშინაც, როცა ეს სამშობლო განაწილებულია სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუნდამენტური ადამიანური მოთხოვნილება, რომ ჰქონდეს საყოველთაოდ აღიარებული სამშობლო თავისი ერისათვის აწ და მარადის, არ წარმოადგენს საფუძველს მოცემული ერისათვის ტერიტორიული ავტონომიის შესაქნელად ყველგან, სადაც იგი მიგრაციის ან სხვა რამ პროცესების შედეგად რაოდენობრივ უპირატესობას მიაღწევს. ბუნებრივია, რომ ტერიტორიული ეროვნული ავტონომიები თანამედროვე მსოფლიოში, როგორც წესი, დიასპორებისათვის არ იქმნება (რადგანაც ეს გამოიწვევდა მწვავე წინააღმდეგობას ე.წ. „სატიტულო“ ეროვნების მოსახლეობისაგან). ძალიან ხშირ შემთხვევაში ავტონომიები არ იქმნება არა მხოლოდ იმ ეროვნული ჯგუფებისათვის, რომლებიც ასეთ შემთხვევაში შეიძენენ [illegible] მესამე ეროვნულ [illegible] არამედ არც იმათთვის, რომელთაც, აქვთ რა მკვეთრად გამოხატული ეროვნული ვინაობა (იდენტურობა), არ მოეპოვებათ არცერთი ამგვარი ტერიტორია დედამიწის ზურგზე.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ტერიტორიული ავტონომია შეიძლება იყოს, უბრალოდ, დროებითი კომპრომისი სახელმწიფოსა და მისგან გამოყოფის მსურველთა შორის. ასეთ შემთხვევაში ავტონომიის მართებულობის კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ ის, თუ რამდენად გამართლებულია მოცემული მოსახლეობის სწრაფვა გამოყოფისაკენ. თუ ეს მოსახლეობა წარმოადგენს მთელ ერს ან მის ძირითად ნაწილს (და არა მხოლოდ დიასპორას) და თუ ეს ტერიტორია არის ქვეყანა, რომელიც ძალით დაიპყრო იმუამინდელმა უმრავლესობამ (უმრავლესობამ სახელმწიფოს მასშტაბით ანუ სახელმწიფოს „სატიტულო“ ერმა) არცთუ შორეულ წარსულში, ასეთ შემთხვევაში ამგვარი მისწრაფების მოტივებმა შესაძლოა გადაწონონ ის მოტივები, რომლებიც გააჩნია ადგილობრივ უმცირესობას (ანუ უმრავლესობას სახელმწიფოს მასშტაბით, სახელმწიფოს „სატიტულო“ ეროვნებას) ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ. ასეთია, მაგალითად, მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა, რომლებიც შედიან რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. მათთვის დღესდღეობით ავტონომიის სტატუსი წარმოადგენს კომპრომისს მათ მისწრაფებაში, რომ იქონიონ საკუთარი სახელმწიფოებრიობა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ არსებობს ცხინვალის რეგიონში, სადაც მოსახლეობის ოსური 2/3 წარმოადგენს დიასპორას, რომელსაც გააჩნია თავისი სახელის მატარებელი ეროვნული ტერიტორია საქართველოს გარეთ და, ამგვარად, არა აქვს უფლება, რომ მოინდომოს საქართველოში თავისი სახლობის ადგილი მოაცილოს საქართველოს დღეს ან მომავალში. თვითგამორკვევა (თვითგანსაზღვრა) ეროვნული ან რომელიმე მინორიტეტული (უმცირესობითი) ჯგუფისა არის მის მიერ გამორკვევა (განსაზღვრა) თავისი თავისა ანუ თავისი ცხოვრების ფორმისა, თავისი კულტურული და სხვა ინტერესებისა, საკუთარი ეროვნული ვინაობის შენარჩუნების გზებისა და საკუთარი ეკონომიკური თუ სხვა ინტერესების წინწაწევისა, მაგრამ არა იმ ტერიტორიის სტატუსისა, სადაც იგი განგების ნებით დღეს ცხოვრობს.

ავტონომია, როგორც ადგილობრივი უმრავლესობის გამარჯვების შედეგი

რამდენადაც ტერიტორიული ავტონომია არის კომპრომისული დარეგულირება ანუ საშუალო მდგომარეობა შესაბამისი ტერიტორიის სახელმწიფოსაგან გამოყოფასა და სახელმწიფოს სხვა ნაწილთაგან განუსხვავებელი სახით სახელმწიფოში მის დარჩენას შორის, ამდენად მის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორთაგანი არის ძალა. როდესაც ე.წ. ისტორიის სასწორი მოძრაობაში მოდის, ანუ როდესაც მიმდინარეობს სახელმწიფოთა ფორმირების და გადაფორმირების პროცესი, საზღვრების შეცვლა (მათ შორის —

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

შინაგანისაც), ეს არის მოცემულ რეგიონში ან მთელ მსოფლიოში ძალთა მიმართების ცვლილების შედეგი. საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისოდ მიღებულ უფლებადაცვით დოკუმენტებში დაფიქსირებული ნორმები უშვებენ ამ პროცესს იმ შემთხვევაში, თუ

ა) შედეგებს არ მივყავართ ადამიანის უფლებათა დარღვევისაკენ და

ბ) ამ პროცესის მსვლელობაში არ ხდება ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორე სახელმწიფოს შინაგან საქმეებში.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა არც ეწინააღმდეგება, არც ემხრობა სეცესიონისტურ (გამოყოფის მაძიებელ) ძალთა ბრძოლას მოცემული სახელმწიფოს უშიშროების ორგანოების წინააღმდეგ, — ისევე, როგორც ამ უკანასკნელთა ბრძოლას პირველთა წინააღმდეგ — იმ შემთხვევაში, თუ არ ირღვევა ადამიანის უფლებები ან ომის წარმოების ნორმები. ამავე დროს სახელმწიფოს საზღვრების ურღვევობის პრინციპი უმაღლეს პრინციპად რჩება.

პრობლემის მიმართ ასეთი დამოკიდებულება თავის გამართლებას პოულობს იმაში, რომ იგი ხელს არ უშლის ზემოხსენებულ ძალთა თავისუფალ ურთიერთობას და ამით იძლევა შესაძლებლობას ბუნებრივი თვითმოწესრიგებისათვის. ამავე დროს მოქმედების ამ თავისუფლებას იგი საზღვრავს მხოლოდ იმ სფეროთი, რომლიც დღესდღეობით საერთაშორისო ნორმებით არ რეგულირდება.

საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ქართულ-ოსური კონფლიქტის შემთხვევაში ზემოთნახსენები საფუძველი ოსებისათვის ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის შესაქმნელად არ არსებობს. ამ ავტონომიის არსებობა 1922-1990 წლებში არ იყო ქართველებზე ოსების გამარჯვების შედეგი, ისევე როგორც ასეთად ამჟამად არ გვევლინება ოსური შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ერთი დიდი ნაწილის — მდ. ფრონეს, ლიახვის, ქსნისა და ლეხურის ხეობათა ზედაწელების — კონტროლირების ფაქტი. ეს ფაქტი იყო და არის გარეშე, — კერძოდ, რუსული — შეიარაღებული ძალების მოქმედების და ამ ძალთა ამ ადგილზე დგომის შედეგი. ოსურ ტერიტორიულ ავტონომიას საქართველოში დღემდე არც ერთი საათი არ უარსებია რუსეთის შეიარაღებულ ძალთა დასწრების გარეშე.

საქართველოში ოსური ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის შექმნასთან დაკავშირებული საშიშროებანი

ეუთო-ს მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების თანახმად საქართველოში ოსური ტერიტორიული ავტონომიის შექმნის შემთხვევაში მისი წინასწარმეტყველებადი შედეგები იქნებოდა ამგვარი:

ა. შეუძლებელი გახდებოდა ის საქართველოსათვის მისაღები ერთადერთი სახელმწიფო მოწყობა, რომლის დროსაც ტერიტორიული ავტონომიით ანუ არასუვერენული სახელმწიფოებრიობით სარგებლობენ აფხაზები (აფსუები), რომლებსაც არ გააჩნიათ არც ეროვნული სახელმწფოებრიობა, არც ეროვნული ტერიტორია საქართველოს გარეთ, მაგრამ ტერიტორიული ავტონომია არა აქვთ სხვა ეროვნულ ჯგუფებს, სახელდობრ, დიასპორებს, რადგანაც ეს გარდუვალად გამოიწვევდა ქვეყნის დაშლას. სახელდობრ, ყოველ დიასპორას გაუჩნდებოდა მისწრაფება ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის ქონისაკენ, რაც გარდუვალად გამოიწვევდა აქტივობას მოცემული ტერიტორიის გამოყოფისა და მის მეზობელ სახელმწიფოსათვის გადაცემის მოთხოვნით (სხვა ვარაუდი არარეალისტურია).

ბ. ნაკლებად, ვიდრე ტერმინის „სამხრეთ ოსეთი" შემოღების შემთხვევაში, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა სეპარატისტული მოძრაობა მდ. ფრონეს, ლიახვის, ლეხურასა და ქსნის ხეობათა ზედაწელების საქართველოდან გამოყოფის მიზნით. ამასთან, სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელოვნად გაზრდილი გამჭვირვალეობის გამო, გაადვილდებოდა ოსთა „სახალხო მოძრაობის" ორგანიზაცია და სტიმულირება ავტონომიის სტატუსის ამაღლებისათვის, შემდგომ კი საქართველოდან გამოყოფისათვის.

გ. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული და დემოგრაფიული განვითარების მიმართულების განსაზღვრა აღნიშნულ ტერიტორიაზე იქნება არა საქართველოს ცენტრალური მმართველობის, არამედ ცხინვალის ხელისუფლების ფუნქცია, რაც მოსალოდნელია ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის შექმნის შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი ოსური ძალაუფლება გამოყენებული იქნება, რათა

— საქართველოს პოზიციების შესუსტების მიზნით მოხდეს სტიმულირება და ორგანიზება ოსური იმიგრაციისა საქართველოს საზღვრებს გარედან;

— მოხდეს ორგანიზება და სტიმულირება ოსური იმიგრაციისა საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან და ამ გზით შეიქმნას რეგიონში უფრო კომპაქტური ოსური მოსახლეობა, ამავე მიზნით;

— არ იქნას დაშვებული ქართული მოსახლეობის შემოსვლა რეგიონში და ხელი შეეწყოს მის გასვლას რეგიონიდან, რაც გამოიწვევს, სხვათა შორის, ყოველგვარი სოციალური და ეკონომიკური შემოქმედების ჩაკვდომასაც რეგიონის მოსახლეობაში, რომელიც მთლიანად ჩართული იქნება ან ოსური პოზიციის გაძლიერების (მომავალი სეცესიის მოლოდინში) ან, პირიქით, ამ მიზნის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამ პერსპექტივის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ ხელისუფალთა კომპეტენცია განისაზღვრება მხოლოდ თვითმმართველობით, ხოლო ოსთა ინტერესები საქართველოში დაცული იქნება საერთო სახელმწიფოებრივი (და არა ადგილობრივი) მასშტაბით, ანუ დაცული და დარეგულირებული იქნება იმ ასი ათასი ოსის მონაწილეობით, რომელნიც ცხინვალის რეგიონს გარეთ ცხოვრობენ.

ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია ეძლევა არა მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის ერთ-ერთ ნაწილს, არამედ მის მთელ მოსახლეობას. ამგვარად, თუ შეიქმნება ავტონომია ოსთა სპეციფიკური ინტერესების დასაცავად, ეს იქნება მოსახლეობის ქართველი ნაწილისათვის დამატებით ამოცანათა და ვალდებულებათა ტვირთის დაკისრება ისეთი მიზნების სამსახურისათვის, რომელნიც მის მიზნებს არ წარმოადგენენ. ეს იქნება ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაცია.

დ. ამგვარი უთანასწორობა შესაძლებელია გამართლებულ იქნას ხოლმე მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა იგი აუცილებელი ხდება რომელიმე სხვა, უფრო დიდი უთანასწორობის გასასწორებლად, სახელდობრ, ისეთ შემთხვევაში, როცა ადგილობრივი უმრავლესობა ავტონომიის უქონლობით კარგავს თავის ეროვნულ ვინაობას, თავის სამშობლოს ან სხვა რამ მაღალ ღირებულებებს, რომლებზეც ადამიანი ხელს ვერ აიღებს და არ უნდა აიღოს. ასეთი საშიშროება ქართულ-ოსური კონფლიქტის შემთხვევაში არ არსებობს, რამდენადაც არსებობს ოსეთი („ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა" რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში), რომელიც ოსთა ისტორიული სამშობლოა და რომელსაც არაფერს აკლებს საქართველოში უსამართლო და უკანონო ოსური ტერიტორიული ავტონომიის არარსებობა (თუ რა გარანტიები გააჩნია ოსურ დიასპორას საქართველოში თავისი ეროვნული ვინაობის შესანარჩუნებლად და დასაცავად, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ).

ე. დაბოლოს, ეუთოს წინადადება, რომ ოსებს მიეცეთ ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია ცხინვალის რეგიონში, თუკი იგი განხორციელდება, შესაძლებელია პრეცედენტი გახდეს ანალოგიური პრობლემების ისეთი გადაწყვეტისათვის მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც, რომელიც სტაბილიზაციის ნაცვლად გარდუვალი სისხლიანი კონფლიქტების საფუძველი გახდება ახლო მომავალში ან პერსპექტივაში. მართლაც, თუ მოცემული ერის რაოდენობრივი უპირატესობა რომელიმე ქვეყნის რომელსამე ტერიტორიაზე, რომელიც არაა ამ ერის ისტორიული სამშობლო (იმ შემთხვევათა ჩათვლით, როცა ეს რაოდენობრივი უპირატესობა გამოწვეულია იმიგრაციით სულ რამდენიმე თაობის მანძილზე), აღიარებული იქნება საკმარის საფუძვლად, რათა ნებისმიერ ქვეყანაში ასეთი ადგილობრივი უმრავლესობისათვის შეიქმნას ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია (რაც, ცხადია, ვერ დაემთხვევა დანარჩენი, მათ შორის — ავტოხთონური მოსახლეობის ინტერესებს), ეს აუცილებლად გამოიწვევს მოსახლეობის ერთი ნაწილის შიშს მეორე ნაწილის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე და პირუკუ, ანუ შექმნის ობიექტურ პირობებს და მოტივაციას ეთნიკური წმენდისათვის და ამ უკანასკნელის ყველაზე ბარბაროსული მეთოდისათვის — გენოციდისათვის ექსტრემალური სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში. ასე რომ საქართველოში ეუთოს მისიის მიერ შემოთავაზებული პრინციპი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაწესრიგებლად მხოლოდ უმართებულო კი არაა (რადგანაც იგი ერებს უარს ეუბნება უფლებაზე ისტორიული მეხსიერება ჰქონდეთ), არამედ საშიშიცაა, უფრო მეტიც — ფეთქებადია მთელი მსოფლიოსათვის მისი განზოგადების შემთხვევაში.

III. ქართულ-ოსური კონფლიქტის განვითარება

პოსტკომუნისტურ ეპოქაში საქართველოში ეუთოს მისიის როლი კონფლიქტის განვითარების ისტორიაში

ე. წ. სოციალისტური სისტემის დაშლამ სსრკ-ში 70-იანი წლების შუახანებიდან საქართველოშიც წარმოქმნა „დისიდენტობად" ცნობილი მოძრაობა. ეს მოძრაობა იყო რამდენადმე შერბილებული და ტოტალიტარულ რეჟიმთა შემსუბუქების თანამედროვე პროცესებზე მორგებული გაგრძელება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა. საქართველოში მცხოვრებ ოსთა შორის დისიდენტური მოძრაობა არ ყოფილა არც ყოფილ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში", არც მის გარეთ. ყოფილ სოაოში (უფრო ზუსტად — მისი ინტელიგენციის ერთ ნაწილში და მისი ადმინისტრაციის სათავეში მყოფ პირთა შორის), მაგრამ არა მის გარეთ, იყო მოძრაობა ოლქის შემდგომი გაოსებისათვის (და რუსიფიკაციისათვის), მიმართული საქართველოს წინააღმდეგ და ორიენტირებული რუსეთის მხრიდან მხარდაჭერაზე. ეს მოძრაობა სტიმულირდებოდა მოსკოვიდან, და სავსებით კანონზომიერად ძლიერდებოდა ხოლმე მაშინვე, როგორც კი გაძლიერდებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევის შედეგად საქართველოში კომუნისტური მმართველობის დაცემის შემდეგ (1990 წლის 28 ოქტომბერი) საბჭოთა ლოზუნგები და წითელი დროშა ცხინვალში კიდევ დიდხანს იყო ხელუხლებელი, ხოლო ლენინის ძეგლმა ცხინვალში უფრო დიდხანს იარსება, ვიდრე სადმე სხვაგან დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე.

მას შემდეგ, რაც მწვავე კონფლიქტით დასრულდა ცხინვალის შესასვლელში 1989 წლის 23 ნოემბერს გამართული ქართული მიტინგი (რომელიც შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ მილიციამ, რომელიც აკავებდა დემონსტრანტების ავტობუსების კოლონას, მოულოდნელად გახსნა გზა ცხინვალისაკენ ს. ერგნეთთან), დაიწყო საავტომობილო გზების ურთიერთპიკეტირება ქართული და ოსური მოსახლეობის მხრიდან, რასაც თან ახლდა მრავალრიცხოვანი ექსცესები, რომელთა პირველი მსხვერპლი იყო 17 წლის ვეფხია თუთარაშვილი, 1989 წლის 30 დეკემბერს საფარიდან თოფით მოკლული ხნიერი ოსის მიერ ქ. ცხინვალისა და ს. თამარაშენის მიჯნაზე. მას შემდეგ, რაც გაურკვეველი პიროვნებების მიერ სოფ. ზნაურისაკენ გასროლილი ჭურვით დაიღუპა ბავშვი, მოხდა ქართული სოფლების აწიოკება იმ დროისათვის საკმაოდ მშვიდ ზნაურის რაიონში და განხორციელდა რაიონის სრული დექართველიზაცია. 1990 წლის 20 სექტემბერს სოაო-ს საოლქო საბჭომ ოლქი გამოაცხადა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად", რითაც ესკალაციის კიდევ ერთი ხვეული შეჰმატა სეპარატისტული პროგრამის განხორციელებას. იმავე წლის 9 დეკემბერს ოსებმა ჩაატარეს ასევე უკანონო „რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს" არჩევნები, ხოლო ორი დღის შემდეგ, 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა უკანონო ავტონომია. 1990 წლის დეკემბერში ზ. გამსახურდიას ადმინისტრაციამ [illegible] ჯარებს და საქართველოს [illegible] დააკისრა რეგიონში წესრიგის დაცვის ფუნქცია. რუსეთის მხარე სისტემატურად უწევდა სტიმულირებას, აიარაღებდა და სხვადასხვა ფორმით უჭერდა მხარს ოს სეპარატისტებს (მაგალითად, რუსეთის შინაგანმა ჯარმა, რომელიც ცხინვალსა და ს. ერგნეთს შორის იდგა, თავის პოსტთან თვითნებურად აღმართა „სასაზღვრო" ბოძი წარნერით „რსფსრ").

მიუხედავად სსრკ-ს იმ დროს ჯერ კიდევ არსებობისა, რუსეთის (საბჭოთა) მხარე ოს ექსტრემისტთა მხარდასაჭერად მიმართული ამ ანტიქართული მოქმედებისას რაღაცა ზომით მაინც ანგარიშს უწევდა როგორც საქართველოს უფლებას დამოუკიდებლობაზე, ისე საქართველოს უფლებას, თვითონვე გადაეწყვიტა თავისი სახელმწიფო მოწყობის საკითხები. ამის ილუსტრაციაა სსრკ, რსფსრ და საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების საპარლამენტთაშორისო კომისიის 1991 წლის 31 მაისის ოქმი, რომელშიც ნათქვამია:

Межпарламентская комиссия Верховных Советов СССР, РСФСР и Республики Грузия с участием представителей населения региона конфликта, исходя из положений Конституций СССР, РСФСР и Республики Грузия, признающих государственный суверенитет и территориально-политическую целостность Республики Грузия и нормы Международного права, признающих принцип невмешательства во внутренние дела суверенной республики, ознакомившись с положением дел на месте, считает, что настоящий конфликт препятствует нормальному процессу восстановления государственной независимости Грузии, согласно волеизъявления её граждан на референдуме 31 марта 1991 года, связан с попыткой определённых сил нарушить территориально-политическую целостность Республики и имеет политическую основу.

ამავე ტონალობაში მიმდინარეობდა ზემოხსენებული საპარლამენტთაშორისო კომისიის მუშაობის განხილვა სსრკ ეროვნებათა საბჭოს კომისიაში 1991 წლის 20 ივნისს. მაგრამ 1991 წლის 22 დეკემბერ-1992 წლის 6 იანვრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ რუსეთის ფედერაციის ტონი საქართველოს მიმართ ქართულ-ოსური კონფლიქტის თაობაზე უფრო კატეგორიული გახდა. ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალი ადამიანები (კიტოვანი, იოსელიანი, სიგუა და შემდეგ — მათ მიერ მოწვეული შევარდნაძე), რომელთაც ამჯობინეს არ გამოეთქვათ ნათლად თავისი აზრი რეგიონის ტერიტორიული სტატუსის შესახებ. მათ არავითარი ნაბიჯი არ გადადგეს იმისთვის, რომ განემარტათ გაეროსთვის, ეუთოსთვის ან მეზობელი რუსეთისათვის ის სასიკვდილო საშიშროება, რომელსაც უქმნიდა ცხინვალის რეგიონის ტერიტორიული ავტონომიის არსებობა საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობას და შემდგომში მის სტაბილობას (ერთადერთი, რაც ზემოხსენებულმა მმართველებმა იღონეს კონფლიქტთან დაკავშირებით, ის იყო, რომ მათ 1992 წელს შემოიღეს ამ ტერიტორიის უფრო რაციონალური რაიონირება, ვიდრე მანამდე იყო). რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის შევარდნა-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

ძის მიერ სანქცირებულ იქნა კონფლიქტის ზონაში „მშვიდობისმყოფელი“ და „მშვიდობისდამცველი“ ფუნქციების დაკისრება მეზობელი სახელმწიფოს (რუსეთის) შეიარაღებული ძალებისათვის, რაც იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დაშვებულ იქნა რუსეთის შეიარაღებული მარეგულირებელი როლი ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე, რასაც, მეტად უცნაურად, წინ უძღოდა, საქართველოში ლეგიტიმური და მოქმედი ხელისუფლების არარსებობის პირობებში, საარტილერიო გასროლათა გრძელი სერია ქ. ცხინვალისაკენ. რფ უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა ჯგუფი (არუთინოვი, ლინკოვი, შეინისი) თვითნებურად (საქართველოს ხელისუფალთა გაუფრთხილებლად) ჩავიდა კონფლიქტის რაიონში. თავის 1992 წლის 2 სექტემბრის მოხსენებაში ელცინის, ფილატოვის, კოზირევის, გრაჩოვის, შოიგუს სახელზე ისინი უკვე ლაპარაკობდნენ რუსეთის შეიარაღებულ მშვიდობისმყოფელ ფუნქციათა პერსპექტივაზე (ესენგეს სხვა ცხელ წერტილებში და მის გარეთაც) და „ექსტრემისტთა ხელყოფისაგან შევარდნაძის პოლიტიკის დაცვის“ აუცილებლობაზე, რომელსაც (შევარდნაძეს) „ამჟამად შეზღუდული აქვს სივრცე მანევრირებისათვის“. ამ დროს რუსეთის პოლიტიკა მდგომარეობს იმაში (და ასევეა იგი დღესაც), რომ იგი საქართველოსთან ყოვლისმომცველი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების დადების და რატიფიკაციის ერთ-ერთ პირობად აყენებს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებას და, ამასთანავე, ჯიუტად უწოდებს ზემოხსენებულ რეგიონს „სამხრეთ ოსეთს“ მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანონოდ წარმოქმნილი სახელწოდება, როგორც უკვე ითქვა, კანონიერად იქნა გაუქმებული კანონიერად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მანამდე ორი წლით ადრე.

მოვლენათა ზემოაღწერილი განვითარების სწორად გაგებისათვის და უახლოეს მომავალში მათი სწორად პროგნოზირებისათვის უნდა გავითვალისწინოთ როგორც საქართველოს ამ რეგიონში რუსეთის ინტერესების შინაარსი, ისე მოვლენებზე მისი გავლენის ხარისხი და მექანიზმები. რუსეთის ინტერესები ამ რეგიონში, სხვა მრავალთა შორის, შემდეგია:

— საქართველოს რაც შეიძლება ინტენსიური ფედერალიზაცია მისთვის ეთნიკური პრობლემების შექმნის მიზნით.

— ოსური ტერიტორიულ-ავტონომიური ერთეულის სახით რუსეთისთვის მყარი დასაყრდენი ბაზის შექმნა კავკასიონის ქედის სამხრეთით.

— რამდენადაც ქისტურ (ინგუშურ)-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ქისტთა (ინგუშთა) ტერიტორიული ინტერესების დაკმაყოფილება ვლადიკავკაზის რეგიონში, როგორც ჩანს, მაინც გარდუვალია, რუსეთი იმედოვნებს, რომ შესაძლებელი იქნება ოსურ მხარეს კომპენსაცია მიეცეს საქართველოს ხარჯზე, ანუ რუსეთისთვის მძიმე ერთ-ერთი პრობლემა გადმოტანილი იქნას საქართველოში.

რამდენადაც შევარდნაძისთვის და საქართველოში მის მიერ შექმნილი ადმინისტრაციისათვის რუსეთის ინტერესები იმპერატიულია, ამდენად ამ ადმინისტრაციის პოლიტიკა, საქართველოს პარლამენტისა და საზოგადოებისათვის გვერდის ავლით და საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ, მიმართულია საქართველოსათვის ყოვლად მიუღებელ შეთანხმებათა მიღწევისაკენ იმის სრული იგნორირებით, რომ ოსური სეცესიონისტური და სეპარატისტული პოლიტიკური ჯგუფების (მათ შორის — სამხედრო პირების) მოქმედება გადამწყვეტწილად განსაზღვრულია რუსეთის მხარის მიერ და, ამდენად, ნაკლებად არის დამოკიდებული ოსი ერის დაკმაყოფილების ხარისხზე წამოყენებულ პრობლემათა ამა თუ იმ გადაწყვეტით.

ის ფაქტი, რომ საქართველოში ეუთო-ს მისიასთან ურთიერთობაში იმყოფებიან პირები, რომლებიც მისიის წევრებს უქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს ქართული მხარე უფრო განწყობილია კომპრომისისათვის ყოფილი ოლქის ტერიტორიულ-პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით, ვიდრე ოსური მხარე (ა. კავსაძე და სხვანი), სხვაგვარად ვერ აიხსნება თუ არ საქართველოს დღევანდელი პროკომუნისტური ადმინისტრაციის ზემოაღწერილი პოზიციით. ჩვენდა სამწუხაროდ, ბუნებრივად იქმნება ვარაუდი, რომ მუშაობის პროცესში ეუთოს მისია საქართველოში მეტისმეტად მოექცა რუსეთის მხარის გავლენის ქვეშ.

IV. ტენდენციურობის (მიკერძოების) ნიშნები ეუთოს მისიის წინადადებათა ტექსტში

რამდენიმე შენიშვნაღა დაგვრჩა. ისინი ეხება „წინადადებათა“ ტექსტის ტენდენციურობას და მის შესაძლო მოტივებს, რომელთა შესახებ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმის უფლება გვაქვს. კერძოდ,

ა. როგორც უკვე აღინიშნა, „წინადადებათა“ პირველ ვარიანტში, რომელმაც ცვლილება განიცადა ასოს მიხედვით, მაგრამ არა სულისკვეთების მიხედვით, ცხინვალის რეგიონის ავტონომიურ სტატუსზე ლაპარაკია როგორც „არსებულზე“ ანუ იგნორირებულია ის ფაქტი, რომ ეს სტატუსი გაუქმებულია კანონიერი წესით საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მიერ.

ბ. არ ემთხვევა მეცნიერებაში ცნობილ ჭეშმარიტებებს „წინადადებებში“ გამოთქმული მტკიცება, თითქოს Грузинские историки допускают, что иранскоговорящие аланы... начали иммигрировать с Северного Кавказа уже в XIV веке, хотя иммиграция очень усилилась в XIX в XXвв.

სინამდვილეში ქართული ისტორიოგრაფია არ იცნობს არავითარ „ალანურ იმიგრაციას“ მეთოთხმეტე საუკუნეში, არამედ იცნობს მხოლოდ მათ ყოფნას აღმოსავლეთ საქართველოში (მცირე ხნით) აღმოსავლეთიდან (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან) შემოსევის ფორმით მონღოლთა ეპოქაში, რომელმაც (ამ შემოსევამ) არავითარი დემოგრაფიული კვალი არ დატოვა. მეთოთხმეტედან მეჩვიდმეტე საუკუნემდე ოსური მოსახლეობის რაიმე ნიშნებს საქართველოში არც ქართულენოვანი, არც უცხოური წყაროები არ იცნობენ.

გ. დაბოლოს, ტენდენციურად გვეჩვენება ავტორთა მსჯელობა, რომლის თანახმადაც ტერიტორიის სტატუსის განსაზღვრას შეიძლება ჰქონდეს ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამო დასჯის ხასიათი. ტექსტის მიხედვით (პირველი ვარიანტი. გვ. 8)

Слишком многие среди грузин, принимающих участие в конфликте, считали, что настало время изменить демографический состав Южной Осетии и подправить историю. (წყარო მითითებული არ არის). ეს კონსტატაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. შემდგომ Артиллерийский обстрел Цхинвали был жесточайшим проявлением и кульминацией политики, направленной на изгнание и истребление осетин... Поэтому грузинской стороне придется на деле продемонстрировать осетинам, что у них есть будущее в составе Грузии (იგულისხმება „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის შექმნა).

„წინადადებათა“ ავტორები, ჯერ ერთი, არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ქ. ცხინვალისათვის საარტილერიო სროლა მოხდა მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოში არ არსებობდა ლეგიტიმური ხელისუფლება, და რომ არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის მიერ იყო განხორციელებული იგი (როგორც უკვე ითქვა, გაურკვეველია იმ პირთა ვინაობაც, ვინც ზნაურისკენ გაისროლა), ხოლო ლიახვის ხეობის ქართული სოფლების და აგრეთვე ქარელის რაიონის ს. კნოლევის დაბომბვა სარაკეტო ცეცხლით 1991-1992 წლებში იმავე პიროვნებათა ხელქვეით იყო განხორციელებული, ვინც ახლა ცხინვალში ხელმძღვანელ როლს ასრულებს. მეორეც, ისინი არ ითვალისწინებენ, რომ ტერიტორიის სტატუსი შეიძლება და უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ იქიდან გამომდინარე, თუ საკითხის როგორი გადაწყვეტა უკეთ მოემსახურება თაობათა ინტერესებს და სამართლიანობას, და არა იმათი კანონდარღვევების და დანაშაულობების მიხედვით, ვინც დღეს საკითხთა ამა თუ იმ გადაწყვეტისათვის იბრძვის. თავს უფლებას მივცემთ შევნიშნოთ აგრეთვე, რომ ქ. სოხუმი 8 თვის მანძილზე იმყოფებოდა ინტენსიური საარტილერიო, სარაკეტო და საავიაციო ბობარდირების ქვეშ, რასაც მოჰყვა ქართველთა მასობრივი გენოციდი აფხაზთა და მათ მხარდამჭერ უცხოელთა მიერ, მაგრამ ქართულ მხარეს აქედან არ გამოუტანია დასკვნა, რომ აფხაზთა დანაშაული ართმევს მათ ზოგადეროვნულ უფლებას — იქონიონ სამართლიანი და რაციონალურად განსაზღვრული პოლიტიკური სტატუსი მოცემულ ტერიტორიაზე!

მისიის ტენდენციურობის საილუსტრაციოდ თავს უფლებას მივცემთ დავიმოწმოთ ისეთი ლოგიკური შეუსაბამობანი, როგორსაც შეიცავს, მაგალითად, მისიის „წინადადებათა“ შემდეგი ნაწყვეტი.

To, что осетины проживали в Южной Осетии на протяжении многих поколений и имеют равное с грузинами право далее жить там, - это факт. В других частях Европы известны случаи массового переселения, имевшего место в более поздние исторические сроки. Тем не менее ни один разумный человек не ставит под сомнение их итоги. Грузины должны решить для себя, желают ли они быть частью этой Европы. Проведя в Грузии полтора года, миссия пришла к твёрдому выводу, что именно к этому стремится подавляющее большинство населения Грузии. (“Свободная Грузия”).

ჯერ ერთი, ოსთა ზემოხსენებულ თაობებს „ოსეთში“ არ უცხოვრიათ. ისინი ცხოვრობდნენ საქართველოში და არც ერთ მათგანს აზრად არ მოსვლია, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი ოდესმე „ოსეთი“ გახდებოდა. მეორეც, მათი უფლება საქართველოში ცხოვრებისა, რომელსაც არავინ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, არაა იგივე, რაც მათი სახლობის ადგილას ტერიტორიული ავტონომიის შექმნის უფლება. მესამეც, ევროპული პრაქტიკიდან ციტირებული მაგალითები არაა დასაბუთებისათვის ტერიტორიულ ავტონომიათა შექმნის მაგალითები. მეოთხეც, მიგრაციის შედეგთა „კითხვის ქვეშ დაყენება“, რასაც მისიის „წინადადებები“ მიაწერენ თავის ოპონენტებს, არ გულისხმობს იმათ უკანვე გაგზავნის მცდელობას, ვისი წინაპარნიც ოდესღაც საქართველოში დასახლდნენ (ასეთი აბსურდული წინადადება საქართველოში არასოდეს წამოუყენებია ვისმე). გასაუქმებელი იყო და 1990 წლის 11 დეკემბერს გაუქმდა არა მათი გადმოსახლების შედეგები, არამედ გადმოსახლებულთათვის საქართველოში ტერიტორიული ავტონომიის მიცემის შედეგები. მეხუთეც, ვინაიდან არ არსებობს ევროპული სახელმწიფო, რომელიც თავის ეთნიკურ უმცირესობებს ტერიტორიულ ავტონომიას ანიჭებდეს როგორც კი ეს უკანასკნელნი რომელიმე გეოგრაფიულ არეალში მოსახლეობის 51%-ს მიაღწევენ, არც იმის საფუძველი არსებობს, რომ როგორც ამას „წინადადებათა“ ავტორები იქმან — ქართველ ერს ურჩიონ ასე მოიქცეს, თუკი მას ევროპასთან დაახლოება უნდა. მეექვსეც, ის ფაქტი, რომ „ქართველთა დიდი უმრავლესობა“ — როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავენ „წინადადებათა“ ავტორები, — მონდომებულია ევროპის ნაწილი იყოს (რაკი საქართველო თავისი ფეოდალური ისტორიით, ქრისტიანული ცივილიზაციით და პირადი თავისუფლების მაღალი ადგილით ღირებულებათა სკალაზე თავის თავს, მართლაც, ტიპოლოგიურად დასავლურ ქვეყნად თვლის და არა აღმოსავლურად), იმას როდი ნიშნავს, რომ ქართველთა უმრავლესობას განზრახული აქვს ამ მიზნის მიღწევას თავისი ტერიტორიის ნაწილი შესწიროს!

ზემოთ ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ მისიის წინადადებათა ტენდენციურობა. განპირობებულია ქართველ პოლიტიკოსთა სპეციფიკურ ჯგუფთან ურთიერთობით, რომელთაც მისიას შეუქმნეს შთაბეჭდილება, თითქოს ქართული მხარე შეიძლება უფრო დამთმობი აღმოჩნდეს, ვიდრე ოსური, და, აქედან გამომდინარე, საბოლოო მიზანს — კონფლიქტის დამთავრებას — უფრო ადვილად მივაღწევთ, თუ გულუხვობისაკენ მოვუწოდებთ ქართველებს მათი სამშობლოსა და მისი მომავლის ინტერესების ხარჯზე, ვიდრე მაშინ, თუ გონიერებისაკენ მოვუწოდებთ ოსებს. ქართველ პოლიტიკოსთა ეს კატეგორია, როგორც უკვე აღინიშნა, არიან ყოფილი კომუნისტები, რომელთათვისაც რუსეთის ინტერესები განმსაზღვრელია. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა „წინადადებათა“ შემდეგი სიტყვები:

„ქართველთა მხრიდან ზოგი თანამოსაუბრე გვთავაზობს შევცვალოთ საშინაო საზღვარი სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის. ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ, რომ სამხრეთ ოსეთს მიეცეს კონსტიტუციური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ არ სურთ მათ მისცენ შესაძლებლობა, შეინარჩუნონ უპირატესად ქართველებით დასახლებული რაიონები“.

(Некоторые собеседники с грузинской стороны предлагают переделать внутреннюю границу между Южной Осетией и Грузией. Они выражают готовность предоставить Южной Осетии конституционный стстус в составе Грузии, но не желают предоставить ей возможность сохранить районы, населённые преимущественно грузинами).

„წინადადებების“ ავტორთა მიერ ციტირებული ეს სიტყვები არ გამოხატავს არავის აზრს, გარდა ყოფილი კომუნისტების ზემოხსენებული მეტად მცირერიცხოვანი ფენისა.

V. ცხინვალის რაიონში კონფლიქტის მოწესრიგების გეგმა

ამოსავალი პრინციპები

1. ვინაიდან ეჭვს გარეშეა, რომ ოს სეპარატისტთა მოქმედების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია პირდაპირი და არაპირდაპირი მხარდაჭერა და ინსპირირება რუსეთის მხრიდან, უეჭველია ისიც, რომ არ უნდა ველოდეთ მათი პოზიციის შეცვლას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მათთვის დათმობათა შედეგად, ასე რომ სეპარატისტებისათვის დათმობა არ გამოდგება კონფლიქტის მოწესრიგების მეთოდად.

2. როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, საქართველოსათვის არა მარტო მისაღებია, არამედ იმპერატიულიცაა ეროვნულ და სხვაგვარ უმცირესობათა უფლებების დამცველი ყველა ნორმა, რომელიც მიღებულია მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ. საქართველო მიჰყვება და ყოველთვის გაჰყვება ლოგიკურად თანმიმდევრულ უკლებლივ ყველა რეკომენდაციებს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს რეკომენდაციები წარმოდგენილი იქნება საერთაშორისოდ მიღებული დოკუმენტების ტექსტის დამოწმებით, რომელშიც ფორმულირებულია ხსენებული ნორმა, როგორც რეკომენდაციის წანამძღვარი.

3. საქართველო არაა ვალდებული თავი შეიზღუდოს ეროვნულ უმცირესობათა და მათ შემადგენელ ინდივიდთათვის მხოლოდ იმ უფლებათა და თავისუფლებათა მინიჭებით, რომელიც დადგენილია საერთაშორისოდ მიღებული დოკუმენტების მიერ, არამედ მას შეუძლია, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, გაზარდოს ეს უფლებები და თავისუფლებები.

მოწესრიგების გეგმის სტრუქტურა

რეალურია შესაძლებლობა როგორც კონსტიტუციური (ანუ საბოლოო) მოწესრიგებისა, ისე დროებითისა (ანუ მხოლოდ გარდამავალი პერიოდისათვის, სტაბილურობის მიღწევამდე გაანგარიშებულისა). ეს მოწესრიგება წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

კონსტიტუციური (ანუ საბოლოო) მოწესრიგება

კონსტიტუციური ანუ სამუდამო მოწესრიგება აუცილებლობით ემყარება ინდივიდთა

გაგრძელება მე-8 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

და ჯგუფთა როგორც უფლებების, ისე მოვალეობების ზოგადსა (ანუ ყველასათვის და ყველა დროს თანაბრად სავალდებულოსა და ძალაში მყოფ) განსაზღვრებებს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ეს დღევანდელობისთვის საყოველთაო მნიშვნელობის მქონე განსაზღვრებები ერთი და იგივე უნდა იყოს (პრინციპში) როგორც ქართულ-ოსური, ისე ყველა სხვა ჯგუფთაშორისი ურთიერთობისათვის (მათ შორის — ეროვნებათაშორისისათვის) როგორც დაძაბულობის პერიოდში, ისე მშვიდი ვითარებისას ეს საკონსტიტუციო (ანუ საბოლოო) განსაზღვრებები ასეთია:

1. მაქსიმალურად ვითარდება ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიული არჩევნების ბაზაზე, რაც უმრავლესობას იმის გარანტიას უქმნის, რომ იგი განახორციელებს ყველა არაკანონსაწინააღმდეგო ინტერესებს ადგილობრივი კომპეტენციების შესაბამისად. ბუნებრივია, რომ იმ ადგილებში, სადაც ოსები უმრავლესობას წარმოადგენენ, გარანტირებული იქნება მათი პრევალირება ადგილობრივ ორგანოებში შემავალ საკითხთა გადაწყვეტაში. ამგვარად, ასეთ ადგილებში ოსების ნეგატიური დისკრიმინაცია (ანუ შევიწროება) ვერ მოხდება. არაოსური მოსახლეობის (ანუ უმცირესობის) უფლებები ამ ადგილებში დაცული იქნება კანონით დადგენილი საშუალებებით, სახელდობრ, იმავე საშუალებებით, რომლითაც დაცული იქნება ოსური თუ ყველა სხვა უმცირესობის უფლებები საქართველოს ყველა სხვა ადგილებში, სადაც ეს სხვანი უმრავლესობას არ წარმოადგენენ.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებამოსილებანი და მათი გამიჯვნა ხელისუფლების უფრო მაღალი ორგანოებისაგან, სახელმწიფო ორგანოების ჩათვლით, აგრეთვე მათი გამიჯვნა ქვემდგომი ორგანოებისაგან დგინდება კანონის მიერ მთელი სახელმწიფოსათვის ერთიანი წესით, იმ რეგიონთა ჩათვლით (აფხაზეთის გარდა), სადაც არაქართველი მოსახლეობაა.

ფრონეს, ლიახვის, ლეხურასა და ქსნის ხეობათა ზედაწელების დარაიონება შეიძლება დაზუსტების პროცესში იყოს მანამდე, სანამ არ მოინახება ოპტიმალური ვარიანტი ანუ ისეთი, რომელიც მინიმალურს გახდის ეროვნებათაშორის კონფლიქტს ყოფითი საკითხების გამო (თუმცა ეს გადასინჯვა სრულებითაც არაა აუცილებელი). ადგილობრივი მოსახლეობის (ამ შემთხვევაში — ოსურის) ის ინტერესები, რომელთა დაკმაყოფილება არაა ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობათა ფარგლებში (მაგალითად, საყოველთაო სწავლება ყველასათვის თავთავის დედაენაზე ანუ საამისოდ თანხების გაღება) უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ კანონის და სხვა არსებული ნორმების საფუძველზე.

სასურველია, რომ უმცირესობათა უფლებები ადგილზე, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ, ერთი და იგივე იყოს ყველა იმ უმცირესობისათვის, რომელთა ეთნოსსაც (ეროვნებასაც), აფხაზთაგან განსხვავებით, მოეპოვება თავისი ეთნიკური დასახელების ტერიტორიულ-პოლიტიკური სახელმწიფო წარმონაქმნი საქართველოს რესპუბლიკის გარეთ (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, ბერძნული, ებრაული, ქურთული), რადგან უთანაბრობა ამ შემთხვევაში შეიძლება იწვევდეს უფლებათა გაფართოებით დაინტერესებას და, მაშასადამე, კონფლიქტებსაც. მაგრამ დასაშვებია, გარემოებისა და სპეციფიკური ვითარებისდა მიხედვით, გარკვეული ასიმეტრიაც.

2. ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმმართველობასთან ერთად ვითარდება ფუნქციური ავტონომია, რომლის ოპტიმალური ფორმაა ოსური ეროვნული თემი ან სათვისტომო, რომელიც, მათი სურვილის შემთხვევაში, მოიცავს საქართველოში მაცხოვრებელ ყველა ოსს. თემს შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკური, კულტურული და ყველა სახის ინიციატივათა უფლება, რომლებიც მიმართული იქნება ოსთა ეროვნული ვინაობის დაცვა-შენახვისაკენ, ეკონომიკური კეთილდღეობის მომატებისაკენ, კულტურისა და განათლების განვითარებისაკენ და ნებისმიერი სხვა კანონიერი ეროვნულად მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევისკენ. იგი შეიძლება იყოს მუდმივი ბაზა და ფონი, კანონის შესაბამისად, პოლიტიკურ მოძრაობათა შექმნისათვის, რომელთაც ოსებისათვის საინტერესო მიზნები და პროგრამები აქვთ. მას (თემს) შეუძლია იმ პარტიათა გზით, რომელთაც მხარს დაუჭერს საქართველოს ოსი მოსახლეობა, და სხვა კანონიერი გზებით გავლენა მოახდინოს პარლამენტის არჩევნებზე და მიჰმართოს თვითორგანიზაციის ყველა სხვა არაკანონსაწინააღმდეგო გზებს სახელმწიფოს, როგორც მთლიანის, მასშტაბით. ამგვარად, ოსებს (ისევე როგორც სხვა ეროვნების უმცირესობებს) შეუძლიათ იქონიონ გავლენა ცენტრალურ პოლიტიკაზე თავისი რიცხვის პროპორციულად. გარდა ამისა, მათ, ისევე, როგორც ყველა სხვა ეროვნულ ჯგუფებს (ქართველების ჩათვლით), შესაძლებლობა აქვთ, გავლენისა და კეთილდღეობის ყველა ფორმის მოპოვებას ეცადონ თავისი უნარის პროპორციულადაც.

ეროვნული ვინაობის გარანტირებული შენახვისა და დაცვისათვის — ანუ ისეთისათვის, რომელიც არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ პოლიტიკურ აქტივობას შესაბამისი უმცირესობის წარმომადგენელთა მხრიდან — ოსებისათვის, ისევე როგორც საქართველოს და, ალბათ, მთელი მსოფლიოს ყველა სხვა დიასპორებისათვის, განსაკუთრებული პერსპექტიული და ნაყოფიერი, ალბათ, ეროვნული თვითორგანიზაციის სწორედ ეს მექანიზმი — ეს ცენტრალური მექანიზმი — აღმოჩნდება და არა მოცემული ეროვნების ადგილობრივი უმრავლესობის ორგანიზაცია ტერიტორიული ნიშნით. ასევე, ერთიანი ორგანიზაციის ფუნქციაა, მაგალითად, ოპტიმალურ კანდიდატთა მოძებნა პარლამენტში მონაწილეობისათვის, რაციონალურად დასაბუთებული განაცხადების შედგენა ბიუჯეტიდან ამა და ამ თანხის მისაღებად მოცემული ჯგუფის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ეროვნული კადრების მომზადება, დედაენაზე განათლების სისტემის დაგეგმვა და ლობირება და ა.შ. ეთნიკური (ეროვნული) შეფერილობის კონფლიქტთა წარმოშობის შემთხვევაში ადგილებზე ეროვნული თვითორგანიზაციის ამ ცენტრალური მექანიზმის არსებობა გააადვილებს ზოგადმნიშვნელადი ანუ მთელი დიასპორის ინტერესთა შესაბამისი გადაწყვეტილებების პოვნას, რითაც გაადვილდება გაღიზიანების, ჯავრის ყრის სურვილის და სხვა დესტრუქციული აფექტების ნეიტრალიზაცია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

საქართველოსათვის ეროვნებათშორისი ურთიერთობების რეგულირების ამგვარი მეთოდის მიზანშეწონილობის სასარგებლოდ შეგვიძლია ორი გარემოება დავიმოწმოთ. პირველი. საქართველოში ეროვნული უმცირესობები ტრადიციულად (1801 წლამდე) განიხილებოდნენ როგორც თვითრეგულირების საკუთარი მექანიზმების მქონე და საკუთარ ლიდერთა მყოლი ერთიანობები, და ეს ლიდერები თავისთავში ასახიერებდნენ მოცემული უმცირესობების უფლება-მოვალეობებს საერთოდ. მეორე. საქართველოში, ისევე როგორც კავკასიაში საერთოდ, ეროვნული ვინაობის შენახვას ტრადიციულად ერთ-ერთი უმაღლესი ადგილი უჭირავს ღირებულებათა შკალაზე და ამ მხრივ იგი არ ჩამოუვარდება ინდივიდის იმ უფლების ღირებულებას, რომ დაცულ იქნას დისკრიმინაციისაგან ეროვნული (ეთნიკური) ნიშნით.

მთლიანად საქართველოს ოსებისათვის თვითორგანიზაციის ზემოხსენებულ საერთო ფორმას შეიძლება ეწოდებოდეს „თემი", „სათვისტომო", „ცენტრი", „კომიტეტი", „საბჭო", „ასოციაცია" ან სხვა რამ სახელი და მისი შექმნისა და პერიოდული განახლების მექანიზმები შეიძლება მდგომარეობდეს რაღაც დემოკრატიულ პროცედურაში მის წევრთა შორის, ანუ მასში შესვლის მსურველთა შორის არჩევნებით დემოკრატიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ფორმით ან სხვა რამ გზით. ასევე, რაღაც მექანიზმი შეიძლება მოიძებნოს იმის განსასაზღვრად, რა ფორმით მიიღებს ესა თუ ის უმცირესობა მონაწილეობას პარლამენტში მომავალი კონსტიტუციის შესაბამისად. ყველა შემთხვევაში ზემოხსენებულ ოსურ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს უფლება, კანონით დაშვებულ ფარგლებსა და ფორმებში ეკონტაქტოს სამთავრობო, არასამთავრობო და ეროვნებათშორის ორგანიზაციებს საქართველოს გარეთ. უნდა მოიძებნოს მექანიზმი მისი მონაწილეობისათვის ოსებისათვის სპეციფიკურად მნიშვნელოვან ყველა სხვა პროცესებში მმართველობითი ან სათათბირო სტრუქტურის სახით.

საქართველოს ოსური მოსახლეობის მიერ ეროვნული თვითორგანიზაციისა და თვითრეგულირების ზემოხსენებული ფორმის ქონა რეალური განხორციელებაა ოსების მონაწილეობისა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, რეალური ინტეგრაციაა ასიმილაციის გარეშე.

არაკონსტიტუციური (ანუ დროებითი, ერთჯერადი) მოწესრიგების მექანიზმი

დღევანდელი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების მექანიზმი, თუ მას განვიხილავთ გარეგანი ფაქტორებისაგან განყენებით, მდგომარეობს ზემოხსენებული ოსური ორგანიზაციისათვის (რომელიც მოიცავს მთელი საქართველოს ოსობას) სუბიექტის (ან შუამავლის) ფუნქციის დაკისრებაში ადგილზე მოლაპარაკების დროს. ამ სტრუქტურას შეიძლება ჰქონდეს თავისი რეზიდენციები ცხინვალში და სხვა ნებისმიერ ადგილას, თავისი სიმბოლიკის დემონსტრირების უფლება, მისასვლელი ყველა სახის ინფორმაციასთან, ორმხრივი კონტაქტის რწმუნება ვლადიკავკაზის („ჩრდილოეთი" ანუ ნამდვილი ოსეთის) ხელისუფლებასთან და ხალხთან (რათა ეჭვის ქვეშ არ დადგეს, რამდენად წმინდაა მისთვის საერთოოსური ინტერესები) და იგი უნდა მონაწილეობდეს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა:

ა) დარაიონების დატოვება და გადასინჯვა

ბ) გზების გაყვანა კონფლიქტის ზონაში

გ) ზერაიონული საკონსულტაციო და მმართველი სტრუქტურების შექმნის მიზანშეწონილება თუ მიზანშეუწონლობა

დ) მართლწესრიგის დაცვის ფორმები და მათ ორგანოთა დაკომპლექტება

ე) განათლებისა და კულტურული ცხოვრების რეგულირების ფორმები

ვ) ადმინისტრაციული რეგულირების სხვა ფორმები, მისის „წინადადებებში" განხილულის ჩათვლით

1. ადამია ვაჟა პარლ. წევრი 2. ანდრიაძე ზურაბ პარლ. წევრი 3. ბაქრაძე აკაკი მწერალი 4. ბერიძე კონსტანტინე პარლ. წევრი 5. ბერიძე რუსუდან პარლ. წევრი 6. ბუზალაძე ვასილ პარლ. წევრი 7. ჭელიძე დავით პარლ. წევრი 8. დიასამიძე თამაზ პარლ. წევრი 9. ძაბირაძე ვახტანგ პარლ. წევრი 10. ძაგნიძე პარლ. წევრი 11. გიორგაძე მამუკა პარლ. წევრი 12. გონაშვილი ნიკოლოზ პარლ. წევრი 13. გუგუნავა ალექსანდრე პარლ. წევრი 14. იორამაშვილი გივი პარლ. წევრი 15. იოსელიანი არჩილ პარლ. წევრი 16. ჯიქია ალექსანდრე პარლ. წევრი 17. ქადაგიძე დავით პარლ. წევრი 18. კაკუბავა ბორის პარლ. წევრი 19.კალანდია გენო პარლ. წევრი 20. ხავთასი გიორგი პარლ. წევრი 21. ხიდეშელი გიორგი პარლ. წევრი 22. ხმალაძე ვახტანგ პარლ. წევრი 23. ხუხუნაიშვილი ვანო პარლ. წევრი 24. კაკაბაძე კობა პარლ. წევრი 25. კობახიძე გიორგი პარლ. წევრი 26. კობერიძე ნუგზარ პარლ. წევრი 27. კოვზირიძე დავით პარლ. წევრი 28.კუპრეიშვილი დავით პარლ. წევრი 29.ლოლაძე ანდრო პარლ. წევრი 30.მაჭავარიანი მუხრან მწერალი 31. მელქაძე ოთარ პარლ. წევრი 32. მესხი ლევან პარლ. წევრი 33. მეტრეველი მერაბ პარლ. წევრი 34. ნადარაია ამირან პარლ. წევრი 35. ნადირაშვილი შოთა მეცნ. აკადემიის წევრი 36. ნანეიშვილი მიხეილ პარლ. წევრი 37. ნათაძე ნოდარ პარლ. წევრი 38. როგავა გაიოზ პარლ. წევრი 39. სანადირაძე გურამ პარლ. წევრი 40. შაკიაშვილი ლუიზა პარლ. წევრი 41. შენგელაია ირაკლი პარლ. წევრი 42. შენგელია ზურაბ პარლ. წევრი 43. თალაკვაძე პარლ. წევრი 44. წერეთელი ირაკლი პარლ. წევრი 45. წულაია გიორგი პარლ. წევრი 46. თუმანიშვილი გივი პარლ.წევრი 47. ურიდია მერაბ პარლ. წევრი 48. უსტიაშვილი გურამ პარლ. წევრი 49. ვეფხვაძე ნოდარ პარლ. წევრი 50. ჟორჟოლიანი თემურ პარლ. წევრი 51. ჟორჟოლიანი თემურ პარლ. წევრი

მის აღმატებულებას ეუთოს გენერალურ მდივანს

მის აღმატებულებას ეუთოს აღმასრულებელ თავმჯდომარეს

მის აღმატებულებას ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლეს კომისარს

მის აღმატებულებას ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს

მათ აღმატებულებებს ეუთოს სახელმწიფოთა მეთაურებს

თქვენო აღმატებულებანო

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ გაერთიანებათა საორგანიზაციო კომიტეტი იძულებულია ღრმა მწუხარებით აღნიშნოს, ეუთოს წევრი ქვეყნების მთავრობათა და ხალხის წინაშე, აგრეთვე გაეროსა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე, რომ საქართველოში ეუთოს მისიის სამწლიანმა მოქმედებამ საქართველოში მიმდინარე ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების მიმართულებით გამოაჩინა ამ მისიის უკიდურესად მიკერძოებული მიდგომა კონფლიქტში მონაწილე მხარეებისადმი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საზარალოდ, რაც ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით მძიმე დარტყმაა იმის გათვალისწინებით, რომ ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია რუსეთის გავლენა, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს სახელმწიფოებრივ კატასტროფაში ამიერკავკასიაში თავისი პოზიციების აღდგენის მიზნით. მისიის მიკერძოებული მიდგომის საილუსტრაციოდ კმარა იმ გარემოების დამოწმება, რომ იგი საქართველოს რეკომენდაციას აძლევს მოახდინოს ისტორიულ-მასშტაბიანი შედეგების მქონე ისეთი კაპიტულაცია რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ოს სეპარატისტთა წინაშე, რომლის მართებულობის დასაბუთებისასაც იგი ვერ იმოწმებს ვერც ერთ საერთაშორისოდ გაზიარებულ ნორმას ადამიანის უფლებათა და უმცირესობების უფლებათა დაცვის სფეროდან, რაც, ჩვენის აზრით, მეამბოხეთა წახალისების ტოლფასია. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ გაერთიანებათა საორგანიზაციო კომიტეტი მხარს უჭერს საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტის 49 დეპუტატის და 3 მოქალაქის პოზიციასა და არგუმენტაციას ქართულ-ოსური კონფლიქტის ახსნის, შეფასებისა და მოგვარების შესაძლო გზების თაობაზე, რომელიც გამოთქმულია მათს მიმართვაში ეუთო-ს ხელმძღვანელებისადმი, ეუთოს მონაწილე ქვეყნების მთავრობებისადმი და მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი, და გაახლებთ ამ მიმართვის ტექსტს წინამდებარე წერილთან ერთად. თავს უფლებას ვაძლევთ, გამოვაქვეყნოთ იგი, რათა ხელი შეუწყოთ კაცობრიობის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამომავლოდ იმგვარი პრაქტიკის დამკვიდრებას, რომ მცირე და დღესდღეობით სუსტი ქვეყნისადმი მის სახელმწიფოებრივ ინტერესთა დამაზარალებელი მოთხოვნის წაყენება ან რეკომენდაციების მიცემა შესაძლებელი იყოს მხოლოდ საერთაშორისოდ მიღებული ზოგადმნიშვნელადი ნორმის, როგორც წანამძღვრის, დამოწმებით.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი

საქართველოს აგრარული პარტია

საქართველოს ეროვნული პარტია

საზოგადოება „კავკასიელი"

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

საქართველოს ნაციონალისტური პარტია

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია „სამშობლოს ფარი"

პოლიტიკური ორგანიზაცია „სიმართლე"

ქრისტიან-სოციალური კავშირი

ეროვნულ-რადიკალური პარტიის დამოუკიდებელი ჯგუფი

24 ივნისი 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპიტაფიის ტრიბუნა

ჯემალ ბაშარული

9 აპრილი – ნანახი და განცდილი

9 აპრილის შესახებ მოგონებები არსებობს, მაგრამ იმის თქმა არ შეგვიძლია, რომ არსებობს საკმარისი ნარატიული (თხრობითი) წყაროები ამ მრავლის მთქმელი ტრაგიკული დღის ხდომილებათა პოლიტიკური, სოციალური, სტრატეგიული, ტაქტიკური და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიური მახასიათებლების სრული სურათის შესაქმნელად ისტორიოგრაფიის მიერ. წინამდებარე მოგონება შეიცავს არაერთ დაკვირვებასა და ანალიტიკურ დეტალს, რომელიც დღემდე არ წარმოდგენილა პრესაში და რომელიც მნიშვნელოვანია რეალობის სრული და სწორი გაგებისათვის. ამ თარიღზე დინჯი და გულწრფელი მოგონებების პუბლიკაცია მით უფრო საჭირო, რომ უკვე დაწყებულია კომუნისტური ნომენკლატურისა და რუსული აგენტურის (როგორც წესი — ერთსა და იმავე პირებში შეთავსებულის) მიერ ამ მოვლენათა როგორც ფაქტობრივი დეტალების, ისე ისტორიული საზრისის მიზანმიმართული გაყალბების მცდელობა. „გიორგი წიქარიშვილის“ ფსევდონიმით, რომლის უკანაც ერთი გაურკვეველი დასპეციალების, მაგრამ გარკვეულად უარყოფითი მორალის კალმოსანი და შევარდნაძის კანცელარიისა თუ სროვის მთელი პოტენციალი დგას, გამოსულია 600 გვერდიანი წიგნი სათაურით „ფამი ჭეშმარიტებისა“, რომელიც საქართველოს 1970-იანი-1990-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განქიქებისა და მორალური გამტყუვნების მცდელობას წარმოადგენს და ამ მოძრაობის მრავალი კარდინალური სისუსტის სწორი კონსტატაციის ფონზე მისი ძირითადი მიღწევის — საქართველოს იურიდიული დამოუკიდებლობის მოპოვების (ანუ საამისოდ შექმნილი მომგებიანი მსოფლიო ვითარების გამოსაყენებლად ამ ხელსაყრელი მომენტის ხელიდან არგაშვების) დანაბვის სრულ უუნარობას ავლენს. ეს უკანასკნელი გარემოება კანონზომიერია, რადგან ისტორიის სანაგვისკენ მიმავალ ბორიტ (ანუ ადამიანური რეალობისადმი უკვე არაადექვატურ და, შესაბამისად, წინმავალი პროცესებისგან გაწირულ) ძალას არასოდეს აქვს ხედვის ის ობიექტურობა, რომელიც საჭიროა განვითარების მიმართულებისა და მისი ძირითადი ღირებული სიახლეების დასანახავად. შევარდნაძემაც (რომელიც, ალბათ, ყველაზე ნაკლებ ნასწავლი იყო 9 აპრილის ჯალათთა შორის) ეს ვერ დაინახა. აქედან — მისი ინსტრუქცია კანცელარიისა და სროვისადმი (ფსევდონიმის ზემოხსენებული მატარებელიც მისი კანცელარიის თანამშრომელია), საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხსენებული ეტაპი ისტორიულ შეცდომად ჩათვალონ.

თავს უფლებას მივცემ, წინამდებარე მოგონების ავტორს, ბატონს ჯემალ ბაშარულს, მის მიერ ამა თუ იმ ფაქტთა ახსნასთან დაკავშირებით რამდენიმე შენიშვნა მივაშველო.

1. ავტორის მსჯელობა, რომ აქციის ხელმძღვანელობას შეეძლო საქართველოს ხელისუფლებისაგან ყოველგვარი დათმობების მიღება დამოუკიდებლობის გარდა, სამართლიანია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელისუფლება დამოუკიდებელი იქნებოდა თავის მოქმედებაში და შეძლებდა როგორც პირობის მიცემას, ისე მის შესრულებას. საქართველოს ხელისუფლება ასეთი არ იყო.

2. სისხლიანი რეპრესია (რომელიც მთელი განზრახული მასშტაბით ვერ შესრულდა კარატისტების ჯგუფისა და მილიციის მოქმედების წყალობით) არ იყო 4 აპრილს დაწყებული აქციით გაღიზიანების შედეგი. იგი იყო პასუხი 25 თებერვლის სამგლოვიარო აქციაზე, რომელშიც ქართველმა ერმა ნათლად თქვა, რომ სსრკ-ში ყოფნა არ უნდა (43 დღე, 25 თებერვლიდან 9 აპრილამდე, სწორედ ის ვადაა, რომელიც ამ პასუხის გადაწყვეტასა და ორგანიზებას სჭირდებოდა).

3. ნამდვილად არასწორია ავტორის ვარაუდი, რომ მიტინგის ორგანიზატორები მომიტინგეთა დახოცვას მოელოდნენ. მოელოდნენ (ისიც — მხოლოდ გარკვეული ალბათობით) დარბევას, როგორც 25 თებერვლის მიტინგი დაირბა, მაგრამ არა კვლას და, მით უმეტეს, ქიმიური იარაღის გამოყენებისას.

4. ავტორმა, შესაძლოა, არ იცის, რომ თამრიკო ჭოველიძეს რუსი ჯარისკაცი შენობაში შეჰყვა, დაეწია და მოკლა.

რედკოლეგიის დავალებით ნ. ნათაძე

9 აპრილზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ამ თარიღისადმი წერტილის დასმა და ინტერესის ჩაცხრომა ჯერ კიდევ ნაადრევია. გაჩნდა აზრი, თითქოს საქართველო 9 აპრილის გარეშედაც მიაღწეევდა დამოუკიდებლობას და, ამგვარად, ცოტა რომ მოგვეთმინა, ყოველგვარი მსხვერპლის გარეშედაც მივაღწევდით სანუკვარ მიზანს. ამის თქმა მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება, თუმცა დღესაც ბევრი რამ კვლავ ბუნდოვანია. მაშინ კი ცოტა თუ მოიძებნებოდა, ვისაც კომუნისტური რეჟიმის დამხობა და, საერთოდ, საბჭოთა იმპერიის დაშლისა სჯეროდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა აღარ ეცდებოდა, ასე თავგამოდებით დაეცვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება — ლენინის ძეგლი. პირიქით, ისინი სიამოვნებით ამოუდგებოდნენ (ან მათ ამოიყენებდნენ) ეროვნული მოძრაობის ლიდერებს გვერდში და თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ქართველი ერის ინტერესებს მოახმარდნენ. ამგვარად, 9 აპრილის ჩრდილში მოქცევა უნდა შეფასდეს, როგორც ეროვნული ინტერესების შელახვა, რასაც, ღრმად მწამს, რომ ქართველები არასოდეს არ დაუშვებენ.

მე, როგორც 4-9 აპრილს მთავრობის სახლთან გამართული მიტინგების მონაწილე და, განსაკუთრებით, 9 აპრილს მომხდარი დარბევის შემსწრეს, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს დღე ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის საფიცარ დღედ იქცევა მაშინ, როდესაც ქართველები ისევ ერთ მუშტად შეიკვრებიან და საქართველო ნამდვილ დამოუკიდებლობას მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ 9 აპრილს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, დამოუკიდებლობისათვის მშვიდობიან ბრძოლაში გაერთიანდა ერი და ბერი, რაც მართლა სისხლის ფასად დაჯდა, მაგრამ დაღვრილმა სისხლმა ქართველები საბოლოოდ გამოაფხიზლა და ვერავითარი ძალა მათ ვეღარ გადაახვევინებს თავისუფლებისაკენ მიმავალი გზიდან.

ჩემი დიდი სურვილია, მოვიხადო მოქალაქეობრივი ვალი და ქაღალდზე გადავიტანო ის, რაც 9 აპრილს ვნახე, გავიგონე და განვიცადე. ყველა ქართველამდე და არაქართველამდე მივიტანო ის, რაც ხდებოდა იმ დღეებში, და, განსაკუთრებით ის მომენტები, რაზედაც ჯერ არაფერი თქმულა, ან სრულყოფილად არ თქმულა. ამასთან, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩემი ამოცანა არ არის ვინმეს გაღმერთება ან, პირიქით, დამცირება და ამ გზით ქართველებს შორის შუღლის და მტრობის ჩამოგდება, უფრო სწორად, გაღრმავება. პირიქით, მე მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო ყველას, თუ რა ძალა აქვს ქართველების ერთად დგომას.

როგორც უკვე ცნობილია, 1989 წლის 4 აპრილს თბილისში, მთავრობის სახლთან ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ შიმშილობის მორიგი აქცია წამოიწყო. აქცია, რომელიც მიმართული იყო აფხაზეთის მაშინდელი ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილების მიღების საწინააღმდეგოდ, ვადიანი იყო. კერძოდ, იგი უნდა გაგრძელებულიყო 15 აპრილამდე. სულ მალე მოშიმშილეების გარშემო, რომელთა რიცხვი სულ უფრო მატულობდა, შემოიკრიბა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გაერთიანებული ყველა ძალა. აქციამ მართლაც რომ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. როგორც მოსალოდნელი იყო, აფხაზეთის პრობლემამ უკანა პლანზე გადაიწია და ძირითადი მიზანი გახდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მშვიდობიანი ბრძოლის ფართო ფრონტით გაშლა. სწორედ ამან შეაშფოთა რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა. ისინი, როგორც ჩანს, არ მოელოდნენ ქართველი ხალხის ასეთ ერთსულოვნებას. იმ დროს, შეიძლება ითქვას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შეეძლო, თითქმის ყველა საკითხზე, ამა თუ იმ კუთხით, კომპრომისზე წასვლა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებთან საერთო ენის გამონახვა, გარდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გაუქმებისა.

ამ დროისათვის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს შორის განხეთქილება ისედაც უკიდურეს წერტილამდე იყო მისული. შეიძლება ითქვას, მათ შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით რაიმე შეთანხმების მიღწევაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მდგომარეობა განსაკუთრებით უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა საბჭოთა საქართველოს შექმნის თარიღის საპროტესტო აქციის მონაწილეებს. ეს დღე, როგორც ვიცით, ეროვნულმა ძალებმა გლოვის დღედ გამოაცხადეს და ეროვნულ მოძრაობაში გაეთიანებული ახალგაზრდები პროტესტის ნიშნად შავი ტანსაცმლით შეიმოსნენ.

ერთი სიტყვით, მთავრობის სახლთან გამართული აქციის მონაწილეების მოთხოვნები, რომ იტყვიან, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩვენი „უფროსი ძმა“ რუსეთისაგან უპასუხოდ არ დარჩებოდა. სამწუხაროდ, ასეც მოხდა, დაიღვარა სრულიად უდანაშაულო ქალებისა და ბავშვების სისხლი, რამაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მასშტაბები კიდევ უფრო გააძლიერა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში, რასაც შედეგად მსოფლიოში უდიდესი ბოროტების იმპერიის ჯერ რღვევა, შემდეგ კი ნგრევა მოჰყვა.

8 აპრილამდე მთავრობის სახლთან რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი არ ჰქონია. მხედველობაში მაქვს მოშიმშილეებსა და მათი მხარდამჭერების მიმართ ძალის გამოყენების მცდელობა. ეს კი იყო, რომ ხელისუფლება დაუინებით მოითხოვდა აქციის შეწყვეტას ან სხვა ადგილზე, კერძოდ კი იპოდრომზე გადატანას. როგორც უკვე ცნობილია, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სასტიკად აკრძალა რესპუბლიკის მოედანზე და მთავრობის სახლთან, ერთის სიტყვით, ქალაქის ცენტრში, ყოველგვარი მიტინგების და ქუჩაში მსვლელობების მოწყობა. მიტინგების ჩატარების ადგილად ოფიციალურად გამოიყო იპოდრომის ტერიტორია. იპოდრომზე, მართლაც, ჩატარდა რამდენიმე ხალხმრავალი მიტინგი, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ლიდერები ამან არ დააკმაყოფილა და ეროვნული მოძრაობის ყურადღების ცენტრში მოსაქცევად და გასაძლიერებლად მათ საჭიროდ ჩათვალეს სწორედ ქალაქის ცენტრში, კერძოდ, მთავრობის სახლთან არა მარტო მიტინგის, არამედ შიმშილობის აქციის მოწყობა. მათმა ჩანაფიქრმა გასჭრა. მოშიმშილეების გარშემო შემოკრება იწყო, შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველომ.

როგორც უკვე ავღნიშნე, 8 აპრილამდე მთავრობის სახლთან რაიმე სერიოზულ გართულებას ადგილი არ ჰქონია. 8-ში კი დილით ხელისუფლებამ აშკარად დაიწყო ძალის დემონსტრირება, თუმცა მივყვეთ მოვლენებს:

7 აპრილს შუაღამამდე დავრჩი მოშიმშილეებთან. შემდეგ კი თავი შეუძლოდ ვიგრძენი და სახლში წავედი, ცოტა რომ დამესვენა და დილით ისევ დავბრუნებულიყავი მიტინგზე. თან რაღაც წინათგრძნობა მკარნახობდა, რომ იმ ღამეს მოშიმშილეებს რაიმე საფრთხე არ მოელოდათ. დილით დაახლოებით 8 საათზე წამოვედი სახლიდან მეტროთი. ყოფილ ლენინის მოედანზე გამოვედი თუ არა ვაგონიდან, რაღაც ავის მომასწავებელი ხმები შემომესმა. მაღლიდან ჩამომსვლელები, რომლებშიც სკოლის მოსწავლე გოგონები სჭარბობდნენ, შეშინებულები, ტირილით რაღაცას ხმამაღლა მოსთქვამდნენ. ისინი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: — არ ახვიდეთ მაღლა, იქ საშინელება ტრიალებსო. ხალხი წამით შეყოვნდა, მაგრამ უკან არავინ გაბრუნებულა. პირიქით, ასეთი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ყველა ესკალატორს მიაწყდა და ერთი სული ჰქონდათ, როდის ავიდოდნენ მაღლა. ისინი, თითქოს უკვე გრძნობდნენ, რაც ხდებოდა და მაღლა გარინდებულები, პირქუში დუმილით შეჰყურებდნენ შიშისაგან აკანკალებულ, თვალცრემლიან გოგონებს და ერთხელაც არ უკითხავთ მათი ასე ხმამაღლა მოთქმის მიზეზი. იბადება კითხვა, რისთვის ადიოდა ხალხი მაღლა: ცნობისმოყვარეობისათვის? ანდა სეირის საყურებლად? თუ მოშიმშილეების მხარდასაჭერად? არა, როცა იცი, რომ რაიმე აუცილებელ ხიფათს გადაეყრები და მაინც მიდიხარ, ეს ცნობისმოყვარეობა აღარ არის. ეს უკვე თავგანწირვაა. იმ მომენტში რაღაც ენით აუწერელმა გრძნობამ მომიცვა. ვიგრძენი, რომ ქართველებში გაიღვიძა დიდი ხნის მიძინებულმა მტრისადმი ქედმოუხრელობამ. წარმოვიდგინე, რომ ასე დარაზმულები, ჩვენი წინაპრების მსგავსად, ბრძოლის ველზე მივდიოდით.

ამოვედი თუ არა მაღლა, დავინახე მეტროს წინ ხალხით გარშემორტყმული, ხეებს შორის გაჩხირული ტანკი. გაღიზიანებული ხალხი მუშტების ქნევით, წყევლითა და კრულვით გამოხატავდნენ პროტესტს. თითქმის ისტერიკაში ჩავარდნილმა ერთმა ქალბატონმა ფეხსაცმელი გაიძრო და ესროლა ტანკს, მას რამდენიმე კაცმაც აუბა მხარი, რომლებმაც სანაგვე ყუთებით და სხვადასხვა სახის საგნებით „შეამკეს“ იგი. ზოგიერთები ცდილობდნენ, თავიანთი მო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 აპრილი – ნანახი და განცდილი

დასაწყისი იხ. მე-9 გვერდზე

წოდებებით ხალხის უფრო მეტად გალიზიანებას და მათ ამხედრებას ტანკში მყოფი ჯარისკაცების მიმართ. მე დავინტერესდი, თუ რატომ იყო ტანკი გაჩერებული და არ ცდილობდა თავის დაღწევას. ახლოს მივედი და დავინახე, რომ ხესთან შეჯახებისას მას ცალი მუხლუხი ამოვარდნოდა და მისგან გვერდგაგლეჯილ ხეს იყო მიყრდნობილი, ხოლო „ცხვირი" მეორე ხეში ჰქონდა ჩარჭობილი.

ამ სურათის დანახვისას წარმოვიდგინე, თუ რა მოხდებოდა, ეს ხეები რომ არ ყოფილიყვნენ. მათ ხომ მაშინდელმა ქალაქის ხელმძღვანელობამ „სასიკვდილო" განაჩენი გამოუტანა. რა იცოდნენ მაშინ მათ, ვინც სისრულეში არ მოაყვანინა განაჩენი, რომ ამით არა მარტო ხეებს, არამედ მრავალ ადამიანს აჩუქა სიცოცხლე. იქნებ მათ, ვინც ბეწვზე გადაურჩნენ ტანკის მუხლუხებს, არც იციან მათი გადამრჩენი ხეების შესახებ. თუ რა ფასად დაუჯდათ ამ ხეებს გაავებული ტანკის შეჩერება, შეუძლიათ მათ თავად იხილონ. ისინი დღესაც, შეხორცებული ჭრილობებით

ცეული ხალხისკენ, სიცოცხლის რისკის ფასად ტანკს წინ გადაუყენა ავტომანქანა და რაღაც სასწაულით თვითონ მოასწრო გადმოხტომა. ტანკმა, რომ იტყვიან, გადათელა ავტომანქანა, მაგრამ ის წამი, რაც ამ პროცედურას დასჭირდა, საკმარისი აღმოჩნდა, რომ ხალხი სამშვიდობოს გასულიყო.

მაინც რა მოხდა იმ დილით? ან საიდან გაჩნდნენ მთავრობის სახლთან ტანკები? საქმე კი შემდეგში იყო:

მოშიმშილეების და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ უკიდურესი ზომების მიღებამდე, რაც დარბევაში გამოიხატებოდა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებით სცადა მათზე ზემოქმედება მოეხდინა. მათი ვარაუდით, ტანკების გამოჩენა შეაშინებდა მომიტინგეებს და დაიშლებოდნენ. ამის შემდეგ კი უსუსური, ძალღონე გამოლეული მოშიმშილეების მთავრობის სახლის კიბიდან გაყვანა უკვე დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა. მაგრამ მოხდა პირიქით, დაშლის მაგივრად ტანკების გამოჩენამ და მათმა ნამოქმედარმა უფრო მეტს, შეიძლება

ბის გაგრძელება, მაგრამ მამაც ახალგაზრდებს მხარი აუბეს სხვებმაც და ტანკებს წინ წასვლა მხოლოდ პროსპექტზე გაწოლილ ადამიანებზე გადავლით შეეძლოთ. მათ ამჯერადაც გაცლა ამჯობინეს. ტელეგრაფის სახლის წინ ასფალტს დიდხანს აჩნდა ტანკების მუხლუხების კვალი. გაცოფებულმა ტანკისტებმა ერთ ადგილზე რამდენჯერმე დაატრიალეს ტანკები და უკან გაბრუნდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ამით დასრულდა ხელისუფლების მხრიდან მომიტინგეების „მშვიდობიანი" გზით დაშლის მცდელობის პირველი ნაწილი. ამ ნაწილში ხელისუფლებამ, შეიძლება ითქვას, რომ პირწმინდად წაგო. ტანკების ორჯერ წარმატებით „მოგერიების" შემდეგ მომიტინგეებს თავისი ძალების რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცდათ. ხელისუფლება მიხვდა, რომ ამ გზით, კერძოდ, დაშინებით, მოშიმშილეების და მათი მხარდამჭერების მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან გაყვანა შეუძლებელი იყო. დღის წესრიგში დადგა მეორე და გადამწყვეტი ნაწილის, ყველაზე შემზარავი გადაწ-

ისეთი ცეკვა და სიმღერა გამართეს, თავი ქორწილში გეგონებოდათ, „დაუკარი, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს", ფანდურზე უსინათლო ქალბატონები მღეროდნენ. სიმღერასთან ერთად სულის შემძვრელად გუგუნებდა ქართული საცეკვაო მუსიკა, რომელსაც ტაშს აყოლებდა მოედანზე მყოფი დიდი თუ პატარა. საცეკვაო წრეში მოხდენილად, აზარტით, რომ იტყვიან, მთელი სულითა და გულით ცეკვავდა ერთი ახალგაზრდა გოგო. იგი ციბრუტივით ტრიალებდა. ბიჭები ცდილობდნენ პარტნიორობა გაეწიათ მისთვის, მაგრამ თავბრუდამხვევ ტემპს ვერ უძლებდნენ და გულამოვარდნილები სტოვებდნენ წრეს. ახალგაზრდა გოგო გაჩერებას არ აპირებდა, პირიქით, გახარებული სულ უფრო და უფრო უმატებდა ტემპს. მასთან „შებმას" აღარავინ ცდილობდა. აღტაცებულები ტაშითა და შეძახილებით ამხნევებდნენ წრეში თავდავიწყებით მქროლავ ფერიას. მეხსიერებაში ჩამრჩა მისი უზომო სიხარულისაგან გაბრწყინებული ბავშვური თვალები და მომღიმარე სახე. ძნელი წარმოსადგენი იყო მაშინ, რომ, ეს

სათვის ავტობუსების გათავისუფლება. საწადელს რომ ვერ მიაღწიეს, მიმართეს შანტაჟს. კერძოდ, მათ ავტობუსში მჯდომ გორელებს განუცხადეს, რომ თუ ავტობუსებს არ გაათავისუფლებდნენ და ხელს არ აიღებდნენ თბილისში გამგზავრებაზე, ისინი სტალინის ძეგლს აიღებდნენ. შანტაჟმა გასჭრა. ხალხმა გაათავისუფლა ავტობუსები და თავი მოიყარა სტალინის ძეგლთან. დელეგაციის ხელმძღვანელმა ბოლოს აღნიშნა, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რამდენიმე კაცმა მაინც შევძელით გამოგვეღწია გორიდან და მათი სახელით, ვინც ვერ შესძლო გორიდან გამოღწევა, გვინდოდა გვეცნობებინა თქვენთვის, რომ „გორელები თქვენთან ვართ".

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მომიტინგემ ჩაიქირქილა — რა დროს სტალინიაო, მიტინგის ორგანიზატორებმა თავი შეიკავეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე განცხადების ან რეპლიკის გაკეთებაზე და სწორადაც მოიქცნენ. სტალინთან დაპირისპირება მათ კარგს ვერაფერს მოუტანდა. ეს რომ ასეა, საკმა-

მედგრად დგანან მეტრო „თავისუფლების მოედნის" წინ.

მე არ ვიცი, ტანკში მყოფ ჯარისკაცებს იარაღი ჰქონდათ თუ არა, სათვალთვალოდან მხოლოდ მათი შეშფოთებული თვალები მოჩანდნენ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მოწოდებები შურისძიებაზე იმდენად მწვავე იყო, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო რაღაც გამოუსწორებელი უბედურების მოხდენა. იმ მომენტში იქ მისახმარებლად სხვა სამხედრო პირების გამოჩენა უფრო დაძაბავდა სიტუაციას. მდგომარეობის განმუხტვისათვის აუცილებელი იყო თვითონ მოქალაქეების აქტიურობა, და მართლაც, რამდენიმე ახალგაზრდა ყმაწვილმა მცირეოდენი თათბირის შემდეგ გააკეთეს წრე ტანკის გარშემო და რამდენიმე აგრესიულად განწყობილი მოქალაქის მიუხედავად ორ-სამ წუთში შეძლეს ტანკიდან ხალხის საკმაო მანძილით დაცილება. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ტანკისტს ანიშნა, რომ შეეძლო წასვლა. ტანკისტმა აამუშავა მანქანა, მცირე მანევრის შემდეგ მუხლუხი თავის ადგილზე ჩასვა და სწრაფი სვლით, რომ იტყვიან თავქუდმოგლეჯილი დაეშვა ყოფილი ლენინის მოედნისაკენ.

ამ ახალგაზრდებმა მართლაც რომ დროულად მიიღეს ზომები, რამდენადაც ტანკში მყოფ ჯარისკაცებს რაიმე რომ მოსვლოდათ, ეს უსათუოდ გახდებოდა საბაბი მოშიმშილეებისა და მათი მხარდამჭერების სასტიკად დარბევისა.

ამ ინცინდენტის მშვიდობიანად დამთავრების შემდეგ მე გავაგრძელე გზა მოშიმშილეებისაკენ. მთავრობის სახლთან, კერძოდ, კინოთეატრ „რუსთაველის" წინ შეჯგუფული ხალხი რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ. იქვე ახლოს დავინახე გვერდზე გადაბრუნებული „ცხვირჩარჩალეწილი" ავტომანქანა „ნივა". როგორც გაირკვა, ამ მანქანამ იხსნა მრავალი ადამიანის სიცოცხლე. უფრო სწორად, მილიციის თანამშრომელმა, რომელმაც დაინახა, რომ ტანკი მთელი სისწრაფით მიექანებოდა გაქ-

ითქვას, მთელ ქალაქს მოუყარა თავი. მე ვიტყოდი, რომ იმ დღეებში ეს ყველაზე მცდარი ნაბიჯი იქნა გადადგმული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელიც ძვირად დაუჯდათ როგორც ხელისუფლებას, ასევე მომიტინგეებს.

რა თქმა უნდა, არ ვიქნები მართალი, თუ ვიტყვი, რომ შეგნებულად, მაგრამ ფაქტია, რომ დარბევის წინ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ რაც შეიძლება ბევრ ხალხს მოეყარა თავი მთავრობის სახლთან. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც დაინახა, თუ როგორ შეხვდნენ მომიტინგეები ტანკებს, მათ თითქოსდა უვნებლად დასაშლელად ცოცხალი ძალის არა თუ გამოყენება, არამედ მათი რუსთაველის პროსპექტზე გამოჩენაც უკვე დანაშაულის ტოლფასი იყო.

სამხედრო ტექნიკის გამოყენება იმ დღით ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. დაახლოებით 12 საათი იქნებოდა, რომ კინოთეატრ „რუსთაველის" წინ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. რამდენიმე კაცმა, რომ იტყვიან, თავქუდმოგლეჯილმა ჩაირბინა. მათგან ერთ-ერთი მთელი ხმით გაჰყვიროდა — არიქათ, თავს უშველეთ, ტანკები მოდიანო. პანიკაში ჩავარდნილი მომიტინგეების ნაწილი ისე, რომ ვერ გაერკვნენ, თუ სინამდვილეში რა ხდებოდა, აჰყვნენ ფეხის ხმას და შეიქმნა ერთი გადარბენა. მთავრობის სახლთან შექმნილი პანიკა კი მთლად უსაფუძვლო არ იყო. მალე გაირკვა, რომ ტანკების გამოჩენის საშიშროება სინამდვილეში მართლაც იყო. დღის 12 საათსათვის სასტუმრო „ივერიის" მხრიდან რუსთაველის გამზირს რამდენიმე ტანკი მოადგა. ამ დროისათვის პროსპექტი ხალხით იყო სავსე. ტანკისტებს ეგონათ, რომ ხალხი შიშისაგან გაიფანტებოდა და შეუჩერებლად განაგრძეს მოძრაობა მთავრობის სახლისაკენ, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. რამდენიმე ახალგაზრდა ტანკებს წინ ჩაუწვა. ტანკისტებმა სცადეს მათი გვერდის ავლით მოძრაო-

ყვეტილების პრაქტიკულად განხორციელება, რაც მოშიმშილეების და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ ტანკებისა და დამსჯელი რაზმის ერთობლივ მოქმედებაში გამოიხატებოდა.

თითქოს ბუნებამაც იგრძნო, რა განსაცდელის წინაშე იდგნენ მომიტინგეები და დარბევიდან ნახევარი საათით ადრე წვიმა წამოვიდა. მოშიმშილეებს, რომ არ დასველებულიყვნენ, პოლიეთილენის ნაჭრები გადააფარეს. მანამდე მათ ყველას დაურიგეს წყალში დასველებული საფენები. მიტინგის ორგანიზატორები ყველას არწმუნებდნენ, რომ, თუ დარბევა მოხდებოდა, დამრბევები იარაღს ვერ გამოიყენებდნენ. ყველაზე უარესი, რაც მათ შეუძლიათ გააკეთონ, ეს არის წყლის ნაკადისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებაო. ამისთვის კი ყველა მომზადებული იყო. მოშიმშილეები და მათი მხარდამჭერები იმდენად იყვნენ დარწმუნებულები გორბაჩოვისეულ დემოკრატიაში, რომ არავის ეგონა, თუ სასიკვდილოდ გასწირავდნენ, მით უმეტეს, უმწეო ბავშვებსა და ქალებს. რა თქმა უნდა, მიტინგის ორგანიზატორები ისეთი გულუბრყვილონი არ იყვნენ, რომ წინასწარ არ სცოდნოდათ, თუ რა მოჰყვებოდა მომიტინგეების წინააღმდეგ ე.წ. საბჭოთა დამსჯელი რაზმის გამოყენებას. თქმა არ უნდა, რომ მათ გათვლილი ჰქონდათ ყველა შესაძლო ვარიანტი. მიტინგის ორგანიზატორებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ ხელისუფლება მომიტინგეების წინააღმდეგ გამოიყენებდა ძალას, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვებოდა, ამით ფარდა აეხდებოდა ცრუ დემოკრატიას და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა. რაც მთავარია, მთელი მსოფლიო გაიგებდა, რომ არსებობს საბჭოთა კავშირში ბოლშევიკების მიერ ძალით შეყვანილი ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვის.

დარბევამდე რამდენიმე წუთით ადრე მომიტინგეებმა

თვალები სულ რამდენიმე წუთში სამუდამოდ ჩაქრებოდნენ. თითქოს მტარვალებმა სპეციალურად ამოირჩიეს და ანგარიში გაუსწორეს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მას ასე უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო. რასაკვირველია, რომ იგი ისეთივე გახარებული, გაღიმებული სახით წავიდა იმქვეყნად, როგორიც იყო ცეკვის დროს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს წლოვანებით პატარა, მაგამ სულით ცამდე ამაღლებული, იმ სისხლიანი ღამის ნამდვილი გმირი გოგონა თამრიკო ჭოველიძე.

8 აპრილს მიტინგმა მართლაც რომ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. მთელი დღის განმავლობაში მთავრობის სახლთან უწყვეტ ნაკადად მოდიოდა დელეგაციები — თბილისზე რომ აღარაფერი ვთქვათ, — საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. რა თქმა უნდა, უზომოდ გახარებული ვიყავი ქართველების ერთსულოვნებით, მაგრამ ძალიან განვიცდიდი, რომ მოშიმშილეების მხარდამჭერთა შორის არ ჩანდა დელეგაცია გორიდან. რა თქმა უნდა, იმის გაფიქრებაც კი არ მინდოდა, რომ გორელებისათვის სულ ერთი ყოფილიყო თუ რა ხდებოდა თბილისში და იმედის თვალით გავცქეროდი რუსთაველის პროსპექტზე ზღვა ხალხში მოლივლივე ტრანსპარანტებს და ერთი სული მქონდა, როდის ამოვიკითხავდი „გორელები თქვენთან ვართო!" და აი, დაახლოებით ღამის თერთმეტ საათზე მიკროფონში გაისმა ირაკლი წერეთლის სიტყვები — მიტინგს შემოუერთდნენ გორიდან. მიკროფონთან მივიდა ახალგაზრდა ქალი, რომელმაც გორელების სახელით ბოდიში მოიხადა დაგვიანებით ჩამოსვლაზე და მომიტინგეებს აუწყა ამის მიზეზი. საქმე კი შემდეგში ყოფილა:

თბილისში გამოსამგზავრებლად 8 აპრილს დილით გორში უამრავი ხალხი შეკრებილა. რამდენიმე იკარუსის მარკის ავტობუსი უკვე მზად ყოფილა გამოსამგზავრებლად, რომ ამ დროს მათთვის გზა გადაუკეტიათ და მოუთხოვიათ მომიტინგეები-

რისია ალბათ იმის გახსენებნა, თუ რა ძვირად დაუჯდათ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს და საერთოდ მთელ ეროვნულ მოძრაობას მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და მათი წინამძღოლის აუგად მოხსენიება. მეორე მსოფლიო ომში ქართველი ვეტერანების დამსახურების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება, რომ იტყვიან, მოწმენდილ ცაზე მეხივით გავარდა და შედეგმაც არ დააყოვნა. რამდენიმე წუთში თითქმის დაიცალა ეროვნული სულისკვეთებით აღზევებული მომიტინგეებით გადაჭედილი მაშინდელი „დინამოს" სტადიონი.

დავუბრუნდეთ ისევ გორელებს. გამართლებული იყო თუ არა მათი მოქმედება, აქ ორი აზრი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. გორელებს ჰქონდათ ამის უფლება და გააკეთეს სწორედ ის, რაც უნდა გაეკეთებინათ. მაბი იმ დღეს, რომ იტყვიან, ორი „გამოცდა" წარმატებით ჩააბარეს. ჯერ ერთი, თავისი სიტყვა თქვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და მეორეც, არ მიატოვეს უპატრონოდ ისედაც ყველასგან მიტოვებული სტალინი, უფრო სწორად მისი ძეგლი. ნათქვამია, ყველამ თავისი მკვდარი უნდა იტიროსო. გორელებიც სხვას არავის ავალდებულებენ და თავის მკვდარს თვითონვე ტირიან. ავი იყო თუ კარგი, ის გორელი იყო და გორელადვე დარჩება. ადამიანი არ შეიძლება იყო იქაური, სადაც იგი კვდება, არამედ იქაურია, სადაც იბადება და მით უმეტეს, სადაც ბავშვობა და ყრმობა გაუტარებია, საერთოდ, უნდა გვეყოს ვაუკაცობა იმისა, რომ ასეთ კრიტიკულ მომენტში ფეხისხმას არ ავყვეთ.

9 აპრილს დატრიალებულ ხოცვა-ულეტას ძირითადად უმწეო ქალებისა და ბავშვების სიცოცხლე შეეწირა. თუ რატომ მოხდა ასე, ამ საკითხზე და საერთოდ, 9 აპრილთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე მკითხველი გაეცნობა გამოსაქვეყნებლად მომზადებულ ჩემ წიგნში „ცხრა აპრილი, ნანახი და განცდილი".

„შემდგომ ჰოლოკოსტში მუსლიმანებს დაერევიან“

„ჰოლოკოსტი“ ბიბლიური ცნებაა და ძველი ქართულით „ყოვლად დაწვად“ ანუ მთლიანად დაწვად ითარგმნება. ეს სახელი ჰქვია სამსხვერპლო ცხოველის მთლიანად დაწვას, რაც საღვთო მსხვერპლშეწირვის ერთ-ერთი ფორმაა. ეს მწუხარე გამოთქმა დღეს ახალი მნიშვნელობით დამკვიდრდა: მისით აღინიშნა ებრაელთა მასობრივი მოკვდინება ჰიტლერული რეჟიმის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს, რითაც გამოიხატა ის აზრი, რომ ეს იყო მსხვერპლი ღვთის წინაშე, რომელიც ებრაელმა ხალხმა გაიღო.

ამ სიტყვამ, — შეუდარებლად უფრო მძიმემ და სისხლიანმა, — შეცვალა ყველა ენაში რუსული „პოგრომი“, რომელიც მასთან შედარებით ბავშვურ თამაშადღა ჩანს. მაგრამ ვინაიდან „პოგრომი“ თავისი ჩვეულებრივი აზრით „დარბევას“ ნიშნავს, დღეს ამ სიტყვას განზოგადებულად აკრცელებენ ყველა რბევაზე, რომელიც მშვიდობიან მოსახლეობას ეხება ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან პოლიტიკური დისკრიმინირებულობის ნიშნით. ჟურნალი „New Statesman“ (ბრიტანეთი), საიდანაც წინამდებარე მასალას ვიმოწმებთ, ყველაზე ტრაგიკულ სიტყვას — „ჰოლოკოსტს“ — ხმარობს მეტაფორად იმ დისკრიმინაციისა და მოსალოდნელი დევნის აღსანიშნავად, რომელსაც, — როგორც ბევრნი შიშობენ, — მსხვერპლად ჰყავს მუსლიმანი იმიგრანტები ევროპაში. „ისლამოფობია“ — მისი სიტყვით, — „არაა მხოლოდ ბრიტანული დაავადება. მთელ ევროპაში ლიბერალები ღიად გამოთქვამენ წინასწარაღებულ უარყოფით დამოკიდებულებას („წინამსჯავრს“, Prejudice) მუსლიმანებისადმი“ და კითხვას სვამს: „ხომ არაა მოსალოდნელი ახალი „პოგრომები“?

აი, გერმანია, ქალაქი დორტმუნდი. „მრავალკულტურული“ ქალაქი (გამოთქმას „მრავალეროვანი“ ევროპელები არ ხმარობენ) მოიცავს გერმანელების გარდა ესპანელ, იტალიელ, პოლონელ იმიგრანტებს. ყველა ესენი იდეალურ ჰარმონიაში არიან გერმანელებთან. არის ერთადერთი პრობლემა — თურქები. რატომ? იმიტომ, რომ ისინი „ინტეგრაციაში არ შემოდიან“ (ანუ არ ერევიან დანარჩენებში) — პასუხობს მკვლევარ ჟურნალისტს მაიკ ტერნერს პოლონელი იმიგრანტი ქალი. მისი ადგილობრივი მეგობარი ახალგაზრდა ფიქრობს, რომ თურქები „უმეტესად კრიმინალები არიან“. „ისინი კონსერვატიულები არიან. მათი ქალები თავებს იფარავენ (ხილაბანდით. რედ.). ყურანი უბრძანებს მათ ქრისტიანები დახოცონ“. „შეჰხვედრიხართ ოდესმე თურქს“? — ეკითხება ჟურნალისტი. — „არა, არ შევხვედრივარ. მათ ერთად უჭირავთ თავი და არასოდეს შემოდიან სამეკიტნოებში“. სხვა რესპონდენტი, კორსიკელი კათოლიკე ქალი აჯამებს საერთო აზრს: „არ მიყვარს თურქები. არ ვიცი რატომ, მაგრამ არ მიყვარს“.

თურქები, ჟურნალისტის შთაბეჭდილებით, ამ ანტიპათიას ანტიპათიითვე არ პასუხობენ. გრილ-კაფეში, დორტმუნდის თურქულ უბანში ჟურნალისტი ინტერვიუს ართმევს გერმანიაში დაბადებულ თურქ მარტოხელა დედას. იგი ამბობს: „არ ვიცი, რატომ ვძულვართ ასე გერმანელებს. შესაძლებელია, ჰშურთ ჩვენი?“ (რა ჰშურთ? ის, რომ თურქები უკეთ მრავლდებიან? რედ.). იგი აცნობს ჟურნალისტს 16-18 წლის თურქ გოგონებს, რომლებიც კარგ ინგლისურს ლაპარაკობენ და პროფესიული კარიერისათვის ემზადებიან „ჰელმჰოლცის გრამატიკულ სკოლაში“. ერთი მათგანი, თურქულად თავდახურული, ამბობს, რასიზმს აქ ყველგან ვანყდებითო — სკოლაში მასწავლებლების მხრიდან, ავტობუსში, ქუჩაში. მეორე, თავდაუხურავი ქალიშვილი ამბობს: „ჩვენ გერმანიაში დავიბადეთ, გერმანელები ვართ. ერთად იმისთვის ვართ, რომ თავი დავიცვათ, ავერიდოთ ცუდ დამოკიდებულებას“.

ნიდერლანდების, ბელგიისა და, დასასრულ, საფრანგეთის მოვლამ ჟურნალისტი დაარწმუნა, რომ ყველგან ხალხი მზადაა მუსლიმანები ბნელ ფერებში დაინახონ. „ისლამოფობია არაა მხოლოდ ბრიტანული დაავადება. იგი საერთოევროპული, თუმცა სხვადასხვა სახით წარმოდგენილი მოვლენაა. იგი ერთადერთი კლდეა, რომელსაც ზედ ემსხვრევა ევროპული ლიბერალიზმის აღმავლობა“.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მუსლიმანი იმიგრანტებისადმი დამოკიდებულების ნიუანსებს, ჟურნალისტის აზრით, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ ქვეყნების ისტორიის დეტალები. მაგალითად, გერმანიაში ამ ანტიპათიის წყაროა ჯვარისწყლიი ცნობიერების მემკვიდრეობა ერთის მხრივ და უახლესი რასისტული პროპაგანდის მემკვიდრეობა მეორეს მხრივ, აგრეთვე ის, რომ ქალები თავს იხურავენ, მოხუცები გერმანულად ვერ ლაპარაკობენ, რომ აქაური გერმანელი მოქალაქე თურქები სამშობლოში მიდიან ცოლების ჩამოსაყვანად და რომ გერმანელები თურქებს „არ ენდობიან“. ამიტომ გერმანელთა შორის, პროფესორი რესპონდენტის თქმით, „მრავალნი შიშობენ, რომ ის, რაც ებრაელებს დავმართეთ, შესაძლოა მუსლიმანებს დავმართოთ. შემდეგი ჰოლოკოსტი მუსლიმანებისა იქნება“.

ჰოლანდიის პატარა ინდუსტრიულ ქალაქ ეინდჰოვენში 5000 მუსლიმანია. უბნად ცხოვრობენ, სადაც შესვლას ადგილობრივები საშიშად თვლიან. ადგილობრივი ქალი, რომელსაც მაროკოელი საყვარელი ჰყავს, ამბობს „მაროკოელები უმეტესად კრიმინალები არიან და ჩვენს ქვეყანას ანგრევენ“. მაროკოელ უბანში ბარის მფლობელი, „მაღალი, აგრესიული მაროკოელი“ ამბობს: „ჩვენ არა ვართ ჰოლანდიური თემის წევრნი. მათ არ ჰსურთ, პატივისცემით და ღირსეულად მოგვეპყრან. მათ ცალკე მყოფად მივაჩნივართ. ამიტომ ცალკე ვართ“. ჰოლანდიელთა ამ განწყობას, ჟურნალისტის სიტყვით, კვებავს მათი კოლონისტური წარსული (ჰოლანდიას უზარმაზარი კოლონიები ჰქონდა, მათ შორის — ყველაზე ხალხმრავალი მუსლიმანური ქვეყანა ინდონეზია). „ჰოლანდიური ლიბერალიზმი ჯრცელდება პროსტიტუციაზე და ნარკოტიკებზე, მაგრამ არა მუსლიმან იმიგრანტებზე“.

გაჰყურებენ გოდების კედელს

ბელგიაში მუსლიმანი ახალგაზრდა ქალი, მესამე თაობის ბელგიელი ამბობს: „ჩვენ ჯერ კიდევ კოლონიური ქვეშევრდომები ვართ. ჩვენ მუდამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რამე არ წამოგვცდეს, რადგან ყველაფრის თქმის უფლება არა გვაქვს“. ბელგიის სიტუაციას, კორესპონდენტის აზრით, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბელგიის ძალიან დიდი და ძალიან ულმობელი კოლონიალიზმის ისტორია. პოლიციელი რესპონდენტი არ ფიქრობს, რომ ბელგიელებსაც ჰმართებთ ნაბიჯის გადადგმა მუსლიმანი იმიგრანტებისაკენ, და არა მხოლოდ მუსლიმანებს ნაბიჯის აქეთ გადმოდგმა. იგი ფიქრობს, რომ მუსლიმანთა მხრიდან არეულობა დღეს თუ არა ხვალ მოხდება. „ისლამი პრობლემაა“.

საფრანგეთში ფრანგი რესპონდენტი ფიქრობს, რომ მუსლიმანური გამოსვლების ძირითადი მიზეზია ეკონომიკური გადარჩენის მოთხოვნილება (სამუშაო, საცხოვრებელი, განათლების საშუალებები) „და, რა თქმა უნდა, რასიზმი“. მუსლიმანი რესპონდენტი, პროფესიით ყასაბი, ამბობს: „ჩვენ იმიგრანტებს გვეძახიან, თუმცა აქ დაბადებულნი ვართ. მათს „თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის იდეალში საჩვენო ადგილი არ არის“. ჟურნალისტის აზრით, საფრანგეთის რევოლუციის ეთოსი (სულისკვეთება) მართლაც ჩაფიქრებული არ ყოფილა როგორც პლურალისტური. მისი არსებითი იდეა დამყარებული იყო ტოტალურ ერთგვაროვნებაზე, რომელმაც შემდგომში ევროპული ნაციონალიზმის ერთ-ერთი იდეოლოგიური საფუძველი შეადგინა. „ფრანგებად“ ასიმილაცია, თითქოს, მხოლოდ პოლიტიკურ (მოქალაქეობრივ) იდენტობას აღიარებს და კანის ფერზე თვალს ხუჭავს, მაგრამ სინამდვილეში იგი რასის (ეთნიკურობის. რედ.) მიმართაც თვალღიაა და კანის ფერის ბარიერისთვისაც. დიდი როლი ამ განწყობის შექმნაში ეკუთვნის საფრანგეთის უახლესი წარსულის იმ ხანას, როცა ჩრდილო აფრიკის ფრანგულ კოლონიებში არსებობდა მედინები — მუსლიმანური უბნები, რომელიც შეულწევადი იყო პოლიციისთვისაც და ცივილიზაციისთვისაც და, ამგვარად, თანამედროვეობისაგან სავსებით და სამუდამოდ გარიყულად ითვლებოდა. იგივე მიმართება გადმოტანილია დღეს ყოფილ მეტროპოლიაში — ოღონდ განვითარებული, თანამედროვე ქალაქი, როგორც წესი, აქ ცენტრშია, უღიმღამო და ადამიანის გემოვნებასთან შეუთავსებადი, ღარიბი იმიგრანტული დასახლებები კი, როგორც წესი, — გარეუბნებში.

კორესპონდენტი, მისი სიტყვით, გააოცა მისი კონტინენტურ ევროპაში მოგზაურობის მანძილზე იმან, რა დაუფარავად გამოითქმის იქ რასული წინარწმენები. ეს ეხება არა მხოლოდ პოლიტიკაში ჩაბმულ პირებს, როგორიც ლე პენია საფრანგეთში და ფორტუინი იყო ჰოლანდიაში, არამედ ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც, რომელნიც თავს ცივილიზებულ, ლიბერალურ ადამიანებად თვლიან და არიან კიდეც.

უაღრესად საინტერესოა იმიგრანტთა მიუღებლობის იდეოლოგია, რომელსაც ჟურნალისტი ბელგიელი პოლიტიკოსის ციტატით ასე გადმოგვცემს: „იმიგრანტები ადაპტაციას არ ახდენენ. მათ არ უნდათ ენის სწავლა. მათ არ აინტერესებთ ჩვენი კულტურა, არამედ ფიქრობენ მხოლოდ და მხოლოდ იოლი ფულის შოვნაზე“. (ამ იდეოლოგიაში, ერთის მხრივ, ასიმილაციის მისწრაფება ჩანს, მეორეს მხრივ, სავარაუდოა, გაღიზიანება იმის გამო, რომ იმიგრანტები კონტინენტურ ევროპაში ინგლისური ენის პოზიციების გაძლიერების იარაღად გვევლინებიან. რედ.).

ჯამში, ჟურნალისტის აზრით, თუმცა დღევანდელი ევროპული ლიბერალიზმი მნიშვნელოვანწილად კოლონიალიზმის დაძლევის ნაყოფია, ეს დაძლევა ამ უკანასკნელის ყველაზე თვალში საცემად საზიზღარ დეტალებს უფრო ეხება, ვიდრე მის არსს. განსხვავებულობისა და ერთთათვის მეორეთა სუბორდინაციის განწყობა კვლავ ადგილზეა. მას, ჟურნალისტის აზრით, კულტურათა სხვადასხვაობის ფაქტორი უფრო კვებავს, რეალურად, ვიდრე რომელიმე სხვა. აზრი, რომ ერი (ნაცია, სახელმწიფო) რაღაცით უნდა შეიცვალოს უმცირესობათა ადაპტაციის ამოცანასთან დაკავშირებით, არ ჩნდება. აქედან — იმის არდაშვება, რომ მუსლიმანი იმიგრანტები მიღებულ იქნენ თანასწორ მონაწილეებად აღმავალი სოციალური მობილობისათვის კონკურენციაში და ერის (სახელმწიფოს) ფორმირების პროცესში, რაც იმიგრანტთა ახალგაზრდა თაობის მთავარი მოთხოვნა და ინტერესია.

„რბილი თეოკრატია“ ინგლისში

ანგლიკანიზმის, ანუ რომისაგან დამოუკიდებელი ინგლისური ეკლესიის დაფუძნებისა და შემდგომი დაცვის პოლიტიკის დამფუძნებელი ჰენრი VIII, THE ECONOMIST-ის სიტყვით, მძლავრ გამოთქმებს არ ერიდებოდა. 1534 წელს ხელმოწერილი „უზენაესობის აქტი“, რომლითაც მან ეს დიდი ისტორიული ნაბიჯი გადადგა, იგი, როგორც ინგლისის ეკლესიის მეთაური, ინგლისის მეფეს უფლებას ანიჭებს „შეამოწმოს, აღკვეთოს, აღრიცხოს, მოაწესრიგოს, შეასწოროს და შეავსოს“ ეკლესიაში განხორციელებული ყველა ნაბიჯი, რომელიც შეიცავს „შეცდომას, წვალებას (ერესს), ბოროტად გამოყენებას, შეურაცხყოფას, კადნიერებას და მკრეხელობას“ და ა.შ. ერის რელიგიური ცხოვრების სფეროში, ყველაზე მძიმე სასჯელის განსაზღვრის ჩათვლით. ეს მძიმე უფლებამოსილება ინგლისის შემდგომ მეფეებს მაინცდამაინც არასოდეს გამოუყენებიათ. მაგრამ მეფის უფლებამოსილება, როგორც ქვეყნის რელიგიური მეთაურისა, მაინც ყოველთვის შეიცავს იმის რისკს, რომ იგი დიდი გადაწყვეტილებების ტვირთის ქვეშ მოექცეს. დედოფალმა ელისაბედ II-მ ამას წინათ გახსნა 5 წლით არჩეული ახალი სინოდის — საეკლესიო „პარლამენტის“ — სხდომა, მაგრამ იმ განსხვავებით ყველა წინა სინოდის სხდომებისაგან, რომ ამჯერად ჰაეში ტრიალებს შესაძლებელი განხეთქილების სუნი, სახელდობრ, განხეთქილებაზე ჰომოსექსუალებისადმი ეკლესიის პოზიციის გამო.

ეკლესიამაც, ისევე როგორც მრავალმა სხვა ბრიტანულმა ინსტიტუტმა, ჟურნალის სიტყვით, იმით მოახერხა თავისი თავის უცვლელად შენარჩუნება, რომ მას გამომუშავებული აქვს აზრთა უთანხმოების შერბილება და საკუთარ ხაზთან მორგების ხელოვნება. სინოდში ჩატარებულმა პირველმა კამათმა, რომლის თემა იყო ტერორიზმი, მეხსიერებაში წამოატივტივა ის, რასაც „ფართო ეკლესია“ ეწოდება. ერთმა საერო მონაწილემ გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა შემნდობი დამოკიდებულება „შესაძლო“ ამფეთქებლებისადმი, რომელიც შეიძლება ნებიერმიერი ადამიანი აღმოჩნდეს, ხოლო მისმა ოპონენტმა, ეპისკოპოსმა ის პოზიცია დააფიქსირა, რომ შესაძლებელია მართებული იყოს „მოსაკლავად სროლის“ ტაქტიკის გამოყენება, როგორც უკანასკნელი გამოსავალი. სინოდში გამოთქმული პოზიციები, როგორც წესი, ისეთ ზუსტ ბალანსს ავლენენ ხოლმე ერთიმეორესთან მიმართებაში, რომ, გარკვეულ წილად, მოულოდნელობად გაისმა დედოფლის სიტყვები, რომ მან ჩვეულზე უფრო მკვეთრი გამოთქმებით გაუზიარა სინოდს თავისი აზრი ქრისტიანული მოძღვრებისათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ. მან თქვა „ჩვენი სარწმუნოების გულია ის უყოყმანო აზრი, რომ წარუვალ მნიშვნელოვბასა და მიზანს ყველა ადამიანი იესო ქრისტეს სახარებაში პოვებს“. ამგვარი მყარი გამონათქვამები, ჟურნალის აზრით, იშვიათია ჩვენს დროში. „ანგლიკანიზმის ტრადიციული მზაობა კომპრომისისათვის გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომაა, რომ მას თანაუგრძნობს სხვა სარწმუნოებათა ამდენი წარმომადგენელი და ამდენი არამორწმუნე“. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ბრიტანელთა 75% ჰსურს „ქრისტიანულ ღირებულებათა შენარჩუნება“. ანალოგიურ შეხედულებას ადგას ებრაელთა 60%, მუსლიმანთა 50%, სიკხთა და ინდუისტთა, აგრეთვე არამორწმუნეთა 44%. მაგრამ ყველას როდი უნდა, რომ მისი თეოკრატია ანგლიკანურივით „რბილი“ იყოს. ალ-ყაიდას ერთ-ერთმა ლიდერმა დედოფალს „ისლამის უბოროტესი მტერი უწოდა“ და სინანული გამოთქვა, რომ ბრიტანელი მუსლიმანები „ინგლისის ეკლესიის მეთაურის, ელისაბედის სიამოვნებისათვის მუშაობენ“, „რაც უნდა ფართო იყოს თქვენი ეკლესია, ზოგ „შეურაცხყოფას და კადნიერებას“ ვერ მოირგებთ“.

პუტინზე სხვა აზრიც არსებობს

ამ ამბის თავაზიან გულასხდილობაზე მეტყველებს თუნდაც ჩერჩილის ხატოვანი გამონათქვამი, რომლითაც იგივე ჟურნალი პუტინის ცოტა სხვა სტილში გამართული პორტრეტის ხატვას იწყებს: „რუსული პოლიტიკის ცქერა იგივეა, რაც ორი ნაგაზის ბრძოლის ცქერა ხალიჩის ქვეშ“. ვინ იქნება პუტინის შემდეგ პრეზიდენტი? თუმცა არჩევნების თარიღი (2008) ჯერ კიდევ შორსაა, მარათონი უკვე დაწყებულია. მაგრამ მისი ასპარეზია პუტინის გული (ვის აირჩევს) და არა პოლიტიკური სცენა. ერთი კანდიდატია მედვედევი, უზარმაზარი „გაზპრომის“ ლიდერი, რომელიც 14 ნოემბერს პრემირ-მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნა. მეორეა, სერგეი ივანოვი, უშიშროების კაცი, რომელიც აგრეთვე პრემიერ-მინისტრის მოადგილე უნდა გახდეს. შესაძლებელნი არიან სხვანიც, მათ შორის ვინმე სრულებით უცნობიც კი, როგორც თვით პუტინი იყო სრულებით უცნობი, როცა ელცინმა გამოარჩია და დიდი კარიერა დააწყებინა. მედვედევი ხასიათდება პრაგმატიზმით, ივანოვი — კარგი ინგლისურით, „თუმცა ცივი მეომრის სული აქვს“ (მის თავხედურ აგრესიულობაზე საქართველოს მიმართ, რომელიც, შესაძლოა, აგრეთვე, საარჩევნო ილეთია, ჟურნალი დუმს. რედ.). ორი შესაძლო კანდიდატის ერთდროული დაწინაურება, ჟურნალის სიტყვით, „საბჭოური სტილის მანევრია“. ორივეს გამოცდა ახალ ფუნქციებში „უპირველესი რუსული სტილია“. ივანოვის დღევანდლამდელ მიღწევებს ჟურნალი ახასიათებს გამოთქმით, რომ იგი „ჩხირკედელაობს“ შეიარაღებული ძალების მშენებლობის მიმართულებით“, მედვედევს, რომელიც პოლიტიკაში ჯერ მხოლოდ ერთი ინტერვიუთი ჩანს, შედარებით უფრო სოლიდურად იხსენიებს.

პუტინს (როგორც ყველამ ვიცით და ჟურნალიც შეგვახსენებს) უჩინარობიდან მწვერვალისაკენ გზა გაუკაფა „აფეთქებათა საიდუმლო სერიამ, ჩეჩნეთის ომმა და ელცინის ნაადრევმა გადადგომამ“. მაგრამ „შესაძლებელია ახალმა მოხერხებულმა საჭირობამ კიდევ ერთხლ მოითხოვოს“ პუტინის დარჩენა თანამდებობაზე მესამ ვადით. „მოწყობილი რევოლუცია“ კიდევ ერთი შესაძლებელი ვარიანტია 2008 წლის პრეზიდენტის ვინაობის განსაზღვრისა. „ერთადერთი შესაძლებლობა, რომელიც სავსებით უცხო ჩანს, არის ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები“.

ისეთი კორექტული ჟურნალი, როგორიცაა THE ECONOMIST, პოლიტიკური ფიგურის უფრო მკაცრი დახასიათება შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო და დაინტერესებული

ბრიტანელი მოსამართლეები. პარიკი მათი უნიფორმაა. როგორც ვხედავთ, ეს უნიფორმა მათს მიმიკის თავისუფლებას არ ზღუდავს

ფლორიდაში ასამართლებენ არაბული წარმოშობის პროფესორს სამი არიანს, რომელიც ცნობილია ამერიკული პოლიტიკის გააფთრებული კრიტიკით და იზრაელის სიძულვილით. ბრალად ედება, რომ ფულს აგროვებდა ქველმოქმედებისათვის და გადასცემდა ტერორისტულ ორგანიზაციებს. ბრალეულად სცნო 17-მა ნაფიცმა მსაჯულმა და უბრალოდ — ცხრამ, რაც არ კმარა ბრალდებისათვის. იგი ჯერჯერობით ციხეში რჩება, მთავრობა კი ახალ გასამართლებას გეგმავს. მისი სამი თანამოსაქმის მიმართაც ხმები გაიყო. დაცვის მთავარი არგუმენტი პროფესორის სასარგებოდ ისაა, რომ კაცი შეიძლება გაასამართლოთ მხოლოდ მისი ქმედებებისათვის, მაგრამ არა მისი შეხედულებებისათვის. ქალაქ ტამპაში, სადაც მას ასამართლებენ, საზოგადოებრივი აზრი მას ცუდად ეკიდება. იზრაელიდან აუარებელი ტერაქტთა მსხვერპლები (დაზარალებულები) არიან ჩაფრენილნი, კონსერვატორები რეკავენ ადგილობრივ რადიოსადგურებში და ითხოვენ მისი ნაწილობრივ გამამართლებელი ვერდიქტის გადასინჯვას. ერთმა მსაჯულმა თქვა, „ჩვენ ვერ მოვიფიქრეთ, რომ მთავრობა თავის საქმეს აკეთებდა“.

The Economist-ის აზრით, ბრალდებული, თუნდაც გაამართლონ, ვერ დაუბრუნდება თავის მანამდელ ცხოვრებას. მას არ აღადგენენ ფლორიდის უნივერსიტეტში, საიდანაც გააძევეს. გარდა ამისა, მას გამოუნახეს, რომ დოკუმენტებში იცრუა, როცა ამერიკის მოქალაქეობას იღებდა, და არჩევნებში ხმა მისცა, როცა მოქალაქე არ იყო. თითო ეს ბრალი საკმარისია, რომ ამერიკიდან გაძევებულ იქნას.

ლიტვაში სოროსს უტევენ

სოროსის ანტიქართული ღვაწლი საქართველოში ცნობილია. ცნობილნი არიან მისი ქართველი თანამშრომელნიც — როგორც წესი, უღიმღამონი, ზოგადსა და სპეციალურ ტალანტებს მოკლებულნი და იმათში, ვის შორისაც უდარესობით არიან ბუნებით გამორჩეულნი, უპირატესობით გამორჩევის მსურველნი. მაგრამ სოროსისმიერი „ძირის თხრის“ მხილების უკვე პოპულარული მადლიანი და ლამაზი ტრანსპარანტი („დროშაო“, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით), რეალურად პატრიოტული განწყობილების მქონე ჯგუფების გარდა. დღეს ნაკლებ პატრიოტულებმაც, უფრო ზუსტად — არაპატრიოტულებმაც, კიდევ უფრო ზუსტად — ანტიპატრიოტულებმაც და რუსეთის პირდაპირ სამსახურში მყოფებმაც აიტაცეს. ამ კონტექსტში ძალიან საგულისხმოა The Economist-ის წერილი, რომელიც სოროსის მოღვაწეობის ლიტვურ აღქმას ეხება. ვინაიდან ლიტველთა გაღიზიანება სოროსის მოღვაწეობით მათს ქვეყანაში დროით დაემთხვა (დაახლოებით) არა ჭართველთა გაღიზიანებას ამავე პიროვნებით და მისი მრავალრიცხოვანი ქართველი „კადრების“ საქმიანობით, არამედ ამ გაღიზიანებაში იმგვარი ელემენტის ჩართვას, რომელსაც ანტიქართული ქმედებები, ჩვეულებრივ, ნაკლებ აღიზიანებს, ბუნებრივია ეჭვი, ხომ არ ჩათვალა ე.წ. რუსულმა ხელმა საჭიროდ, სოროსს „გაჰკრას“ მოსალოდნელი ახალი „ფერადი რევოლუციების“ კონტექსტში (რომლებიც დღეს სოროსის ხელში არაა და აღარაა), ან, პირიქით, მის ამ „გაკვრაში“ ჩართვით მისთვის სასურველი რომელიმე ადგილობრივი ძალა „გაასუქოს“ ანუ ქულები დაუწეროს საზოგადოების თვალში? იმისათვის, რომ მკითხველს საშუალება ჰქონდეს გაიგოს არა მხოლოდ ფაქტები, არამედ ამ უაღრესად ბრძენი და კეთილსინდისიერი (ობიექტური) ჟურნალის პოზიციის ნიუანსებიც, მივაწოდებთ მას ამ მოკლე ტექსტს, პრაქტიკულად, სიტყვა-სიტყვით.

ჟურნალი წერს:

„ეს ფრიად ჰგავს უმადურებას.“

„კომუნიზმის დაცემის შემდეგ ჯორჯ სოროსმა, უნგრელმა მილიარდერმა შექმნა თავის ფონდთა ბადე აღმოსავლეთ ევროპის ახალ დემოკრატიებში. იმ 65 მილიონმა დოლარმა, რომელიც მან ლიტვაში დახარჯა, ფრიად წარმატებულად იმუშავა. ფონდმა, რომელსაც ადგილობრივები უძღვებოდნენ, დააფინანსა დიდად საჭირო ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები პლუს ფართო სპექტრის თარგმანები არისტოტელედან უმბერტო ეკომდე. სოროსის გრანტებმა და კონტრაქტებმა საშუალება მისცა მრავალ ინტელექტუალს, შიმშილით არ მომკვდარიყო. სხვა მისი პროექტები ეხებიან ნარკომანიას და შიდსს.

მაგრამ ბოლო სამი კვირაა, გათვლილი გამოსვლები სოროსის წინააღმდეგ მცირეფორმატიან წამყვან გაზეთში „რესპუბლიკა“ სოროსს ხატავენ, როგორც ბოროტგანმზრახველ გარეშე ჩამრევს ლიტვის შინაგან საქმეებში. ეს ყველასათვის ცნობილი თემაა. შარშან წერილების სერია სვამდა კითხვას „ვინ მართავს მსოფლიოს?“ (დასკვნა გახლავთ: „ებრაელები და ცისფერები“).

სოროსი ლიტვაში

„ახალი თავდასხმები მიმართულია ისეთ რელიგიურსა და პოლიტიკურ ფიგურებზეც, რომლებსაც მხოლოდ არაპირდაპირი კავშირი აქვთ სოროსის ფონდთან, მათ შორის ქვეყნის დღევანდელ პროდასავლელ პრეზიდენტზე ვალდას ადამკუსზე. ყველა ამ სამიზნეს ანტიპათიურად ეკიდება მმართველი შრომის (ლეიბორისტული) პარტია, რომელმაც, თავის მოკავშირეებთან ერთად, უშიშროების სამსახურებს სთხოვა სოროსის ფონდის „ფინანსური სქემებისა და ქსელების“ შემოწმება იმ საფუძველზე, რომ ისინი „საშიშროებას უქმნიან ქვეყნის უსაფრთხოებას“ და „გამიზნულნი არიან საზოგადოების არა კონსოლიდაციისკენ, არამედ გაყოფისკენ“.

„სოროსელები ჯერ განზე იდგნენ, მაგრამ ახლა კონტრიერიშზე გადავიდნენ. ღია წერილი, რომელსაც ხელს აწერენ მრავალნი ქვეყნისათვის ყველაზე უფრო ცნობილ ინტელექტუალთა შორის, სთხოვენ „რესპუბლიკას“ თავი დაანებოს თავის ამ „დესტრუქციულ“ გამოსვლებს.

„რა ხდება? ზოგი ბრალს რუსეთს სდებს. სოროსის მიერ დაფუძნებული დაწესებულებები სხვა ნასაბჭოვარ ადგილებშიც, როგორიც, მაგალითად, საქართველო და უკრაინაა, ასეთივე ტონალობის თავდასხმათა საგანი გახდა.

„ცეცხლის შენთება ფიქტიური სკანდალისათვის დასავლეთის საიდუმლო გავლენის გამო ანეიტრალებს რეალურ შიშს რუსეთის შესაძლო მოქმედებებთან დაკავშირებით“ —, ფიქრობს ერთ-ერთი მაღალი მდგომარეობის ოფიციალური პირი. მეორე თეორია ფიქრობს, რომ ბ-ნ სოროსის მიერ დაფუძნებული ანტიკორუფციული კამპანიები მეტისმეტად წარმატებული აღმოჩნდა: მათ გამოავლინეს დიდი „სანაცვლო გადახდები“ (kickbacks) ევროკავშირის დახმარებათა განაწილების საქმეში.

ბ-ნი სოროსი შლის თავის მოღვაწეობას მსოფლიოს პროკომუნისტური ნაწილის უფრო მდიდარ ადგილებში, სადაც მისი დახმარებით მოარსებე „ღია საზოგადოებები“ ყვავის. შესაძლოა, უკეთესი იქნება, თუ იგი ცოტა შეანელებს თავის მოღვაწეობას ლიტვაში.“

თურქულ-ქურთული დაპირისპირების ახალი ხვეული

თურქეთის სამხრეთ-დასავლეთში, რომელიც ქურთული სახლობის რაიონია, ქალაქ სემდინლიში აფეთქდა წიგნების კიოსკი, რომელიც ეკუთვნოდა ქურთ ნაციონალისტს. თუმცა არმია (რომელიც თურქეთში, პრაქტიკულად, მთავარი მმართველი ძალაა), ერთი გენერლის სახით, ამ ინცინდენტს „ადგილობრივ მოვლენად“ თვლის, არის აზრი, რომ ეს გააკეთა ვიღაცამ, ვისაც მიზნად აქვს ჩაშალოს თურქეთის შესვლა ევროკავშირში, რისთვისაც ეს ქვეყანა მრავალი წელია იბრძვის. არის ეჭვიც, რომ ეს გააკეთა არმიამ, რომელსაც „ყელში აქვს ამოსული“ ქურთების ბრძოლა თავისი ეროვნული ინტერესებისათვის სახელმწიფოს პირისპირ, და მათი ტერორისტული პარტია PKK.

აფეთქებამ გამოიწვია კონფლიქტის ახალი ტალღა მთელ სამხრეთ-დასავლეთში. სულ ცოტა, ხუთი მოქალაქე დაიღუპა პოლიციასთან შეტაკებებში, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ლიდერები თავისიანებს დაშოშმინებისკენ მოუწოდებენ.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოგანმა დაიფიცა, რომ საქმეს ძირამდე ჩასდევს და დამნაშავეებს დასჯის,

თურქები გერმანიაში

„ვინც არ უნდა იყონ“. მაგრამ The Economist-ი ეჭვს გამოთქვამს, რამდენად შეძლებს იგი ამას, რადგან თურქეთში არმია, ტრადიციულად, ყოვლისშემძლეა და მასთან დაპირისპირებაზე პრემიერი ვერ წავა. თუმცა ერდოგანი ამბობს, რომ გენშტაბის უფროსი გენერალი ოზკოლი მას ემხრობა მის მტკიცე განზრახვაში. ეს არ ნიშნავს, რომ საქმე მართლა ასეა.

ეს უკანასკნელი ეჭვი გამომზეურდა იმით, რომ გააფთრებული ადგილობრივი მოსახლეობა გამოედევნა და შემდეგ ლინჩის წესით დასჯა მოუნდომა სამ ეჭვმიტანილს ბომბის ჩადებაში, რომლითაც ერთი კაცი მოკვდა და თოთხმეტი დაიჭრა. ეს სამნი ჟანდარმერიის დაზვერვის აგენტები აღმოჩდნენ. ჟანდარმერიის ძალებს ადრეც ბრალად ედებოდათ ადამიანის უფლებების შელახვა ქურთთა ნაციონალისტების გაუსამართლებლად მკვლელობებისა და სოფლების გადაწვის ჩათვლით, 1990-იან წლებში, როცა პე-კა-კასეულ (PKK) მეამბოხეთა მოქმედების ტალღა მძვინვარებდა.

სახმელეთო ძალების სარდალმა იასარ ბიუქანატმა, რომელიც „ქორული“ პოზიციის გენერლად არის ცნობილი და რომელიც გაისად ოზკოკს ჩაენაცვლება მის თანამდებობაზე, განაცხადა, რომ იცნობს ერთ-ერთ ეჭვმიტანილს, როგორც „კარგ კაცს“. ორი სხვა ეჭვმიტანილი — ერთი სერჟანტი და ერთი უმცროსი ოფიცერი — პატიმრობიდან გაათავისუფლეს 13 ნოემბრის სასამართლომდე. ეს ორნი ამბობდნენ, მხოლოდ იმიტომ გავჩერდით მეჩეთთან, რომ მოშარდვა გვინ�და.

ჩამდენი ცნობილი არაა

ოდაო. მესამე ეჭვმიტანილი, PKK-ს მეამბოხე, პოლიციის ინფორმატორი აღმოჩნდა. იგი ამბობს, ახლო მდებარე კიოსკში ლატარიის ბილეთის ყიდვა მინდოდაო.

ოპოზიციის დეპუტატები დამოუკიდებელ ძიებას აწარმოებენ. ისინი ამბობენ, რომ ეჭვმიტანილთა ავტომანქანა, რომელიც ახლოს იყო გაჩერებული, ადგილობრივი ჟანდარმერიისაა, და რომ მასში იყო სენდამლის დეტალური რუკები, აფეთქებული კიოსკის აღნიშვნით, იარაღით და 105 პოტენციური სამიზნე პირის სიით ქურთების თვალსაჩინო ტომის ბელადთა რიცხვიდან.

ზოგი ჭკვიანი კაცი უარყოფს, რომ აფეთქების მიზანი იყო თურქების და ქურთების ომის განახლება ევროკავშირში თურქეთის მიღების ჩასაშლელად. ეს, უფრო, არმიის თავშეუკავებელ წარმომადგენელთა ნამოქმედარიაო, რომელთაც ამოძრავებს ანტიპათია PKK-სადმი და მისი მხარდამჭერებისადმი. სხვანი იხსენებენ საიდუმლოებით მოცულ 1996 წლის შემთხვევას, როცა ავარიაში მოყოლილ მანქანაში ქ. სუსურლუკში აღმოჩნდა დიდძალი იარაღი და პოლიციის ადგილობრივი შეფისა და მისი საყვარლის გვამები. ეს კაცი იყო ერთ-ერთი მემარჯვენე ფიგურა, რომელსაც ანგარიშგასასწორებლად ეძებდნენ. ამ ინციდენტმა გამოავლინა კავშირი მთავრობასა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის. ერთმა დიდმა გენერალმა უარი თქვა პარლამენტის კომისიისათვის ჩვენების მიცემაზე, ხოლო რამდენიმე პოლიტიკოსი თავის საპარლამენტო შეუვალობას (იმუნიტეტს) ამოეფარა. სკანდალი მაშინ ჩაფარცხეს და რამდენიმე მცირე მოხელის დაჭერაზე გადატეხეს.

ჟურნალს მიაჩნია, რომ ერდოგანს ამ საქმესთან დაკავშირებით აქტიური მოქმედება ჰმართებს. ამით ის თავს კარგად გამოაჩენს თავის მოქალაქეთა წინაშეც და ევროსაბჭოს წინაშეც. გარდა ამისა, „აჩვენებს იმათ, ვისაც კანონის საკუთარ ხელში აღების მიდრეკილება აქვს, რომ, თუკი ეს უნდათ, ამას დაუსჯელად ვერ იზამენ“.

ტერორიზმი ვრცელდება ახალ ქვეყნებზე

ბანგლადეში არ ეკუთვნის იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც ოდესმე ყოფილა ტერორიზმი საკუთარი მოქალაქეების მიმართ. დღეს იგი უკვე გაჩენილია. მომკვდარია რამდენსამე აფეთქებაში 20 კაცი, დაშავებულია მრავალი. ერთი ნაწილი აქტებისა ჩადენილია თვითმკვლელი ტერორისტების მიერ. ავტორები არიან ისლამური ექსტრემისტები, თუმცა მმართველი პარტია — ბანგლადეშის ნაციონალისტური პარტია — კოალიციაშია ორ ზომიერ ისლამურ პარტიასთან. მიჩნეულია, რომ ტერორისტებს „კამიკაძეთა“ ორიათასკაციანი რეზერვი ჰყავთ. არის აზრი, რომ ისლამური მოკავშირეები ხელისუფლებას ურჩევდნენ (აქამდე მაინც) თვალის დახუჭვას ისლამური ფუნდამენტალისტური ტერორისტული აქტივობის გამოცოცხლების ნიშნებზე.

აი, რისთვის სჭირდება რუსეთს რკინიგზის გახნა აფხაზეთის მონაკვეთში

სიახლე ირანის ბირთვულ მეგობაში

ქვესათაურში დასმული კითხვით „რუსეთი დაგვეხმარება თუ გზაში ჩაგვიდგება?" ჟ. The Economist იწყებს მსჯელობას ირანის, დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობათა სპირალის ახალ ხვეულზე ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით. ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ, როგორც ცნობილია, ირანი ვერ დაიყოლიეს მისი ბირთვული სამუშაოების შეჩერებაზე. ახლა რუსეთი რომ მოლაპარაკებას თავს იდებს, იგი შედეგს მიაღწევს თუ, პირიქით, განსაზღვრული აქვს მხოლოდ ის, რომ ირანს დიპლომატიური ზეწოლისაგან შესვენება მოუპოვოს? გასულ სექტემბერში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ (გაეროს თვალმა ამ საქმეში) ფორმის სრული დაცვით დაასკვნა, რომ ირანის ქმედება „არ შეესაბამება" ბირთვული სიფრთხილის (SAFEGUARDS) მოთხოვნებს. იგი ვალდებულია თავისი დასკვნა წარუდგინოს გაეროს უშიშროების საბჭოს. ირანს უნდა, რომ ეს არ მოხდეს, მაგრამ ისიც უნდა, რომ თავისი ბირთვული პროგრამა ხელუხლებლად გააგრძელოს.

რუსეთის იდეა ისაა, რომ ირანმა გააგრძელოს ბუნებრივი ურანის კონ-

ცენტრატის გამოყენება საწვავად თავის გარდამქმნელ ქარხანაში ქ. ისპაანში, მაგრამ შემდეგ ეს მასალა **გადაიტანოს (რა თქმა უნდა, საქართველოს რკინიგზით**. ხაზი ჩვენია. რედ.) გასამდიდრებლად რუსეთში (**ცხადია, გამდიდრებული კონცენტრატი კვლავ გადმოიტანოს იმავე გზით.** რედ.). მისი ეს იდეა ახალი არ არის. ევროპელები, პირიქით, იმედოვნებდნენ, რომ ირანს სულაც ააღებინებდნენ ხელს ურანთან თამაშის ამ პოლიტიკაზე. მაგრამ აგვისტოში ირანის მთავრობამ მოჭრილად უარყო ყველა წინადადებები და განაახლა თავისი სამუშაოები ისპაანში. პუტინის უშიშროების საბჭოს მეთაური იგორ ივანოვი რომ თეირანში ჩავიდა, მასაც საჯაროდ უარი სტკიცეს, ირანს უნდა თავისი ურანი თვითონ გაამდიდროსო თავისი (ჯერ აუშენებელი) რეაქტორებისათვის, როგორც საწვავი, თუმცა ყველა ეჭვობს, რომ მას იგი ბომბებისთვის უნდა. მაგრამ ამ უარის შემდეგ ირანმა მაინც მიანიშნა, რომ რუსეთის იდეაზე (**და, ამგვარად, თავისი ურანის საქართველოში გატარებასა და გამოტარებაზე**) კიდევ დაფიქრდება.

დიპლომატებს არ ჰგონიათ, რომ ირანი კომპრომისზე წავა. თუნდაც წავიდეს, შეთანხმება ძნელი იქნება, რადგან იგი საჭიროებს რკინისებრ გარანტიებს, რომ ირანი ურანის გამდიდრების ახალ საშიშ ტექნოლოგიებს ვერ მიიღებს რუსეთთან ერთობლივი საწარმოს შექმნის გზით. წარსულში რუსეთის მეცნიერები მშვიდად ეხმარებოდნენ ირანს საეჭვო ტექნოლოგიების დაუფლებაში, მძიმე წყლის გამოყენებით „საკვლევი" რეაქტორის ნახაზების გადაცემის ჩათვლით, რომელიც (ეს რეაქტორი) მეტისმეტად დიდია ამ მიზნისათვის და მეტისმეტად პატარაა დენის გენერაციისათვის, მაგრამ სწორედ საჭირო ზომისაა პლუტონიუმის წარმოებისათვის, რომელიც აგრეთვე ბომბის შესაქმნელი მასალაა. რუსეთის კომპანიების მთელი რიგი ამერიკამ დაადანაშაულა, ამერიკული კანონის თანახმად. ირანის დახმარებისათვის რაკეტების მშენებლობაში.

იმით, რომ, როგორც ივარაუდება, ირანი ეთანხმება რუსეთის ხსენებულ იდეას, იგი, შესაძლოა, უბრალოდ იმას ისახავს მიზნად, რომ ზემოხსენებულ სააგენტოს (საქართველოში მას МАГАТЭ-დ იცნობენ) თვალყურს გაექცევა. ამ ორგანიზაციის 18 ნოემბრის მოხსენების თანახმად, ირანის მხრიდან რაღაც პოლიტიკური ნაბიჯები ისახება, მაგრამ ინსპექტორებს ბევრი სხვა კითხვებიც აქვთ იმ პოტენციურად სამხედრო დახმარებასთან დაკავშირებით, რომელიც ირანს ადრე მიეღო, პაკისტანისაგან მიღებული სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების ჩათვლით. ამასობაში ამერიკელები ყველას უჩვენებენ თავის დოკუმენტაციას, რომელიც, მათი სიტყვით, წარმოადგენს იმგვარი ქობინის მქონე რაკეტის ნახაზს, რომელსაც ბითვული მუხტის ტარება ძალუძს.

რედაქციისაგან. მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოს კანონი კრძალავს საქართველოს ტერიტორიაზე ბირთვული მასალების ტრანზიტს. ჟურნალის ეს მოყვანილი მასალა მოწმობს, რომ აფხაზეთის მონაკვეთზე საქართველოს რკინიგზის გახსნის გეგმა დღევანდელ პირობებში განსაზღვრულია ამ კანონის დარღვევის პერსპექტივით.

როგორია დისიდენტობა და როგორნი არიან დისიდენტები ირანში

The Economist მისთვის ჩვეული გამჭრიახობითა და სიფაქიზით ახასიათებს ირანული საზოგადოების პოლიტიკურსა და მეცნიერულ ამინდს. ყველაზე გამოჩენილი — და ერთადერთი უკანდაუხეველი — ირანელი დისიდენტი (ერთადერთი იმიტომ, რომ მონანიებას ირანელ დისიდენტებში სისტემატური ხასიათი აქვს), აქბარ განჯი განუწყვეტელ შიმშილობებში და სხვა საპროტესტო აქციებში ამთავრებს თავის ექვსწლიან პატიმრობას, რომლის შემდეგაც მას მითითებული ადგილიდან გაუსვლელად ცხოვრება ელის. იგი ჟურნალისტი იყო და სხვა დანაშაულობებთან ერთად ირანის ხელისუფლებას ბრალს სდებდა დისიდენტების უსასამართლო მკვლელობებშიც. ჟურნალის სიტყვით, „გასაკვირია, რამდენნი ეკიდებიან მას შერეული გრძნობით: ერთის მხრივ, მოსწონთ მისი გმირობა, მეორეს მხრივ, ემდურიან, რომ მისი სითამამე იწვევს მუხრუჭების მოჭერას საერთოდ მედიის მიმართ. დღეს ირანის გაზეთები გაურბიან წერას მის შესახებ, იგი გამქრალია ფართო მასის თვალთახედვიდან. მისდამი „ბრალდებაა" ისიც, რომ იგი მარტომბრძოლია: ეს, კრიტიკოსთა აზრით, არა ისეთი ეფექტიანია, როგორც ურთიერთშეთანხმებული და ერთ „გრადუსზე" დაყენებული გამოსვლა. ჟურნალის დაკვირვებით, ირანში „არც პროგრამებია, არც ადამიანები არიან", ვისაც დღეს მასის „გალვანიზირება" შეეძლოს. რეფორმისტები კიდევ გაოგნებულნი არიან მათი იმედის — პრეზიდენტ ხატამის ჩასვენებით პოლიტიკის ციდან. „ისეთ

სისტემაში, რომელიც მუშაობს კომპრომისებით და კულუარული მოლაპარაკებებით" (ირანი კი სწორედ ასეთია) „ბნი განჯი უცნაურობას წარმოადგენს" (ODDING): ეს არის გამბედავი და ჩაჟანგებული (OBDURATE — ჯიუტი, მყარი) ადამიანი, რომელიც მონდომებულია, რომ სიცოცხლე პრინციპისთვის დადოს".

მესეჯი მოსკოვიდან, მესეჯი მოსკოვისაგან

The Economist-ის შეფასებით, მოსკოვის საქალაქო საბჭოს არჩევნები (4.12) საყოველთაოდ შეფასდა, როგორც გენერალური რეპეტიცია 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის. თუ მართლაც ასეა, — ფიქრობს ჟურნალი, — ის სპექტაკლიც, ისევე როგორც ეს, ოთხში ჩატარებული, კარგად ქორეოგრაფირებული იქნება, მაგრამ მაყურებელს ცოტას მიიზიდავს. ჟურნალის „თუ", საფიქრებელია, მხოლოდ ზრილობისმიერი ევფემიზმია: იმის მოლოდინი, რომ რუსეთის ხელისუფლება ან მისი კურსი შეიცვლება ისე მალე, როგორც 2007 წელი მოვა, რეალისტური არ არის. ამიტომ ჟურნალის მიერ მოცემული ანალიზი რუსეთის ძირითადი სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზიცაა და პროგნოზიც.

მოსკოვის არჩევნები, ჟურნალის აზრით, კარგი მაგალითი იყო მართული დემოკრატიისა (Managed Democracy), რომელშიც კრემლის ხელი პროცესის ყველა ეტაპზე მკაფიოდ ჩანდა. ყოველივე „მკაფიოდ მიკერძოებული" იყო პრეზიდენტის პარტიის — „გაერთიანებული რუსეთის" — სასარგებლოდ, რომლის გუნდსაც მოსკოვის მერი ლუჟკოვი მეთაურობდა. მეორეს მხრივ, არჩევნებზე მხოლოდ ამომრჩეველთა 34% მოვიდა („თვითონაც კარგად მიხვდებიან, ვინ აირჩიონ"). ოფიციალურად პუტინის პარტიამ მიიღო 28 ადგილი 35-იდან, კომუნისტებმა მიიღეს ხმათა 17%, დანარჩენი ლიბერალურ პარტიათა კოალიციას ერგო. ჟურნალი შენიშნავს, რომ ეს შედეგი „საეჭვოდ" ემთხვევა ჩეჩნეთში ამასწინათ (რა თქმა უნდა, კოლოსალური გაყალბებით. რედ.) ჩატარებული არჩევნებისას.

ერთადერთი სერიოზული მეტოქე პუტინის პარტიისათვის სწორი არჩევნების შემთხვევაში იქნებოდა ნაციონალური „სამშობლო" („როდინა"), რომელიც მაღალ რეიტინგს გვიჩვენებდა არჩევნების წინ. იგი არჩევნებიდან გააძევეს (მოხსნეს) ეთნიკური შუღლის გაღვივების ბრალდებით, რისი საფუძველიც გახდა მისი ერთ-ერთი სატელევიზიო კლიპი: ქერა რუსი ქალი მოაგორებს ბავშვის ეტლს ქუჩაში, სადაც ოთხი „კავკასიური ეროვნების" მამაკაცის მიერ დაყრილი საზამთროს ქერქებია მობნეული. იმ ოთხს უახლოვდებიან „როდინას" ლიდერი რაგოზინი ამხანაგიურთ და ეუბნებიან „აიღეთ და აწმინდეთ თქვენი მოსვრილი". „გესმით რუსული?" დასძენს მისი ამხანაგი. ლოზუნგია: „გაწმინდოთ ჩვენი ქალაქები ნაგვისაგან". საფრანგეთში გამოსვლათა დაწყების შემდეგ „როდინამ" ეს ტექსტები ფრანგულად გადათარგმნა და მოიგონა, თითქოს ისინი საფრანგეთიდან არიან შემოტანილი. „ეს საზიზღრობაა, რა თქმა უნდა. მაგრამ რატომ იქნა „როდინა" არჩევნებიდან მოხსნილი?" ოფიციალურად ეს თუმცა სასამართლომ გააკეთა, სინამდვილეში, ჟურნალის აზრით, ეს კრემლის სურვილია. პირველი პროტესტი ამ თემაზე გამოთქვა „ცოფიანი" ნაციონალისტური პარტიის ლიდერმა ჟირინოვსკიმ, რომელსაც ბევრჯერ უმოქმედია კრემლის ინტერესთა შესაბამისად. სასამართლეებიც, ჟურნალის აზრით, ასე მოიქცნენ.

„როდინა" დაარსდა სამი წლის წინ კრემლის სპეციალისტების დახმარებით. მისი ამოცანაა წაიღოს კომუნისტების ხმათა ნაწილი, რაც მან ქნა კიდეც 2003 წლის არჩევნებში. დღეს იგი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალაა, რომელიც საზრდოობს რუსების ნაციონალიზმითა და ქსენოფობიით (უცხოთა სიძულვილით. რედ.). ჟურნალის რესპონდენტის სიტყვით, „მოსკოვში მეტისმეტად ბევრნი არიან უცხოელები და მათ უნდათ თავისი კულტურა მოგვახვიონ." არჩევნების წინა დღეებში მოხდა მრავალი რასისტული იერის თავდასხმა, დანით მოკვდა ერთი დაღესტნელი — „ყველაზე უფრო მუსლიმანური რესპუბლიკის" წარმომადგენელი. იმავე დღეს ჩატარდა გამოკლებული დეპუტატის ადგილზე საპარლამენტო არჩევნები მოსკოვში. ხმათა 30% მიიღო ვლადიმირ კრაჩკოვმა — უშიშროების ყოფილმა ანტისემიტმა თანამშრომელმა, რომელიც სამართლდება ჩუბაისის (1990-იანი წლების რეფორმატორის) მკვლელობის მცდელობისათვის.

„როდინას" გაძევებამ არჩევნებიდან დამატებითი ხმები მოუტანა კომუნისტებს. ლიბერალებმა მიიღეს 14%, რაც, ჟურნალის აზრით, „დამაღონებლად ცოტაა" და იმით აიხსნება, რომ ლიბერალური ბლოკის მონაწილეებს ერთმანეთში კინკლაობა ჰქონდათ. თვითონ ლიბერალები ამბობენ, რომ არჩევნები გაყალბდა — დაფიქსირებულია, რომ ავტობუსებს გადაჰყავთ ამომრჩეველთა ჯგუფები ერთი უბნიდან მეორეზე (ქართველებისთვის კარგად ცნობილი „კარუსელი". რედ.), გამოყენებული იყო რუსეთში ცნობილი სხვა ხერხებიც.

ჟურნალი ფიქრობს, რომ პუტინის პარტია „ერთიანი რუსეთი" არჩევნებს გაუყალბებლადაც მოიგებდა. მისი საარჩევნო სიის სათავეში მდგარი ლუჟკოვი პოპულარულია. ადრე პუტინის მეტოქე (თუმცა მას ადგილისათვის სინამდვილეში არასოდეს დაუმიზნებია) ლუჟკოვი დღეს მისი მოკავშირეა და მოსკოვში გავლენა აქვს. მოსკოვის სიტუაცია მთლიანად რუსეთისას ასახავს კიდეც და მართავს კიდეც. მოსკოვის მართული არჩევნებით გამოხატული მესეჯი სწრაფად მიუვა მთელ რუსეთს და ხელისუფლება 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იმ კურსს გაატარებს, რომლის დემონსტრირებაც მოსკოვში მოხდა.

არის თუ არა რუსეთისათვის გაგზავნილი ეს მესეჯი ამავე დროს მესეჯი მსოფლიოსათვის? (რედ.). ალბათ, არის და მისი შინაარსი ისაა, რომ ნავთობდოლარებით გათამამებული რუსეთი მყარი პოლიტიკის გატარებას აპირებს თუნდაც დემოკრატიული „იმეჯის" შელახვის ხარჯზე. მაგრამ ამ ილეთში არ უნდა გამოვრიცხოთ პოკერის ილეთის — „ბლეფის" შესაძლებლობა: რუსეთი „უტევს" („აწვება") მოწინააღმდეგეს იმიტომ, რომ დღეს კონკრეტულ წერტილებში (პირველ ყოვლისა — კავკასიაში) მისგან კომპრომისები ჰსურს.

პოსტ სკრიპტუმი.

თემა გრძელდება. მოვლენები ვითარდება.

The Economist 10 დეკემბრის ნომერში სათაურით „რას ნიშნავს ყველაფერი ეს"? (გვ. 59) მკითხველს სთავაზობს ცნობებს, რომლებიც ზოგი — აკონკრეტებს, ზოგიც — ავსებს ზემოთ ნათქვამს. მესამე ქვეყნები, რომლებშიც, ეჭვით, მომხდარა ტერორიზმში ეჭვმიტანილთა აყვანა და „საიდუმლო ციხეებში" წაყვანა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებია. დასახელებულნი არიან პოლონეთი და რუმინეთი. გერმანიის მოქალაქე სალად-ალმასრი, როგორც ირკვევა, მაკედონიიდან გაიტაცეს, სადაც იგი ოჯახთან ერთად იმყოფებოდა, და გადააფრინეს ავღანეთში. იქ ჰყავდათ რამდენიმე თვე, აწამეს კიდეც. ბოლოს გაირკვა, რომ შეცდომით იყო დაკავებული თავისი მოგვარისა და სეხნიის ნაცვლად. დღეს იგი დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს უჭირავს. ეს ამბავი ოფიციალურად განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გერმანიაში კონდოლეზა რაისის ვიზიტის დროს. ამ უკანასკნელმა თქვა, რომ შეცდომები ყველა პოლიტიკის დროსაა შესაძლებელი. მან გამოთქვა ახალი ფორმულირებაც: კანონი, რომელიც კრძალავს დაკავებულებისადმი მკაცრ მოპყრობას ამერიკაში, მისი სიტყვით, ვრცელდება ამერიკულ პერსონალზეც, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. მაგრამ, კითხულობს ჟურნალი — თუ ასეა, რატომ არის ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი ასე ძალიან წინააღმდეგი მაკკეინის შეთავაზებული შესწორების მიღებისა?

თუმცა ამერიკელი ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ევროპელთა ბრალდებები, ამერიკელმა ახალი „არქიპელაგი გულაგი" შექმნესო, ტყუილია, ისინი, ჟურნალის სიტყვით, კერძო საუბრებში ამბობენ, ევროპელები ფარისევლობენო: ბევრი იმათგანი, ვინც ახლა ამერიკელების ანტიტერორისტული პოლიტიკის გამო ცეცხლს აფრქვევს, სხვადასხვა დროს თანახმა ყოფილა მათ ტერიტორიაზე ამერიკელების მიერ ოპერაციების ჩატარებაზე.

ჟურნალის სიტყვით, ამერიკელებს ევროპის გარდა თავის სმართლეში სხვების დარწმუნებაც დასჭირდებათ. კერძოდ, გაეროს უმაღლესი კომისარი ადამიანის უფლებების დარგში ლუიზა არბორი აცხადებს, რომ წამების აბსოლუტური აკრძალვა ტერორიზმის წინააღმდეგ ომისათვის დანაკარგი (Casualty) იქნება, მაგრამ ამავე დროს აკრიტიკებს (დაუსახელებლად) „ზოგიერთ მთავრობებს", რომლებიც ფიქრობენ, რომ მსოფლიო შეიცვალა და ამიტომ ძველი წესები აღარ გამოდგება".

ნაზარბაევის არჩევნების გამო

ნაზარბაევს ამომრჩეველმა ყაზახსტანის მმართველობა კიდევ შვიდი გრძელი წლით გაუგრძელა. ეუთომ არჩევნები გაყალბებულად ცნო (მას არც ყაზახეთის რომელიმე სხვა არჩევნები უცვნია სუფთად). მიუხედავად ამისა, The Economist-ის აზრით, ნაზარბაევი რეალურად პოპულარულია. თუმცა მას და მის ოჯახს მიეწერება დიდი სიმდიდრის დაგროვება და განუყოფელი ბატონობა პოლიტიკაშიც და ბიზნესშიც. ფაქტია, რომ მისმა რეფორმებმა შექმნა საშუალო კლასი, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა წელიწადში 10%-ს უდრის (აქ როლი, რა თქმა უნდა, ნავთობის ფასების ზრდასაც აქვს). ამომრჩეველმა მატერიალური კეთილდღეობა არჩია დემოკრატიას (რომლის „ექსპერიმენტირების" შედეგებსაც იგი ადვილად დაინახავს ყირგიზეთში საზღვრის გადაღმა). უზბეკეთის ლიდერის მაგალითიც იმის ილუსტრაციაა, რომ ყაზახეთი ბედნიერია ძლიერი, მაგრამ კეთილი ბატონის ყოლით. ახლა, The Economist-ის აზრით, გრძელვადამიცემულ ნაზარბაევს შეუძლია ეკონომიკურ რეფორმებს პოლიტიკურიც მიაყოლოს. მაგრამ ისურვებს იგი ამას? მისმა ქალიშვილმა დარიგამ განაცხადა, რომ არ გამორიცხავს, 2012 წელს უმაღლესი თანამდებობისათვის იბრძოლოს.

რედაქციისაგან. მკითხველს შევახსენებთ,, რომ ნაზარბაევი (შესაძლოა, დაუმსახურებლად) რამდენიმე წლის წინ ითვლებოდა ნასაბჭოვარი ქვეყნების ყველაზე პრორუსულ ლიდერად შევარდნაძესთან ერთად. ამ ერთი ბრალდების გარდა დასავლეთის პრესას, პრაქტიკულად, მასზე სხვა აუგი არაფერი უთქვამს.

აზერბაიჯანული არჩევნები ბრიტანელთა თვალში

(„როგორ არ უნდა მოხდეს არჩევნების ცნობა")

ჟ. The Economist, ჩვეულებრივ, არაა განწყობილი, რომ უყურადღებოდ დატოვოს დემოკრატიული რეალისტური პროცედურის ხელყოფა მეგობარ ქვეყნებში. მისმა კორესპონდენტმა აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნებში ნოემბრის დამდეგს ნახა პოლიციით შემორტყმული და „რატომღაც" ჩაკეტილი საარჩევნო უბნებიც, მასებიც, რომლებიც ამაოდ ეძებდნენ საარჩევნო სიებში თავის გვარებს, იატაკზე გადმოპირქვავებული გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენების უპატრონო დასტებიც და არჩევნების სრული გაყალბების სხვა აქსესუარებიც, რომელსაც საქართველო კარგად იცნობს. ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ჟურნალის მიერ თვით ამ არჩევნების ჩამტარებლის — აზერბაიჯანის პრეზიდენტის — პოლიტიკური სახის, მოსალოდნელი მიმართულების და მოსალოდნელი ბედის შეფასება. ჟურნალი წერს:

„ალიევმა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო პრეზიდენტობა მამისაგან, ჰაიდარ ალიევისაგან 2003 წელს გაყალბებული არჩევნების საშუალებით, მოუწოდა ქვეყანას პატრიოსნური არჩევნებისაკენ. ოპოზიციამ მიიღო საეთერო დრო. დარეგისტრირებული იყო 2000-ზე მეტი კანდიდატი (თუმცა მეოთხედზე მეტმა შემდეგ უარი თქვა დაშინების შედეგად). 25 ოქტომბერს ალიევმა დააწესა თითების მარკირება მელნით (რაც ამერიკელებს 30000 დოლარი დაუჯდათ) „და აზერბაიჯანელებისათვის სპეციალურად უფერული მელანი შემოიტანეს". ჯამში, ოპოზიციურმა პარტიამ „აზადლიგმა" („თავისუფლება") 21 ათასი დარღვევა აღრიცხა. მთელ პროცედურას დასავლელმა დამკვირვებელმა „ქაოსი" უწოდა. თვით ხმის მიცემა წყნარად მიმდინარეობდა, მაგრამ (როგორც საქართველოში) მთავარი არეულობა დღის მეორე ნახევარში დაიწყო იმდენად მკვეთრი ფორმით, რომ თითების მარკირებულობას აღარავინ დაეძებდა.

„შემდგომი ქორეოგრაფია იგივე იყო, რასაც ვიცნობთ სხვა პოსტსაბჭოური არჩევნებიდან. ალიევის პარტიამ „ახალმა აზერბაიჯანმა" გამოაცხადა 63 ადგილის მოგება, ოპოზიციამ ოფიციალურად მოიგო 6 ადგილი, „დამოუკიდებლებმა" — დანარჩენი. ეუთოს დამკვირვებელთა დიდმა ჯგუფმა გამოაცხადა, რომ არჩევნები „არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს". ხმათა დათვლის 43% იყო „ცუდი" და „ძალიან ცუდი". ევროკავშირიც და ამერიკელებიც ჩაერივნენ შეფასებაში მიუხედავად იმისა, რომ ნავთობმა და გაზმა მალე უნდა იწყოს დენა კასპიიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ, რამაც მნიშვნელოვნად შეარბილა დასავლეთის მხრიდან აზერბაიჯანის წინა არჩევნების კრიტიკა". რუსეთმა, რაკი იყნოსა საშუალება, თავი მოაწონოს თავის ყოფილ ვასალს, გააკრიტიკა ეუთო". 9 ნოემბერს მოხდა პირველი საპასუხო ქუჩის აქცია, რომელმაც არჩევნების ხელახალი ჩატარება და ბუშის მხრიდან დახმარება ითხოვა. კიევის ამბების ასოციაციით, მონაწილეები ყვიროდნენ „კარვები მოიტანეთო".

ჟურნალის კითხვაა: „გამოიწვევს თუ არა გაყალბებული პოსტსაბჭოური არჩევნები პლუს კორუფცია ახალ რევოლუციას?" პასუხია: ალბათ, არა, ორი მიზეზის გამო. პირველი. ოპოზიცია ზედმეტად სუსტია. თუ მისმა ქართველმა და უკრაინელმა კოლეგებმა, სააკაშვილმა და იუშჩენკომ თავისი სახეები შექმნეს წინა ადმინისტრაციაში მუშაობით, რომელიც შემდეგ დაამხეს, აზადლიგის ლიდერები ჩირქმოცხებულები არიან იმით, რომ თანამშრომლობდნენ ჰაიდარ ალიევის მთავრობამდე არსებულ ხელისუფლებასთან, რომელმაც ტერიტორიები სომხებს დაუთმო. მოსახლეობა ამბობს: „არ გვინდა 90-იანი წლების დაბრუნება". ეს სისუსტე, ჟურნალის სიტყვით, „გავლენას მოახდენს დასავლეთის გათვლაზე იმის შესახებ, თუ რამდენად დააწვნენ ბ-ნ ალიევს".

მეორე მიზეზია ის, რომ ალიევმა წარმატებით შეძლო საკუთარი თავის დახატვა მასის თვალში, როგორც კეთილი მინი-მეფისა, რომლისკენაც გზა ჩახერგილი აქვთ ბოროტ მრჩეველებს. მის ამ სახეს ხელს უწყობს სამუშაოს დაკარგვისა და პირდაპირი თავდასხმის შიშიც.

ალიევის როლი, როგორც არჩევნების გაყალბების მეთაურისა, ვითარების ახსნის ერთი მისაღები ჰიპოთეზაა. მეორეა მისი ახსნა, როგორც ძლიერი რეტროგრადული და კორუმპირებული ჯგუფების მოქმედებისა, რომელთათვისაც უფრო დიდი საზრუნავია არავინ ჩაახედონ თავის ბნელ საქმეებში, ვიდრე ის, რომ დასავლეთთან ნაყოფიერი დაახლოება ააწყონ. ჯამში, ჟურნალის აზრით, ხელისუფლების შიგნით მდგომარეობა ბუნდოვანია. მისგან გამომდინარე, ჟურნალი პერსპექტივაში სხვადასხვა შესაძლებლობათა შეფასებას ცდილობს.

„თუ ალიევი არ გადააგდეს", მაშინ, ჟურნალის აზრით, ქვეყნის მომავალი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოიქცევა განათლებული (Enlightened. ეს ის სიტყვაა, რომელიც ინგლისურ ენაში გამოყენებულია განათლებული აბსოლუტიზმის აღსანშნავად) ბ-ნი ალიევი". აზერბაიჯანი ბაქოს მიღმა, კორესპონდენტის ცნობით, სულ სხვაა, ვიდრე ბაქო, რის აღსაქმელადაც საკმარისია დედაქალაქიდან 20 კმ-ის მანძილზე მდებარე პატარა ქალაქის და მის ცნობილ სალოცავში ჩადროსანი ქალების ნახვა. აქედან ჩანს, რომ ნავთობის ფული მასამდე არ მიდის. ჯამური შეფასებით, „გეოგრაფია და მუსლიმანური მოსახლეობა (8 მილიონი სული. რედ.) არ ხდის აზერბაიჯანში ისლამისტურ ამბოხებას უფრო გარდუვალს, ვიდრე მისი გაყალბებული არჩევნები გარდუვალს ხდის რევოლუციას. ამბობენ, აზერბაიჯანელები მეტისმეტად პრაქტიკულნი არიან იმისათვის, რომ ექსტრემიზმში არ გადავარდნენ. შესაძლებელია. მაგრამ თუ ის დიდი ფული, რომელიც ნავთობიდან და გაზიდან შემოვა მოკლე ხანში, ჭკვიანურად არ იქნება გამოყენებული, ერთ მშვენიერ დღეს რაღაც მოხდება".

ირანის პრეზიდენტის ჰოჰეიერჩობა

„თეირანის ელიტა დასცინის პრეზიდენტ აჰმადინეჯადს მისი სიუშნოვის, სისულელისა და სუნიანი წინდების გამო, მაგრამ მათ აშინებთ მისი რელიგიურობა, რომელიც მას მასისათვის მიმზიდველს ხდის" — ამ ქუდით ჟურნალი „New Statesman" აქვეყნებს ირანიდან რეპორტაჟს ახალი პრეზიდენტის შესახებ, რომელმაც ამას წინათ ღიად და განმეორებით განაცხადა: იზრაელი „მიწის პირისაგან უნდა აღიგავოსო" (ვინ უწყის, ვისგან, რა გზით და რა შორეული თუ ახლო მიზნით „შეცურებული" დებულება), რითაც თავისი ქვეყანა, შესაძლოა, მისი ბირთვული ობიექტების პროფილაქტიკური დაბომბვის უშუალო საფრთხის წინაშე დააყენა. მის სამფლობელოში დღეს მკაფიოდ გამოთქმული რელიგიური ორიენტაცია სუფევს. ამ ცოტა ხნის წინ მან 10 მლნ ფუნტი გამოყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთერთი უდიდესი შიიტური სიწმინდის — ჯამკარანის მეჩეთის საჭიროებისათვის, სადაც, შიიტური რწმენის თანახმად, არის ჭა, რომლიდანაც მოსალოდნელია მეთორმეტე იმამის მაჰდის კვლავ გამოჩენა (მისი საიდუმლოდ გაქრობა შიიზმის, როგორც აღმსარებლობის, გაჩენის თარიღია. წმინდა ქალაქ ყუმასა და მასთან მდებარე ამ ტაძარს წელიწადში მილიონი მომლოცველი ჰყავს — ირანის მოსახლეობის ერთ პროცენტზე მეტი. პრეზიდენტის ყურადღება ამ სალოცავისადმი, ისევე როგორც მისი ხაზგასმული რელიგიურობა საერთოდ, ცოტა მოულოდნელი იყო მისი პირველი რამდენიმე ნაბიჯისა თუ სიტყვიერი განცხადების ფონზე, როცა მისგან მოდერნიზაციისაკენ მიმართულ ნაბიჯებს ელოდნენ მიუხედავად იმისა, რომ იგი, საარჩევნო კამპანიის დროს, რელიგიურიი წრეების აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდა.

ირანის პრეზიდენტი მიზგითისკენ მიისწრაფვის

პრეზიდენტს თავის ხალხთან ურთიერთობაში, ისევე როგორც სახელმწიფოს მართვაში, თავისებური მიმართულება აქვს. მაგალითად, თავისი გაეროში გამოსვლის ამბავს იგი ასე ჰყვება: „ბოლო დღეს, როცა ვილაპარაკე, ერთმა ჩვენი ჯგუფის წევრმა მითხრა, რომ როცა წარმოვთქვი „ბისმილა" („სახელითა ალაჰისათა"), მან დაინახა, რომ ჩემს გარშემო მწვანე ნათელი ჩადგა და მე მის აურაში მოვექეცი. ეს მეც ვიგრძენი. ვიგრძენი, რომ ატმოსფერო უცებ შეიცვალა და 27 თუ 28 წუთის მანძილზე მსოფლიოს ყველა ქვეყნის ლიდერებს თვალი არ დაუხამხამებიათ. როცა ვამბობ, თვალის ქუთუთო არ შესძვრიათ-მეთქი, არ ვაჭარბებ. ასე ჰგავდა, თითქოს რაღაცა ხელს ეჭირა და თვალებს არ ახუჭვინებდა". ზოგი ირანელი შიშობს, რომ ირანის პრეზიდენტის ესოდენ ძლიერმა რელიგიურობამ, მის განცხადებებთან ერთად, რომ იზრაელი უნდა განადგურდეს, შეიძლება ქვეყანას ზიანი მოუტანოს. რატომ შიშობენ? იმიტომ, რომ პრეზიდენტი, მათი აზრით, უახლოეს ხანებში მოელის მაჰდის, — გაუჩინარებული მეთორმეტე იმამის — დაბრუნებას და, მაშასადამე, განკითხვის დღის მოსვლასაც, რის გამოც მისი ყურადღება პოლიტიკურ მოვლენათა განვითარებისადმი სუსტდება. მართალია, აიათოლა მოჰამედ ალი აბთაჰი, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ამბობს, რომ პრეზიდენტის ამგვარი საუბრები „განკუთვნილია შინაური მოხმარებისათვის", მაგრამ სხვა რელიგიური მოღვაწე, აიათოლა იუსუფ საანეი წუხს პრეზიდენტის მიერ რელიგიურ ლოზუნგთა გამოყენების გამო. ეს ყუმელი ლიბერალური სასულიერო პირი ამბობს, „ჩვენ ქვეყანა უნდა ვმართოთ ისლამური სჯულის მიხედვით, მაგრამ პოლიტიკაში არ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი რელიგიური იდეები. აიათოლა ხომეინიც კი არ ფიქრობდა, რომ სხვანაირად უნდა მოვიქცეთ".

წინა რეფორმისტული ხელისუფლება ირანისა დანის პირზე დადიოდა, რათა თავისი ბირთვული პროგრამა განეხორციელებინა, და ამავე დროს შთაბეჭდილებას უქმნიდა მსოფლიოს, რომ ღიაობისა და ტოლერანტობისაკენ მიდის. აჰმედინეჯადმა ამაზე ხელი აიღო. მან თავისი ბირთვულ მოლაპარაკებებზე დასპეციალებული ელჩები ახალი, ფულლფურად დამუხტული ელჩებით შეცვალა. მის მიერ დანშნულ მინისტრებს ირანელები არაკვალიფიციურ ადამიანებად თვლიან, ხოლო ნავთობის მინისტრის სკამი დღესაც თავისუფალია, რადგან პარლამენტმა სამჯერ უარყო პრეზიდენტის მიერ მიწოდებული კანდიდატურა. პრეზიდენტის მეტყველება, რომელშიც შერეულია „შექსპირის ენა" (ანუ ამაღლებული სტილი და ლექსიკა) და ქუჩის ჟარგონი, თეირანელ ელიტას სიცილს ჰგვრის. მაგრამ სამაგიეროდ პრეზიდენტს აქვს გზა ხალხის გულისაკენ და სწორედ ამიტომაა, რომ მან არჩევნებში მოუგო განათლებულ რეფორმისტებსა და პროგრესისტებს, რომლებიც იმაზე შორს ვერ წავიდნენ, რომ მოსახლეობას ჩაცმულობაზე დანესებული შეზღუდვების შერბილებას შეეჰირებოდნენ იმ დროს, როცა აჰმედინეჯადი სიმდიდრის გადანაწილებას ჰპირდებოდა. ამიტომ ეს მჭედლის შვილი დღესაც პოპულარულია. რეპორტაჟი მთავრდება ცოცხალი სურათით: სალოცავ ხალიჩაზე სამი ახალგაზრდა ქალი ზის და ორცხობილას ჭამს. პრეზიდენტის თავდაჰიწყებული თაყვანისმცემლები არიან. რომ ჰკითხავენ, რატომ, პასუხობენ: „ჩვენს ქვეყანაში ისლამი სწორად არ სრულდებოდა. ახლა იგი სწორად შესრულდება, რადგან პრეზიდენტი მორწმუნე კაცია. ამგვარად, ყველაფერი მზადაა, რომ მეთორმეტე იმამი დაბრუნდეს." კითხვაზე, „არ გეშინიათ, რომ ომები იქნება, მაჰდის მოსვლას ხომ წინ ომები და უბედურებები უნდა უსწრებდეს?" ისინი პასუხობენ: „ყველა ომი მეთორმეტე იმამის მოსვლის წინ იქნება, ომები ცუდ მუსლიმანებსა და ურწმუნოებს შორის და არა ომები კარგ მუსულიმანებს შორის".

როგორ გამოიყენება რასა არჩევნებში. ცბიერი ზანგი ალალი ზანგის წინააღმდეგ

დეტროიტში, რომელიც ამერიკის ერთ-ერთი დიდი სამრეწველო ცენტრია (და ფორდის დედაბურჯი), ქალაქის ეკონომიკა უკან-უკან წავიდა (რასაც ხელი შეუწყო თეთრების გასვლამაც გარეუბნებისაკენ). ახალგაზრდა ზანგს კვამე კირკპატრიკს, რომელიც მერად აირჩიეს 2001 წელს, ამაში ბრალი არ ედო (ეკონომიკის უკანსვლა მანამდე დაიწყო), მაგრამ მერობის დროს ზომიერი მასშტაბის ყოფითი ლაქები გაუჩნდა (მაგალითად, ქალაქის ხარჯზე ცოლს მანქანა შეუძინა და ა.შ.). ახალ არჩევნებზე მას გარდაუვალი დამარცხება ელოდა მეორე ახალგაზრდა ზანგისაგან, რომელსაც ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ახალი და გაუსვრელი „სახე" იყო. მაგრამ კირკპატრიკმა ხერხი იხმარა. მან თავის წინააღმდეგ მიმართული კამპანია „რასისტულ დევნად" მონათლა და ისიც კი მოახერხა, რომ ზანგების ფიტულათა საჯაროდ „ჩამოხრჩობისა და დაწვის" სურათები ყველგან გამოაჩენინა, რაც, თითქოს, ბრბოს ფსიქოლოგიური მომზადება იყო მასზე თავდასასხმელად. ხერხმა გაჭრა. ამ ეპიზოდს The Economist იყენებს იმ მწუხარე დაკვირვების ილუსტრაციად, რომ „ცეცხლის ფრქვევა" არჩევნებში უფრო ქმედითი საშუალებაა მოგებისათვის, ვიდრე ამომრჩეველი მასის გონებისადმი მიმართვა.

კვლავ წამების შესახებ

არც თუ დიდი ხნის წინ ჟ. The Economist-ი წერდა, რომ, ზოგი წყაროს აზრით, ამერიკელები ტერორიზმში ეჭვმიტანილ პატიმრებს თუმცა წამებით ვერ დაკითხავენ, რადგან ეს კანონსაწინააღმდეგო იქნება, მაგრამ გადასცემენ მოკავშირე არაბული ქვეყნების ორგანოებს, რომელთა კანონი ამგვარ შეზღუდვას არ ითვალისწინებს. როგორაა საქმე დღეს? იგივე ჟურნალი მსჯელობას პრინციპების დონიდან იწყებს. როგორ უნდა მოიქცეს ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პრეზიდენტი — მხარი დაუჭიროს მახინჯ რეჟიმს, რომელიც კიდევ უფრო მახინჯი რეჟიმის მტერია, თუ არ დაუჭიროს? დაექვემდებაროს გაეროს, როცა ეს მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, თუ არა? ცოტა ქვემოთ ნათელი ხდება, რომ ეს კითხვები რიტორიკულია. იგულისხმება პასუხი „არა". მაგრამ ამავე დროს, თურმე, დემოკრატიული სუპერძალის პრეზიდენტი მზადაა ვეტო დაადოს ისეთ კანონს, რომელიც ამერიკელ ჯარისკაცებსა და მზვერავებს აუკრძალავს პატიმრების წამებას, თუმცა ამასთანავე დარწმუნებით აცხადებს, „ჩვენ წამებას არ მივმართავთო" — ჟურნალი ფრთხილი ირონიით გადმოგვცემს ამ ორ არც თუ ურთიერთშესატყვის ფაქტს და იმასაც გვატყობინებს, რომ ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი კაპიტოლიუმში ყოფილა მისული, რათა სენატორები დაერწმუნებინა, ამერიკელი მზვერავები გაეთავისუფლებინათ ამგვარი შეზღუდვისაგან. ამ ტრაგიკული სიტუაციისათვის „ფარსის" ელფერის მისანიჭებლად, თურმე, ჟურნალის სიტყვით, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო განმარტავს, რომ იგი არ აწამებს პატიმრებს საიდუმლო ციხეებში აზიასა და აფრიკაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი „არ ადასტურებს ამგვარი ციხეების არსებობას". დღეს წამების თემაზე გამართული დებატების ცენტრალური პუნქტია სენატორ მაკ-კეინის მიერ შემოთავაზებული დამატება კანონში, რომელიც დამყარებულია ამერიკის არმიის საველე წესდების (manual. სახელმძღვანელო) შემდეგ სიტყვებზე (ეს წესდება მიღებულია თავის დროზე სენატის მიერ 90 ხმით ცხრის წინააღმდეგ): არც ერთი ინდივიდი, რომელიც დაკავებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ან იმყოფება მისი ფიზიკური კონტროლის ქვეშ, განურჩევლად მისი ეროვნებისა (მოქალაქეობისა. რედ.) და მყოფობის ადგილისა, არ შეიძლება დაექვემდებაროს სასტიკ (Cruel), არაჰუმანურ ან დამამცირებელ მოპყრობას". ბ-ნი მაკ-კეინი თვითონ წამებაგამოვლილია ვიეტნამის ომის დროს. ამჯერად მისი მიზანი ნათელზე ნათელია: მას ჰსურს განაქარვოს ყოველივე შეეჭვება, რომელიც შეიძლება ჩნდებოდეს ამერიკული სტანდარტების გარშემო.

ასეთი შეეჭვება, ჟურნალის სიტყვით,. „სამწუხაროდ, არსებობს" და მისი ილუსტრაციაა იმისი მცდელობა, რომ ბ-ნი მაკ-კეინის წინადადება ჩავარდეს. ხელში ჩაგდებულ „მტრის მებრძოლთა (Combatant)" დატოვების მცდელობა ამერიკული სასამართლოების კომპეტენციის ფარგლებს გარეთ „ბოლოსდაბოლოს, თეთრი სახლის აქტივშია, და არა ვინმე სხვისაში, ისევე როგორც, მისი სამარცხვინო საჯარო გაცხადება მისი თავდაცვის მდივნის მიერ", რომ ჟენევის კონვენციები არ ეხება ბრძოლას ალ-ყაიდას წინააღმდეგ, ხოლო მის სამართლის დეპარტამენტს ერთხელ გამოშვებული აქვს მემორანდუმი, რომელიც გვიხსნის, თუ როგორ თავსდება წამების უფლება პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ჩარჩოში ომის დროს. გაზ. „უოშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებული მასალა, რომლის თანახმადაც დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოს აქვს საპატიმროთა ძეწკვი, სადაც მას შეუძლია ადამიანები იყოლიოს გაურკვეველი ვადით და საიდუმლოდ, მხოლოდ ზრდის იმ ეჭვს, რომ ბ-ნ ჩეინის ჰსურს, ამ სააგენტომ დაიკანონოს „გაძლიერებული დაკითხვის ტექნიკა". ეს ტექნიკა მოიცავს „წყალში მოთავსებას" (Water-BOARDING) ანუ კაცისათვის შთაბეჭდლების შექმნას, რომ იგი წყალში იხრჩობა, თუმცა ბ-ნ ჩეინის, ჟურნალის სიტყვით, „ერთი ადგილი არ ეყო" (Had Not a Gut), რათა ეს აზრი საჯაროდ გაეცხადებინა. არგუმენტაცია, წამება ზოგჯერ გამართლებულიაო, დღეს უყურადღებოდ დასატოვებელი არ არის. ჟურნალი კითხვას ადამიანური განზომილების პლანში სვამს და მას ასე აფორმულებს: ვთქვათ, ვინმე მოჰამედი პატიმრად გვყავს

„უსამართლობის ჩრდილი არ ქრება"

ფარულ ციხეში. მან იცის ალ-ყაიდას გეგმები და მისგან ეს ინფორმაცია უნდა მივიღოთ „ნებისმიერი გზით". ზოგნი ფიქრობენ, რომ ამისათვის უნდა შემოღებული გვქონდეს სპეციალურ შემთხვევებში „წამების ორდერთა" სისტემა. მაგრამ სად გავავლოთ მაშინ ზღვარი ამ „სპეციალურ შემთხვევებსა" და სხვა შემთხვევებს შორის? გარდა ამისა, არის კი წამებით მიღებული მოგება იმ სახისა, რომ მისთვის ღირდეს იმ ტაბუს (აკრძალვის) გატეხვა, რომელიც თანამედროვე ცივილიზებულ დემოკრატიებს ადევთ წამებასთან მიმართებაში? ამ პრინციპული ჰუმანიტარული მოსაზრების გარდა ჟურნალს პრაქტიკული კონტრარგუმენტიც აქვს. თურმე თვითონ წამებაგამოვლილი ბ-ნი მაკ-კეინი ფიქრობს, რომ წამება, როგორც დაკითხვის ტექნიკა, მაინც უსარგებლოა, რადგან იგი აიძულებს მსხვერპლს ილაპარაკოს, რაც მოაფიქრდება, რათა თავისი მაწამებლები გააჩეროს.

ამრიგად, წამების პრაქტიკული მომგებიანობა საეჭვოა. სამაგიეროდ, ჟურნალის აზრით, მის მიერ ამერიკის პრეზიდენტისადმი მიყენებული ვნება მისი შემოღების შემთხვევაში განუზომელია. ის, რაც გაირკვა აბუ ღრეიბისა და გუანტანამოს საპატიმროთა რეჟიმის შესახებ, ალ-ყაიდაში მოხალისეთა ახალი ნაკადის რეკრუტირების საუკეთესო საშუალებაა. დღევანდელი ტერორიზმი მართლაც უბოროტესი და უსაშინლესი მტერია. მაგრამ არის ეს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ამერიკამ დებატების საგნად აქციოს დღეს ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის სისტემა, რომელიც საკვანძო მნიშვნელობისა იყო ცივი ომის პროცესში? ჟურნალი ფიქრობს, რომ „მსოფლიო მოელის ნათელ ფორმულირებებს იმაზე, თუ როგორია ამერიკის პრინციპები დაკავებულებთან მოპყრობისა", ხოლო მაკ-კეინი აპირებს თავისი დამატება ყველა კანონპროექტს მიაბას, სანამ პრეზიდენტი ბოლოსდაბოლოს ხელს არ მოაწერს რომელიმე მათგანს.

P.S. ბ-ნი მაკ-კეინი თავის განზრახვას, როგორც ჩანს, მყარად მიჰყვება და დებატები წამების თემაზე ძალას იკრებს. The Economist 10 დეკემბრის ნომერში კიდევ აქვეყნებს წერილს სათაურით „მიკიბულ-მოკიბული სიტყვები" (Minced Words), სადაც იგი კვლავ მკაცრ გააზრებას სთავაზობს მკითხველს და კვლავ — პრინციპების ფონზე. მისი კითხვა კვლავ რიტორიკულს ჰგავს, მაგრამ ამჯერად ორივე გამოთქმული მიდგომა დაწუნებულია: რომელია უარესი, კითხულობს ჟურნალი, — ადმინისტრაცია, რომელიც ვერ იგებს, რომ რაღაცა რიგზე ვერაა, თუ ადმინისტრაცია, რომელიც ხვდება პრობლემას, მაგრამ ფიქრობს, მაინც თავისი გაიტანოს ტაბილი სიტყვების საშუალებით? ბუშის ადმინისტრაცია ამ ორ გადაწყვეტილებას შორის დგას. დიდ ფიგურათა ერთ ჯგუფს, სახელდობრ, ჩეინისა (ვიცე-პრეზიდენტს) და რამსფელდს (თავდაცვის მდივანს), როგორც ჩანს, ხელი აუღიათ იდეაზე, რომ ამერიკის რეპუტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამიტომ მათთვის კამათის საგანი, როგორც ჩანს, დაყვანილია მხოლოდ წამების ეფექტიანობის საკითხზე. ამ ორი თვალსაზრისით, მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, მის გულთა და გონებათა პოზიციას არსებითი მნიშვნელობა არა აქვსო. ეს მიდგომა შესაძლოა ვირეშმაკულიც იყოს (Pig-Headed): სამხედროთა უმრავლესობა, პირიქით, იმ აზრისაა, რომ მსოფლიოს გულთა და გონებათა განწყობას ტერორიზმის დაძლევისათვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს, რის გამოც მაკ-კეინისეული შესწორება ლოგიკურია.

სახელმწიფო მდივნის კონდოლეზა რაისის მიდგომა განსხვავებულია. იგი ხედავს, რომ აბუ ღრეიბისა და გუანტანამოს ამბავი საპროპაგანდო პლაკატია ბინ-ლადენისთვის და რომ ამერიკის პოპულარობის დაცემა ევროპაში საშიშროებაა და არა საპატიო მედალი. იგი ევროპაში ჩავიდა იმის ასახსნელად, რომ დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს (Central Intelligence Agency) არ გამოუყენებია ევროპული აეროპორტები „წამების რეისებისათვის" ანუ ეჭვმიტანილთა გადაყვანისათვის თავის საიდუმლო ციხეებში, ან იმ ქვეყნების ციხეებში, სადაც წამებას ურიგდებიან.

კონკრეტულად, ქ-ნმა რაისმა მიზნად დაისახა ყველაზე უკიდურესი მოწინააღმდეგეებისათვის შეეხსენებინა სამი რამ. პირველი. მრავალი ბრალდება ამერიკის მიმართ დაუსაბუთებელია. მეორე. ყველა დარღვევა, რომელიც ამერიკას მიეწერება, ჩრდილის ჩრდილია იმათ დანაშაულებთან შედარებით, ვისაც დღეს ამერიკელები და ევროპელები ებრძვიან. მესამე. ამერიკულმა დაზვერვამ ბევრი ევროპელი სიკვდილისაგან იხსნა თავისი მოქმედებით.

მიუხედავად ამისა, ქ-ნ რაისს, ჟურნალის თქმით, კიდევ ბევრი კითხვა დარჩა უპასუხო.

ეს იმიტომ, ჟურნალის აზრით, რომ ქ-ნ რაისს მეტისმეტად მაღალ თამასაზე გადახტომა უწევდა. მაგალითად, მისთვის ძნელია დამტკიცება, ამერიკა საერთაშორისო კონვენციებს არ არღვევსო, როცა ადმინისტრაცია ამტკიცებს, პირველი, ომის დროს პრეზიდენტს უფლება აქვს, რაც უნდა, კანონიერად აღიაროსო, მეორე, გაეროს კონვენცია წამების წინააღმდეგ არ ეხება უცხო ტერორისტების დაკითხვას აშშ-ს საზღვრებს გარეთო.

თვით ამ შემარბილებელი გარემოების გათვალისწინებითაც კი, ჟურნალის აზრით, ქ-ნ რაისს მსჯელობა ბრალდებულის ადვოკატისას უფრო ჰგავს, ვიდრე გულახდილი მეგობრისას. მაგალითად, როცა ამბობს, ამერიკას არ გადაუცია და არ გადასცემს პატიმრებს ისეთ ქვეყნებს, სადაც მან იცის, რომ მათ წამება მოელითო, ისიც უნდა დასძინოს, არ გადასცემს ისეთ ქვეყნებს, სადაც არ იცის, აწამებენ თუ არ აწამებენო. ეს ქ-ნ რაისს არ გაუკეთებია. აგრეთვე არ დაზუსტებულა, რა იგულისხმა ქ-ნმა რაისმა თავის სიტყვებში, რომ ამერიკა პატივს სცემს იმ ქვეყნების სუვერენიტეტს, რომელთა აეროპორტებიც გამოიყენა: იმას, რომ ამ ქვეყნებს აცნობა, ვინ და ვინ ჰყავს თვითმფრინავში, თუ იმას, რომ მათ უთხრა „გვენდეთ, კანონიერად ვიქცევითო"? ასევე გაურკვეველი განცხადებით დაუჭირა ქ-ნ რაისს მხარი, ჟურნალის სიტყვით, ბრიტანეთმა.

ჟურნალი ფიქრობს, რომ ქ-ნ რაისის მსჯელობის ორაზროვნება ამერიკელებისგანაც და ევროპელებისაგანაც მოქმედებას მოითხოვს. მთავრობებმა ან ზუსტად უნდა აუხსნან თავის ხალხებს, რას მოუხუჭეს თვალი და დაუშვეს, ან ზუსტად უნდა გაარკვიონ, რა პოზიციას იჭერს ბუშის ადმინისტრაცია. მოკავშირეთა „ჩიჩინს" ამერიკელებისათვის, ჟურნალის სიტყვით, არ უნდა ჰქონდეს მეტისმეტად მსუბუქი სახე. მკვეთრი საუბარი, მისი აზრით, აუცილებელია, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში მოწმენი ვიქნებით ანტიამერიკანიზმის ტალღის აგორებისა ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში. მაგრამ მთავარია მაინც ის, თუ რა მოხდება ვაშინგტონში. „დიდი ხანია წავიდა დრო სამართლებრივ-ტექნიკური დეტალებით დაკმაყოფილებისა, — მაგალითად, იმის განცხადებისა, რომ მტკიცების ტვირთი აწევთ ამერიკისათვის ბრალდებათა წამომყენებლებს, ან იმაზე მითითებისა, რამდენად ბოროტნი არიან ისინი, ვისაც ამერიკა ებრძვის. თუ ამერიკას უნდა თავი დააღწიოს მახეს, რომელშიც თვითონ გაება, მან უნდა მოიმოქმედოს რაღაც გადამწყვეტი და არა ორმნიშვნელოვანი — მაგალითად, მიიღოს მაკ-კეინისეული შესწორება".

ბელორუსის რევოლუციას მომავლი ნებისმიერ ერ ჰკლებია

ამ რევოლუციას პრობლემა აქვს, რადგან პრობლემა აქვს მასას: იგი პასიურია. მისი გამოღვიძება ადვილი არაა. მყარ დიქტატურის პირობებში მასას პროცესის მკვეთრ ფორმებზე ვერ დაიყოლიებთ. ამიტომ ბელორუსელმა დისიდენტებმა მოიფიქრეს ორი ხერხი, რომელიც ჟ. The Economist-ის დახასიათებით, „შესაძლოა, მხოლოდ ხრიკია", მაგრამ წარმოსახვის ძალას მაინც ავლენს. პირველი ისაა, რომ ოპოზიცია თავის მონაწილეებს მიჰმართავს, ყოველი თვის 16 რიცხვში სინათლე ჩააქრონ და ფანჯარაში სანთელი გამოდგან. პირველმავე „აქციამ" ასი ათასი მომხრე გამოაჩინა. მეორე ისაა, რომ ერთერთი დემონსტრაციის მონაწილემ უხეში ბამბის ქსოვილს (ჯვალოს) ლურჯი პერანგი გაიხადა, ტარზე წამოაგო და დროშად ააფრიალა. მას ცემით გონება დააკარგვინეს, მაგრამ სიმბოლო დარჩა. ჯერ ერთი, დღეს ბელორუსიის რევოლუციას ქართულის, უკრაინულისა და ყირგიზულის მსგავსად თავისი ფერი აქვს (ლურჯი). მეორეც, ეს უხეში ბამბის მატერია იწვევს კონკრეტულ ფსიქოლოგიურ ასოციაციას ჯინსებთან, რომელიც საბჭოთა პირობებში ასახიერებდა თავისუფლებას და ამერიკელების მომხმარებლურ სულისკვეთებას.

რას ზეიმობენ რუსები?

The Economist-ის კითხვა ეხება 7 ნოემბრის მაგიერ 4 ნოემბრის დღესასწაულობას, როგორც „ხალხის ერთობის დღისა". რატომ? ჟურნალი ვარაუდობს, რომ ეს არის წლისთავი 1612 წლისა, როცა მოსკოვიდან პოლონელი დამპყრობლები გააგდეს და „შფოთიანი დრო" რომანოვების გამეფებამ და სტაბილიზაციამ შეცვალა. პირველი ასახიერებს ელცინის დროს, მეორე — პუტინისას. მთელი ეპიზოდის გახსენება წკიპურტია პოლონელებისთვის, რომლებთანაც რუსებს ამჟამად „მეტად არაცივილური" დამოკიდებულება აქვთ. მასების „ნაციონალისტური" და, ნაწილობრივ, „ნაციონალ-ტური" განწყობილებისადმი აპელაციასაც ამ არჩევნებში ვერ გამოვრიცხავთ. თუ არა, მაშინ, ჟურნალის აზრით, ყველაზე მარტივ ახსნას უნდა დავჯერდეთ: დღესასწაული იმიტომ უნდათ, რომ დალიონ (და დღეს რუსებმა „უფრო მძიმედ სვამენ, ვიდრე ადრე").

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრიკა და საქართველო

(ეთიოპია ტესტს აძლევს დასავლელ დონორებს, მაგრამ თვით აფრიკელებსაც)

იმ დასავლელებს, რომელნიც ამტკიცებენ, აფრიკელი მთავრობები თავის ხალხებს ვერაფერს აძლევენ კორუფციისა და სიღატაკის, ჩაგვრისა და ცრემლმდენი გაზის გარდაო, ამას წინათ საქმე გაუადვილდათ. ტანზანიის ნახევრად ავტონომიურ კუნძულ ზანზიბარზე უშიშროების ძალებმა სცემეს და ესროლეს მოპროტესტეებს გაყალბებული არჩევნების წინააღმდეგ, რომელმაც მმართველ პარტიას გამარჯვება მოუტანა. უგანდის პრეზიდენტმა, რომელიც იქ 1986 წლიდან მართავს, საპარლამენტო უმრავლესობის გამოყენებით კონსტიტუცია შეცვალა და ახალი ვადით არჩევნების უფლება მოიპოვა, რაც დიქტატურისაკენ გადადგმული ნაბიჯია. ახლა კი ეთიოპიის უშიშროების ძალებმა ტყვიით დაცხრილეს 46 კაცი, უმეტესად — უიარაღონი, რომელნიც აპროტესტებდნენ მმართველი პარტიის სასარგებლოდ მაისში გაყალბებული არჩევნების შედეგებს. ყველაზე სამწუხარო მხარე ამ ამბებისა, The Economist-ის აზრით, ის არის, რომ სამივე ამ რეჟიმის მეთაური ქებულია დასავლელი მთავრობების მიერ, როგორც აფრიკული რენესანსის ჩირაღდანთა მატარებელი, და სამივეს, თავთავის დროზე, დასავლეთიდან ოქროს წვიმა აქვს თავზე გადაყრილი. ეთიოპია დასავლური დახმარების ყველაზე დიდი მიმღებია აფრიკაში, ტანზანიის პრეზიდენტი კი ერთი იმ ორთაგანია, ვინც ტონი ბლეირმა დაისვა თავის გრანდიოზულ „აფრიკის კომისიაში", რომლის მიზანია „მხარდაჭერა საუკეთესოსათვის, რაც აფრიკაში გაკეთდება".

ეთიოპიაში ახლო მომავალში, ხოლო ორ ნახევრებ ქვეყანაში — ცოტა უფრო შორეულში, ჟურნალის აზრით, მოსალოდნელია დაპირისპირების გამწვავება და ახალი სისხლისღვრა. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ ეთიოპიას საზღვარზე დავა აქვს ერითრეასთან. დასავლეთი ძალიან რბილად მოეპყრო ეთიოპიას ამ ორს შორის 2000 წელს წარმოებული ომის შემდეგაც, თუმცა ეთიოპია დაავალდებულა (რომელი უფლებამოსილებით? რედ.) ერითრეას დაუბრუნოს ქალაქი ბალმე. ეს ჯერ არ შესრულებულა. ამიტომ დაძაბულობა რჩება და არაა გამორიცხული, ეთიოპიის ხელისუფლებამ კიდევ ერთი „პატ- „არა საძაგელი სასაზღვრო ომი" ირჩიოს, რათა ამით მოიპოვოს მხარდაჭერა შინ. თქმულიდან გამომდინარე, ჟურნალის აზრით, რეჟიმის მეთაური უნდა მოითოკოს. ამიტომ აშშ-მ და ევროკავშირმა სთხოვეს მთავრობას შეწყვიტოს ოპოზიციის სასიკვდილო დევნა, გამოიძიოს მომხდარი მსხვერპლის საქმე და გაათავისუფლოს პოლიტიკური პატიმრები. დგას დახმარების (მორიგი 35 მილიონი დოლარი) შეჩერების საკითხიც, თუმცა დასავლეთისათვის უხერხულობას ის ქმნის, რომ ამ შეჩერებით ხალხი უფრო ზარალობს, ვიდრე მთავრობა.

„აფრიკა — აფრიკელებისთვის"

ამ ქვესათაურით (რაც რემინისცენციაა მონროს ცნობილი დოქტრინისა „ამერიკა — ამერიკელებისთვის") ჟურნალი შეახსენებს აფრიკელებს, რომ მათაც ხმის ამოღება და ხელის გამოღება ჰმართებთ, თუ ჰსურთ, ჯეროვანი პატივისცემა და ანგარიშის გაწევა მოიმკონ. „აფრიკის კავშირი", რომლის საჯდომი ეთიოპიის დედა-ქალაქი ადის-აბებაა, „სამარცხვინოდ" დუმს. ამ კავშირის რეალური ღვაწლი, სამშვიდობო ჩარევის ჩათვლით ომით მოცულ პროვინცია დარფურში (სუდანი), ჯერ-ჯერობით სუსტია. კავშირი, უფრო, იმ ქვეყნებში არჩევს მოქმედებას, სადაც ეს შედარებით ადვილია, ნაცვლად იმ ქვეყნებისა, სადაც ეს ყველაზე საჭირო-ა (როგორიცაა, მაგალითად, რობერტ მუგაბეს საბრალო ზიმბაბვე). ახლა მას უნდა აღმოაჩნდეს „ერთი ადგილი" (Gut, ნაწილავები), რათა ეთიოპიას თავისი მკაცრი სიტყვა უთხრას.

რედაქციისაგან. მკითხველს უთუოდ თვალში ეცემა მჭიდრო ანალოგია აფრიკის განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკურ სურათსა და საქართველოს პოლიტიკურ სურათს შორის. დამატებითი ინფორმაციისათვის მან უნდა იცოდეს შემდეგი. პირველი: საქართველო უკვე შედის მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სიაში (25 ქვეყანა), რომელშიც არ შედიოდა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ. მეორე: მსოფლიოს პრობლემათა მართვის 7 პრიორიტეტულ ამოცანაში ბოლო ადგილზე (ბოლოზე „ზრდილობის" გამო, თორემ მნიშვნელობით იგი პირველია) დასახელებულია „ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება", რაც იმას ნიშნავს, რომ „განუვითარებელ" ქვეყანას მისი ბუნებრივი რესურსები, ფაქტობრივად, უნდა ჩამოერთვას კაცობრიობის სასარგებლოდ, რომელიც მათ რაციონალურად მართავს. საქართველოს ჩამოქვეითება იმ ოცდახუთწევრიანი ჯგუფის სტატუსამდე, საფიქრებელია, მიზნად ისახავს თავაზიანი წანამძრვრების შექმნას ამ „ოპერაციისათვის" ახლო ან ცოტა შორეულ მომავალში. მესამე: პოლიტიკური უსუსურობის ბრალდება, ისევე როგორც განუვითარებლობის ბრალდება, ერთერთი საფუძველია ახლო ან ცოტათი უფრო შორეულ მომავალში ქვეყნის დიდი დაჩაგვრისათვის მისი მატერიალური, სტრატეგიული და სხვა რესურსების ხელყოფის მიზნით. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ აფრიკისებრი პოლიტიკური სიტუაციის ხელშეწყობა საქართველოში (არჩევნების გაყალბებისა, უხარისხო ადამიანების ზეობისა, შინაგანი კონფლიქტებისა, ნამდვილი ეროვნული სახელმწიფოს ვერშედგომისა, სახელმწიფოს დასუსტებისა „ფირმებად" შენიღბულ მაფიებთან ურთიერთობაში, ეკონომიკური სიმძლავრეების გაყიდვის პოლიტიკისა და ა.შ.) გამიზნული იყოს საქართველოს წასაყვანად სწორედ ასეთი სტატუსისაკენ.

იტალიელები თავის ხალხსაც უფრთხილდებიან, მორალსაც და დემოკრატიასაც

მთელ ევროპაში კათოლიკე სამღვდელოებაც და პოლიტიკოსებიც ნებაუნებურად თმობენ თავის სამსავე ძირითად ციხე-სიმაგრეს: ბრძოლას კონტრაცეპტივების (ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების), გაყრებისა და აბორტის დაკანონების წინააღმდეგ. სამივე მიმართულებით დღეს წაგებულნი არიან (ირლანდიის გამოკლებით). მაგრამ დღეს ვითარება ტრიალდება. ლიბერალიზაციის ყველაზე (შედარებით) მომხრე კათოლიკურ ქვეყანაში, იტალიაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება 1978 წლის დღეს მოქმედი კანონი აბორტის შესახებ — იმდენად დგება, რომ აპრილის მომავალი საპარლამენტო არჩევნების მწვავე თემადაც კი ქცეულა. კათოლიკური ეკლესიაც ხანდახან ღიად ერევა საქმეში და, ამგვარად, ებმება პოლიტიკაში, რომელშიც უკვე მრავალი წელია არ ჩაბმულა.

როგორი კანონი და როგორი პოლიტიკა უნდათ არსებული კანონის შეცვლისათვის მებრძოლთ? პირველ ყოვლისა, მათ უნდათ, რომ კათოლიკური მოძრაობის, სახელად „სიცოცხლისათვის!", წევრები დაშვებულნი იქნენ სახელმწიფო დაფინანსების კლინიკებში, სადაც ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებებს თავისი ოჯახის შემადგენლობის თაობაზე. ეს წინადადება ეკუთვნის ბ-ნ სტორაჩეს, რომელიც წარსულში ნეოფაშისტური „ეროვნული ალიანსის" წევრი იყო, დღეს კი ჯანდაცვის მინისტრია ბერლუსკონის ცენტრისტულ-მემარჯვენე მთავრობაში. მისი არგუმენტი ემყარება იმას, რომ მოქმედი კანონი გამიზნულია აბორტის არა მხოლოდ ლეგალიზაციისკენ, არამედ მინიმალიზაციისაკენაც (რაც სავსებით გონივრულია), მაგრამ ეს მეორე მიზანი პრაქტიკაში მიჩქმალულია. მინისტრის ჩივილმა ამ თემაზე სტიმული მისცა პარლამენტის ქვედა პალატის სპიკერს კაზინის სახელმწიფო კომისიის შესაქმნელად, რომელიც შეისწავლის, როგორ მუშაობს ხსენებული კანონი.

მანამდე ცოტა ხნით ადრე ოპოზიციონერ პარლამენტართა ჯგუფმა მოაწყო წინმსწრები გაფიცვა, რომელშიც წამოაყენა გეგმა ეკონომიკური გაჭირვებით განპირობებული აბორტების შემცირებისა. მათ მიერ შემოთავაზებული დამატება მომავალი წლის ბიუჯეტისათვის ითვალსინინებს გაჭირვებულ ორსულთათვის თვიურად 250-300 ევროს გადახდას ექვსი თვის მანძილზე მშობიარობამდე. ამასობაში სტორაჩე ჩართულია ადგილობრივ (უმეტესად — მემარცხენე) ხელისუფლებებთან ბრძოლაში, რათა შეაზღუდინოს დღეს გამოცდის სტადიაში მყოფი მუცლის მოსაშლელი აბის გამოყენება, რომელიც, მისი მტკიცებით, მხოლოდ კლინიკურ პირობებში შეიძლება იქნას გამოყენებული.

მართალია, ყოველივე ეს, რაც ხდება, შეიძლება საარჩევნო ბრძოლად მოგეჩვენოთ. მემარჯვენე-ცენტრისტები იბრძვიან, ჯერ ერთი, კათოლიკეთა ხმების მოპოვებისათვის, მეორეც, მემარცხენე-ცენტრისტებში (თავის მთავარ მოწინააღმდეგეებში), რომლებიც აგრეთვე კათოლიკეები არიან და ამას მათი პოზიციის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს, განხეთქილების შეტანისთვის. ეს უკანასკნელი კოალიცია მოიცავს ფართო სპექტრს, საერო მარქსისტებით დაწყებულსა და პროგრესისტ კათოლიკეებით დამთავრებულს (უკანასკნელთა ლიდერია ცნობილი რომანო პროდი). ეკლესიაც, შესაძლოა, ამ თემის აქტუალიზაციით იმედოვნებს პოლიტიკაში დაბრუნებას, რომელსაც 1990-იანი წლების დამდეგიდან მოსცილდა (ნუ დაგვავიწყდება, რომ ვატიკანს ამ ათიოდე წლის წინ ჰქონდა გრანდიოზული გეგმა კაცობრიობისათვის ავკრძალინებინა აბორტი, ისე როგორც აკრძალულია, ვთქვათ, სასამართლოს გარეშე დახვრეტა ან იძულებითი ქორწინება, მაგრამ დამარცხდა, რადგან სათანადო მსოფლიო თავყრილობამ მხარი არ დაუჭირა).

იტალიის კეთილდღიან საზოგადოებას აქვს იმის თავიც, რომ პირწმინდად მორალურ საკითხებზეც იფიქროს და ეძებოს ადამიანის ამ ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილების — მორალური დაკმაყოფილების — შეთავსება „თანამედროვეობის" მოთხოვნებთან, რომლებიც არც თუ იშვიათად ლამობენ კარნახს იქ, სადაც საკუთარი გულისა და სვინდისის კარნახით მოქმედება ჯობს. მაგალითად, იტალიური საზოგადოება დაინტერესებულია in vitro („მინაში", სინჯარაში) ჩასახვის მისაღებობა-მიუღებლობის პრობლემით, რომელზედაც, ბუნებრივია, აზრთა ცხოველი დაპირისპირება არსებობს. დღესდღეობით იტალიელებს აქვთ კანონი, რომელიც ამგვარ ჩასახვას ზღუდავს (არ კრძალავს), მაგრამ აღმოჩნდნენ აქტივისტები, რომელთაც ამ კანონის ზოგი მუხლის შეცვლა მოითხოვეს ამ in vitro-ს სასარგებლოდ და რეფერენდუმის დანიშვნასაც მიაღწიეს. მაშინ საქმეში ჩაერია ეკლესია კარდინალ რუინის ხელმძღვანელობით და რეფერენდუმი ჩაშალა: მისი მოწოდების შედეგად ყუთებთან არ მივიდა უმრავლესობა, მისულებმა კი (26%) აუცილებელი მინიმუმი ვერ შეავსეს. პირწმინდად მორალური ამოცანების ხვედრი საზოგადოების წინაშე მდგომ პრობლემათა შორის იზრდება (რაც ბუნებრივია ჩვენს დღესდღეობით ზედმეტად პრაგმატულ წუთისოფელში), ამიტომ ეკლესიის როლიც იტალიის პოლიტიკაში იზრდება. არ არის გამორიცხული, რომ მისმა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ, The Economist-ის სიტყვით, განჭვრეტად მომავალში გაბატონებულ მდგომარეობასაც მიაღწიოს და „ერს შესთავაზოს ხსნა არა მხოლოდ იმ სოფლად, არამედ ამ სოფლადაც".

ბაუპატიურებისათვის ბრალწაყენებული ვიცე-პრეზიდენტი

სამხრეთ აფრიკის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს იაკობ ზუმას დღეს სასამართლო დევნა აქვს გაუპატიურების ეჭვით. იგი, ჟურნალის სიტყვით, „კიბიდან ჩამოვარდნილია" პოლიტიკის ასპარეზზე.

ეს ახალგაზრდა კაცი სწრაფ კარიერას იკეთებდა და პრეზიდენტობის კანდიდატადაც იზრდებოდა – ისე, როგორც ეს მიღებულია ყველა პოლიტიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც, სამწუხაროდ) არსებული პრეზიდენტის თვალშისაცემ ნაკლოვანებათა ფონზე. მისდამი წაყენებული ბრალდება საეჭვოა: 31 წლის ქალი, შიდსთან ბრძოლის აქტივისტი, მას „ხელს ადებს", როგორც მის გამაუპატიურებელს საკუთარ სახლში. მაგრამ საზოგადოებას ეს პოლიტიკურ პროვოკაციად უფრო მიაჩნია, ვიდრე სინამდვილედ. ეს ზუმასთვის მეორე ბრალდებაა. პირველი, რომელთანაც მას ახლა სასა[illegible]მართლო ბრძოლა აქვს, კორუფციას ეხება. თუ ორივესგან თავი დაიხსნა, მისი კარიერა, როგორც პოლიტიკოსისა, მაინც გადარჩენილი არ იქნება. ჰორიზონტზე მესამე ბრალდებაც იკვეთება: ქალთან ურთიერთობაში შიდსის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური წესების არდაცვა. სამხრეთ აფრიკაში ეს ბრალდება საკმარისია, რათა კაცს პოლიტიკური კარიერა დააკარგინოს.

ლამურები, ადამიანები, ღეღლები და ღონყუანები

ინგლისურენოვან ქვეყნებში ქალების ანდაზა ყოფილა, კაცებს ტვინი სასქესო ჯირკვლებში („ბურთებში") გაქვთო. უკანასკნელი გამოკვლევებით, ქალბატონები უფრო რეალისტები ბრძანდებიან, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანან. ამ ორ (უფრო ზუსტად — სამ) დეტალს შორის ადამიანის ორგანიზმში, თურმე, კანონზომიერი ურთიერთშეფარდება (უფრო კონკრეტულად — უკუპროპორციულობა) არსებობს. კვლევა ჩატარდა ღამურებზე — ცხოველებზე, რომელთაც რაოდენობით მეორე ადგილი უჭირავთ ძუძუმწოვართა შორის. ღამურა კვლევის ობიექტად აირჩიეს იმიტომ, რომ მისი ზემოხსენებული ორგანო სხეულის წონის 11%-ს შეადგენს. ექსპერიმენტის ამოცანა კი დაკავშირებული იყო კითხვასთან, თუ ორი ჰიპოთეზიდან რომელია უფრო ახლოს სინამდვილესთან. პირველი. მამრის სასქესო ჯირკვლების სიდიდე (მისი წონის შეფარდება მთელი სხეულისასთან) დამოკიდებულია მდედრის ყოფაქცევაზე: თუ მდედრი მომთხოვნია, ეს შეფარდებაც დიდია, და პირიქით. მეორე. რაკი ტვინის ქსოვილიც და იმ ჯირკვლების ქსოვილიც ყველაზე ხარჯიანია (მოითხოვს ორგანიზმის ყველაზე დიდ ძალისხმევას მათი შენახვისა და გამოკვებისათვის), ჯირკვლების სიდიდე განაპირობებს ტვინის სიმცირეს. ორივე ჰიპოთეზა სწორი აღმოჩნდა. გორილას, რომელსაც თავის პარამხანაში მკაცრი წესრიგი აქვს, ჯირკვლები პატარა აქვს. შიმპანზეს, რომლის დედლებსაც თავისუფალი ქცევა ახასიათებთ — შეუდარებლად უფრო დიდი. (ადამიანები ამ ორ უკიდურესობას შორის ვართ განლაგებულნი). მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს განსხვავება პირდაპირ და უშუალოდ განპირობებულია მდედრის ინტერესებით. დიდი ჯირკვლები მამრს თურმე იმიტომ სჭირდება, რომ მათი პროდუქცია განაპირობებს მამრის ბრძოლისუნარიანობას, რათა მდედრის დასაკუთრებისა და შთამომავლობის შექმნის უფლება მოიპოვოს.